პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
25 მაისი **შაბათი** 2013
№121 (14 037) ფასი 80 თეთრი

ზაზა ფაჩულია



ჩემი მიზანია, საქართველო მსოფლიოს გავაცნო როგორც კალათბურთის, ასევე ისტორიის მხრივაც, იცოდნენ, რომ დიდი ტრადიციებისა და განძეულობის მქონე ქვეყანა გვაქვს

12

# გეგუჩაძე ტორპედოდან წავიდა?



ბოლო ერთი კვირაა, ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს **გია გეგუჩაძე** ქუთაისის "ტორპედოს" დატოვებდა: თითქოს, თბილისის "ლოკომოტივიდან" ნიჭიერ ახალგაზრდებთან ერთად, ქუთაისში გუნდის ესპანელი მთავარი მწვრთნელი **ხერარდ სარაგოსაც** გადავიდოდა.

ეს ხმები გუშინ გვიან ხელახლა აგორდა, მაგრამ ამჯერად ამტკიცებდნენ, რომ გეგუჩაძე ამ გაურკვევლობას თავად გაეცალა.

ინფორმაციის გადამოწმება ქუთაისური კლუბის ხელმძღვანელებთან ვცადეთ, მაგრამ უშედეგოდ. თავად გეგუჩაძეს კი ვერ დავუკავშირდით.

კულუარულად ამტკიცებენ, რომ ეს ამბავი გადაწყვეტილია და გეგუჩაძე "ტორპედოში" აღარ იმუშავებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ვისია, ვისია? თასი ლამაზი




8-9

# იტალიური როქი

## მაცარი ინტერში, ბენიტესი ნაპოლიში

მილანის „ინტერმა" დაითხოვა ახალგაზრდა სპეციალისტი **ანდრეა სტრამაჩონი** და მის ნაცვლად **ვალტერ მაცარი** დანიშნა. შეგახსენებთ, რომ 51 წლის მაცარიმ რამდენიმე დღის წინ დატოვა „ნაპოლის" რიგები. კლუბის ოფიციალური საიტის ცნობით, მან ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

ამასობაში გაირკვა „ნაპოლის" ახალი თავკაცის ვინაობაც - კლუბის პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** „ტვიტერზე" დაადასტურა, რომ ნეაპოლურ გუნდს ესპანელი **რაფაელ ბენიტესი** ჩაიბარებს, რომელიც ჯერ კიდევ „ჩელსის" თავკაცად ითვლება. სწორედ ამიტომ დე ლაურენტისმა სოციალურ ქსელში დატოვა შეტყობინება და არა ოფიციალურ საიტზე. ბენიტესის კონტრაქტიც ორწლიანია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# ანა თუ სერენა?

პასუხს კვირას როლან გაროსზე მივიღებთ



10

# ფრე

საქართველო 1:1 ინგლისი

U 19. ელიტრაუნდი

2

# დიდი ფინალი ჩვენც გვაქვს

არმია-ლელო

რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

13

# მეხუთე, 2006-ის შემდეგ

ემოციები დუღს და გადმოდუღს



11

ეროვნული ბიბლიოთეკა

● U 19. ელიტრაუნდი



# პირველი ფრე და შენარჩუნებული შანსი

**საქართველო–ინგლისი 1:1**

24 მაისი. ბორნემი. "რევეენსტადიონი"

**გოლები: 1:0 ფანცულაია (8) კლეიტონი (38).**

**საქართველო:** თებიძე - მთივლიშვილი, ჭანტურია, სანდოხაძე, უბილავა - სამუშია, ცნობილაძე, ენდელაძე - ფანცულაია, არაბული, ზივზივაძე

**სათადარიგოები:** მიქავა, გურეშიძე, ზარანდია.

**ინგლისი:** პიკფორდი, ლეიგი, ტერნბული, ბრაუნინგი, ოკონელი, პირსონი, ჰარიოტი, ჩემბერსი, ბეიკერი, აკპომი, კლეიტონი.

**სათადარიგოები:** კულტჰერსტი, მერფი, უოლესი, სვიფტი.

**გაფრთხილება:** სამუშია (30), ტერნბული (43), ზივზივაძე (45), ფანცულაია (64).

**გაძევება:** პიკფორდი (7)

8. პირსონი - **დოუსონი**
73. კლეიტონი - **კემპბელი**
86. ჰარიოტი - **უებსტერი**

57. სამუშია - **მარკოზაშვილი**
83. ცნობილაძე - **დვალი**
90. ფანცულაია - **კაჭარავა**

**არბიტრი:** ს. ამხოფი (შვეიცარია)

შეხვედრა ისე დაიწყო, უკეთესს ვერც წარმოვიდგენდით, მე-6 ჯგუფის ფავორიტი ინგლისელები კი ამას არ ელოდნენ: მე-7 წუთზე მეკარე **ჯორდან პიკფორდმა** ქართველთა მოთამაშესთან უხეშად ითამაშა და შვეიცარიელმა მთავარმა არბიტრმა **საშა ამხოფმა** ის მოედნიდან გააძევა.

ინგლისელთა მთავარი მწვრთნელი **ნოელ ბლეიკი** იძულებული გახდა, ნახევარმცველი **ბენ პირსონი** მეკარე **კემერონ დოუსონით** შეეცვალა - სათამაშო სტრატეგია კი მთლიანად გადაეწყო.

ამის შემდეგ მოვლენები ბრიტანელებისთვის კიდევ უფრო კატასტროფულად წარიმართა: 8-ე წუთზე კი **გიორგი ფანცულაიამ** საჯარიმოს დარტყმის უფლება მიიღო და ანგარიში გახსნა - 1:0.

ინგლისელები მალე გამოფხიზლდნენ და შემოგვიტიეს: სახიფათო გამოდგა **ლუის ბეიკერისა** და **კალუმ ჩემბერსის** დარტყმები.

არც ჩვენები იყვნენ გულხელდაკრეფილები: 33-ე წუთზე სახიფათო შეტევის დაგვირგვინებას **დავით მთივლიშვილი** ცდილობდა, მაგრამ მეკარე დოუსონმა თავისიანები გადაარჩინა.

ინგლისელებმა მაინც იძალეს: 38-ე წუთზე **მაქს კლეიტონმა** ანგარიში გაათანაბრა 1:1.

43-ე წუთზე ისევ კლეიტონმა შემოგვიტია და ამჯერად მეკარე **გაბრიელ თებიძემ** გუნდი გადაარჩინა.

მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრები უკეთ გამოიყურებოდა. პირველი სახიფათო მომენტი **გურამ სამუშიამ** შექმნა - დოუსონმა კვლავ საიმედოდ ითამაშა. სახიფათო გამოდგა, მაგრამ უშედეგოდ დასრულდა ფანცულაიას, **ბაჩო არაბულისა** და მთივლიშვილის შეტევები.

ინგლისელებმა რეალური მომენტი მხოლოდ 51-ე და 67-ე წუთებზე შექმნეს: მაგრამ **ჩუბა აკპოვასა** და **კალუმ ჰარიოტის** მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია.

ამის შემდეგ საქართველომ მთელი ძალებით შეუტია: ინგლისელები მეკარემ 69-ე წუთზე **თემურ მაროზაშვილის** დარტყმის შემდეგ გადაარჩინა, 70-ე წუთზე კი რეალური საგოლე მომენტი არაბულს უკვე ჰქონდა. 78-ე წუთზე სახიფათო გამოდგა **ავთო ენდელაძის** შეტევა.

83-ე წუთზე კი **გია ცეცაძის** გუნდის დაწინაურება ისევ ფანცულაიას შეეძლო, 88-ე წუთზე კი - მარკოზაშვილს, მაგრამ ბრიტანელთა მეკარე უშეცდომოდ თამაშობდა.

საბოლოოდ, მატჩი 1:1 დასრულდა და საქართველო ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსებს ინარჩუნებს.

მე-6 ჯგუფის მეორე შეხვედრა მასპინძელ ბელგიასა და შოტლანდიას შორის დრამატულად წარიმართა. პირველ ტაიმში სქოთები 2:0 დაწინაურდნენ, მაგრამ მასპინძლებმა მეორე ტაიმში თამაში შემოატრიალეს და მეტოქეს ქულა და ევროფინალში მოხვედრის იმედი გამოსძალეს - 2:2.

**ბელგია–შოტლანდია 2:2**

**გოლები:** 0:1 ბეკი (19), 0:2 მაკლეოდი (24), 1:2 ვერსტრეიტი (48), დე სარი 2:2 (55).

**VI ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 2. შოტლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 2-2 | 1 |
| 3. ინგლისი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 3 საქართველო | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |

შემდეგი ტურის მატჩები 26 მაისს გაიმართება. ვესტერლოს "ოოსტერზონენ არენაზე", თბილისის დროით 17:00 საათზე საქართველო შოტლანდიას შეხვდება, მოგვიანებით კი ბელგია - ინგლისს.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონი

# დვალიშვილი თითქმის ჩემპიონია, მაკარიძე გავარდა

გუშინ ვარშავის "ლეგიამ", რომლის ღირსებასაც **ლადო დვალიშვილი** იცავს, სტუმრად "ვიძევთან" ფრედ, 1:1 ითამაშა. ქართველი თავდამსხმელი "ლეგიას" ძირითად შემადგენლობაში იყო და 78-ე წუთზე შეცვალეს.

"ლეგია" პოლონეთის ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს. დვალიშვილის გუნდს 63 ქულა აქვს, მის მდევარ "ლეხს" კი – 57 და ერთი მატჩით ნაკლები. ექსტრაკლასას დასრულებამდე ორიოდე ტურია დარჩენილი, ასე რომ, დვალიშვილი პოლონეთის ჩემპიონობასთან ძალიან ახლოსაა.

საფრანგეთის ლიგა 2-დან გავარდა "ლე მანი", რომლის ღირსებასაც **გიორგი მაკარიძე** იცავს. ბოლო ტურში "ლე მანმა" "ლანსს" უმასპინძლა და 2:1 სძლია, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. მაკარიძე განაცხადშიც არ ყოფილა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● საქართველოს ჩემპიონატი. შეჯამება

# ლელოს ნომინანტები

...ცხრა თვეზე ოდნავ მეტი გრძელდებოდა XXIV ჩემპიონატი, თბილისის „დინამოს სრულიად დამსახურებული გამარჯვებით რომ დამთავრდა. ამჟამად ჩვენი მწვრთნელ-ფეხბურთელები ასევე სრულიად დამსახურებულად ისვენებენ, ივნის-ივლისიდან კი უკვე მომავალი სეზონისათვის მზადებას დაიწყებენ. მოკლედ, იმის დრო დადგა, გასული სეზონი რომ შევაჯამოთ: ჩემპიონატის მეგოლეები უკვე წარმოგიდგინეთ, მომავალი კვირიდან უმაღლესი ლიგის 12-ვე გუნდის ჩვენეულ შეფასებას შემოგთავაზებთ, ჩვენი გაზეთის ორშაბათის ნომერში კი „ლელოს“ ვერსიით საუკეთესოებსაც (ამპლუების მიხედვით) გაეცნობით. ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ და კვლავაც გავიმეორებთ, რომ სასურველი იქნებოდა სეზონის ნომინანტების დასახელება საზეიმო ვითარებაში („რაიმე“ პრიზის თანხლებით) მომხდარიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, უკვე მერამდენე წელიწადია აღარც საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგა არსებობს და არც ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული საზეიმო ღონისძიებები („დიას“ ვგულისხმობთ). საერთოდ, ნებისმიერი გამოკითხვა ხშირად იწვევს აზრთა სხვადასხვაობას.; ასევეა ჩვენს შემთხვევაშიც: მოგეხსენებათ, რომ უკვე წლებია „ლელო“ ყოველი ტურის მერე სიმბოლურ ნაკრებს ადგენს და გამონაკლისი არც ახლახან დასრულებული სეზონი იყო. შეგახსენებთ, რომ პირველ ეტაპზე 22 ტური ჩატარდა, მეორეზე - 10. ანუ, ჯამში 32 ტური გამოდის, მაგრამ დასკვნითი ტურის სიმბოლური ნაკრები არ შეგვიდგენია: ზედა და ქვედა ექვსეულებში ჩასატარებელი ექვსივე მატჩის შედეგი ხომ, ფაქტობრივად, წინასწარ იყო ცნობილი... მოკლედ, თქვენს წინაშეა ყველა ის მწვრთნელი თუ ფეხბურთელი, XXIV ჩემპიონატში „ლელოს“ ვერსიით ტურის სიმბოლურ ნაკრებში რომ ხვდებოდნენ.



დუშან უპრინი

**მწვრთნელები**

დუშან უპრინი („დინამო“, თბილისი) - 9, გია გეგუჩაძე („ტორპედო“) - 6, გიორგი დარასელია („დილა“) - 5, სოსო ფრუიძე („ჩიხურა“) - 4, მერაბ კოჭლაშვილი („ვიტ ჯორჯია“) - 4, კახა კაჭარავა („ზესტაფონი“) - 2, ვალდას ივანაუსკასი („დილა“) - 2, გია გურული („დინამო“, ბათუმი) - 2, ელგუჯა ქომეთიანი („ზუგდიდი“) - 2, გიორგი ყიფიანი („მეტალურგი“) - 1, ზურაბ ბერიძე („ვიტ ჯორჯია“) - 1, მალხაზ ჟვანია („მერანი“) - 1, კობა ჟორჟიკაშვილი („მეტალურგი“) - 1, დავით მუჯირი („ზესტაფონი“) - 1.

**მეკარეები**

ომარ მიგინეიშვილი („ტორპედო“) - 6, გიორგი ლორია („დინამო“, თბილისი) - 4, გიორგი სომხიშვილი („ჩიხურა“) - 4, ჯონი შეროზია („მერანი“) - 4, როინ კვასხვაძე („ზესტაფონი“) - 3, ნიკა დაუშვილი („ზესტაფონი“) - 3, მიხეილ ხარშილაძე („კოლხეთი“) - 2, ზურაბ ბათიაშვილი („მეტალურგი“) - 1, მინდია ბობლიაშვილი („სიონი“) - 1, მარინ სკენდერი („დილა“) - 1, შოთა მამინაშვილი („დინამო“, ბათუმი) - 1. ივან ჰოსმანი („მეტალურგი“) - 1.

**მცველები**

გივი კვარაცხელია („დინამო“, თბილისი) - 9, დავით ოდიკაძე („ჩიხურა“) - 8, დავით კვირკველია („დილა“) - 6, პატრიკ მილხრაუმი („ზესტაფონი“) - 6, გიორგი ონიანი („დილა“, „ტორპედო“) - 4, თეიმურაზ ლონლაძე („ზესტაფონი“) - 4, ედიკ საჯაია („ჩიხურა“) - 3, გიორგი გურული („ტორპედო“) - 3, გიორგი სეთურიძე („დინამო“, თბილისი) - 3, კახა ალადაშვილი („დილა“) - 3, გიორგი გველესიანი („დინამო“, თბილისი) - 3, დავით გამეზარდაშვილი („ზუგდიდი“) - 2, დავით სვანიძე („სიონი“) - 2, ზაზა ჭელიძე („ტორპედო“) - 2, ლაშა სალუქვაძე („დილა“) - 2, დავით ხურცილავა („ვიტ ჯორჯია“) - 2, გიორგი კაჭკაჭიშვილი („ზესტაფონი“) - 2, გულვერდ თომაშვილი („დილა“) - 2, გურამ ადამაძე („ვიტ ჯორჯია“) - 2, ოთარ ხიზანეიშვილი („დინამო“, თბილისი) - 2, ანზორ სუხიაშვილი („მეტალურგი“) - 2, ვალერი იობაშვილი („მერანი“) - 2, თედო გრიგალაშვილი („ზესტაფონი“) - 2, ლაშა კასრაძე („ვიტ ჯორჯია“) - 1, გიორგი ოქროპირიძე („სიონი“) - 1, მირზა ფარტენაძე („დინამო“, ბათუმი) - 1, გიორგი შაშიაშვილი („დილა“) - 1, ლაშა შერგელაშვილი („ტორპედო“) - 1, ჯემალ გოგიაშვილი („ვიტ ჯორჯია“) - 1, დაჩი ფოფხაძე („ზუგდიდი“) - 1, ალექსანდრე კვახაძე („ტორპედო“) - 1, ნიკა გუშარაშვილი („ჩიხურა“) - 1, დარკო გლიშიჩი („დინამო“, თბილისი) - 1, არჩილ ტვილდიანი („დინამო“, თბილისი) - 1, მიხეილ მახვილაძე („მეტალურგი“) - 1, ჯაბა ბერიანიძე („ჩიხურა“) - 1, ვაჟა ტაბატაძე („ტორპედო“) - 1, ლაშა თოთაძე („დილა“) - 1, ლაშა ჩიკვაიძე („ჩიხურა“) - 1, დავით უბილავა („ვიტ ჯორჯია“) - 1, გიორგი რეხვიაშვილი („ჩიხურა“,) - 1.

**ნახევარმცველები**

მიკელ ალვარო („დინამო“, თბილისი) - 11, ლევან ხმალაძე („დინამო“, თბილისი) - 7, დავით კირკიტაძე („ჩიხურა“) - 7, გიორგი მერებაშვილი („დინამო“, თბილისი) - 6, ელგუჯა გრიგალაშვილი („ტორპედო“) - 6, ბესიკ დეკანოიძე („ჩიხურა“) - 6, გრიგოლ დოლიძე („ტორპედო“) - 4, გიორგი კახელიშვილი („დილა“) - 4, გოგიტა გოგუა („დილა“) - 3, ირაკლი კლიმიაშვილი („დილა“, „სიონი“) - 3, რომან ახალკაცი („დილა“, „მეტალურგი“) - 3, შოთა ბაბუნაშვილი („ზესტაფონი“) - 3, გიორგი დათუნაიშვილი („ტორპედო“) - 3, ნიკა კვასხვაძე („ჩიხურა“), - 3, გიორგი ვასაძე („ვიტ ჯორჯია“ ) - 3, კარლეს კოტო („დინამო“, თბილისი) - 3, ირაკლი მაისურაძე („დილა“) -3, გიორგი კორიფაძე („ვიტ ჯორჯია“) - 3, ამირან მუჯირი („დინამო“, ბათუმი) - 3, თორნიკე გორგიაშვილი („ზესტაფონი“) - 3, ნიკა დიასამიძე („დინამო“, ბათუმი) - 2, ზურაბ არზიანი („დილა“) - 2, სანდრო გურული („დილა“, „დინამო“, ბათუმი) - 2, შოთა ლომია („ზუგდიდი“) - 2, დავით დილმელაშვილი („ჩიხურა“,) - 2, ირაკლი ლიბრაძე („ვიტ ჯორჯია“) - 2, ზურაბ მენთეშაშვილი („ზესტაფონი“ „მეტალურგი“) - 2, გიორგი ილურიძე („დილა“) - 2, გოგა ფიფია („მეტალურგი“) - 2, პეტერ გრაიციარი („დინამო“, თბილისი) - 2, ლევან კუტალია („ზუგდიდი“) - 1, გიორგი კუხიანიძე („ტორპედო“) - 1, ვალერი ბოლქვაძე („ტორპედო“) - 1, მერაბ გიგაური („ტორპედო“) - 1, ნოდარ ნოზაძე („მერანი“) - 1, გიგა ბეჭვაია („დილა“) - 1, ლევან შარიქაძე („ზესტაფონი“) - 1, გივი დიდავა („მერანი“) - 1, ირაკლი სიხარულია („ზუგდიდი“) - 1, ლეონარდო („დილა“) - 1, ლაშა გვალია („დილა“) - 1, გურამ გურეშიძე („ვიტ ჯორჯია“) - 1, გიორგი ქუცურუა („სიონი“) - 1, მიხაილ გორელიშვილი („დილა“) - 1, პავლე დათუნაიშვილი („კოლხეთი“) - 1, იგორ იელიჩი („ზესტაფონი“) - 1, ომარ გოგონაია („კოლხეთი“) - 1, ალექსი ბენაშვილი („ზესტაფონი“) - 1, თორნიკე ბერიძე („დინამო“, ბათუმი) - 1, გიორგი ჯანელიძე („ვიტ ჯორჯია“) - 1, როსინი („კოლხეთი“) - 1, ზამირ ჯანაშია („კოლხეთი“) - 1, ლუკა რაზმაძე („მეტალურგი“) - 1, ზვიად ლობჯანიძე („მეტალურგი“) - 1, ნოდარ კიკნაველიძე („დინამო“, ბათუმი) - 1, ირაკლი ძარია („დინამო“, თბილისი) - 1, გიორგი მანწკავა („სიონი“) - 1, დავით ბოლქვაძე („ჩიხურა“) - 1.

**თავდამსხმელები**

ჩისკო („დინამო,“, თბილისი) - 14, ჯაბა დვალი („დინამო“, თბილისი) - 7, გიორგი ბერიაშვილი („ტორპედო“) - 6, ნიკა საბანაძე („ტორპედო“) - 6, საბა ლომია („მერანი“) - 6, ბესიკ ჩიმაკაძე („ვიტ ჯორჯია“, „დინამო“, ბათუმი) - 4, ნათან ჟუნიორი („დილა“) - 3, ირაკლი მოდებაძე („დილა“) - 3, ირაკლი ქობალია („ზუგდიდი“) - 3, ირაკლი სიხარულიძე („მეტალურგი“) - 3, რატი წინამძღვრიშვილი („ზესტაფონი“) - 3, დიმიტრი ტატანაშვილი („მეტალურგი“) - 2, რევაზ გოცირიძე („ჩიხურა“) - 2, მიხეილ ჯორბენაძე („დინამო“, ბათუმი) - 2, ლაშა გაბრიჭიძე („ვიტ ჯორჯია“) - 2, ელგუჯა ლობჯანიძე („ვიტ ჯორჯია“) - 2, კოკა მიკუჩაძე („სიონი“) - 2, ლადო ახალაია („სიონი“) - 1, შალვა კვანტალიანი („კოლხეთი“) - 1, გიორგი ფანცულაია („ტორპედო“) - 1, ბაჩანა არაბული („დილა“) - 1, ბოტი გოა („ზესტაფონი“) - 1, ვილი ისიანი („სიონი“) - 1, ირაკლი ცნობილაძე („დინამო“, ბათუმი) - 1, გიორგი გაბედავა („ზუგდიდი“) - 1, გიორგი რეხვიაშვილი („მერანი“) - 1, რევაზ ჯიქია („სიონი“) - 1, მათე ვაწაძე („დილა“) - 1.



ჩისკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოურ პრესაში

# მურთაზ შელია: ბუცებს ვერ ვშოულობდი...

რუსულმა "კომსომოლსკაია პრავდამ" თბილისის "დინამოს", ვლადიკავკაზის "ალანიასა" და საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველის, **მურთაზ შელიას** ინტერვიუ გამოაქვეყნა. შემდეგ ის აფხაზურ "კომსომოლკაში" (გაზეთს სხვადასხვა ქვეყანაში გამოსცემენ) თარგმნეს, რასაც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. საქმე ისაა, რომ შელია იხსენებს, რომ საქართველოში, სოფელ კოჩარაში დაიბადა. სკანდალიც ამას მოჰყვა – კოჩარა ოჩამჩირის რაიონის სოფელია და აფხაზებმა ისე თარგმნეს, რომ ეს ეპიზოდი არ ჩაუსწორებიათ და სწორედ ეს გახდა უსიამოვნების მიზეზი.

ინტერვიუში შელიამ ბევრ თემაზე ილაპარაკა – კარიერაზე, "დინამოზე", "ალანიაში" გატარებულ წლებზე, საკუთარ ბიზნესზე...



მურთაზ შელია

*"ვლადიკავკაზში გადასვლამდე ვოვა გუცაევმა ვალერი გაზაევს შემახვედრა. "მერკანტილური" კითხვა დავუსვი – პრემიების ამბავი როგორ იქნებოდა? მითხრა, რომ ჩემპიონობის შემთხვევაში მივიღებდით. მივხვდი, რომ სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლა მოგვიწევდა.*

*...1996 წელს ნოვოროსიისკში ვთამაშობდით. 1:1 იყო და შეხვედრა მთავრდებოდა. გაზაევი გაბრაზდა, საფინალო სასტვენს არ დაელოდა და გასახდელში გავარდა. ამ დროს, ინალ ჯიოევის პასით თავური დარტყმით ჩვენები დავაწინაურე. გასახდელში უზომოდ გახარებულმა გაზაევმა კინაღამ გამგუდა. სხვათა შორის, იმ წელს ჩემპიონატში ყველა 5 გოლი გასვლაზე გავიტანე. ერთხელ ვლადიკავკაზში უეფას თასზე ბელგიური "ანდერლეხტის" კარიც ავილე. ეს იყო ევროთასებზე "ალანიას" ერთადერთი მოგება.*

*...ძალიან არასტანდარტული ფეხი მაქვს. მაშინ 49 ზომა ბუცების შოვნა ძალიან ძნელი იყო. ამის გამო, ყოველი შეხვედრის შემდეგ "ალანიას" ადმინისტრატორს, ბორის ძასოხოვს ბუცები შესაკეთებლად მიჰქონდა.*

*..."მანჩესტერ სიტისთან" კონტრაქტი 2,5 წლით გავაფორმე. პირველივე შეხვედრაში, გასვლაზე "ბირმინგემს" 89-ე წუთზე გავუტანე. მაგრამ ამ გუნდში მხოლოდ 15 შეხვედრა ჩავატარე. წინა ჯვარედინი იოგები დამიზიანდა და საბოლოოდ, კარიერა ამის გამო დავასრულე.*

*...ფეხბურთში ვსაქმიანობდი, ვმუშაობდი თბილისის "დინამოში", თბილისში პოპულარული რესტორანი "მონოპოლი" გავხსენი, რომლის სტუმრები ცნობილი ადამიანები არიან – მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, კახა კალაძე, რევაზ ჩელებაძე. ჩემთან ნამყოფები არიან ვალერი გაზაევი და ომარ თეთრაძე. ხშირად ჩამოდის ნაზიმ სულეიმანოვიც. საუკეთესო თამადა უდავოდ ჩივაძეა, მას არაჩვეულევბრივი იუმორი აქვს.*

*...რუსულთან შედარებით, საქართველოს ჩემპიონატის დონე მკვეთრად დაეცა. ჩვენი ბავშვთა ფეხბურთი კი, კომერციალიზაციის შედეგად, ახლა ცოტას აინტერესებს".*

**მერაბ მამულაშვილი**

სიტუაცია

# გადავარჩინოთ იბერია სტარი!




"ერთად გადავარჩინოთ "იბერია სტარი"! ვიაქტიუროთ და არ მოვკლათ ეს გუნდი!!!" – ასეთი მოწოდება ისმის ბოლო დღეებში სოციალურ ქსელებში. გულშემატკივრები ფუტსალში საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ბედით აღელვებულია.

მართლაც საცოდაობაა გუნდის დაშლა, რომელიც შეუდარებლად მდიდარი გუნდების კამპანიაში ევროპის საუკეთესოთა ოთხეულში მოხვდა; რომელმაც სათამაშო სახეობებში დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საუკეთესო შედეგი აჩვენა; ჩვენს გულშემატკივარს არც ისე პოპულარული სახეობა შეაყვარა, უამრავი თანამდგომი შეიძინა და ყველას უზარმაზარი სიხარული მოგვანიჭა; უეფას რეიტინგში უჩვეულო ნახტომი გააკეთა და ევროპაში მე-6 ადგილზე დაწინაურდა, საქართველო კი მე-8 ადგილამდე აღაზევა.

ახლა "იბერია სტარის" მომავალი გაურკვეველია. პრობლემები სამი წლის წინათ დაიწყო, როდესაც სიგარეტის მწარმოებელი ფაბრიკა "პირველი" მის მეპატრონეს, **ავთანდილ წერეთელს** წაართვეს. კლუბის პრეზიდენტი **ვახტანგ წერეთელი** კი მისი შვილია და მიუხედავად იმისა, რომ წელებზე ფეხს იდგამდა და კლუბის გადარჩენას ცდილობდა, შემოსავლის წყარო გადაეკეტა და, ცხადია, ველარაფერს ახერხებდა, ამიტომაც მოხდა ის, რაც ლოგიკურად უნდა მომხდარიყო.

გულშემატკივარი "იბერიას" შესაძლო დაშლას ვერ ეგუება და აქციებს გეგმავს, რომელშიც მონაწილეობას საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნებები, ყოფილი თუ მოქმედი ფეხბურთელები და მწვრთნელები აპირებენ.

სამწუხაროდ, უშედეგო აღმოჩნდა მიმართვა ქართული ბიზნესის წარმომადგენლებისადმი. მათ "იბერიას" სატკივარი გულთან ახლოს მიიტანეს, მაგრამ გუნდის შესანახი ფული არ გვაქვსო. ბანკებს კი ფეხბურთი არ აღელვებთ და მხოლოდ მოგება აინტერესებთ...

**ბექა ნოზაძე**, "ქართული სპორტის ქომაგების" ერთ-ერთი ლიდერი: *"ქართულ ფეხბურთში უამრავი პრობლემა დაგროვდა. ბოლო დროს ცნობილი გახდა, რომ გაურკვევლობაა ზოგიერთი სახელმწიფო და კერძო კლუბის მომავალთან დაკავშირებით. "დილა", "ბათუმი", "ზუგდიდი", ქობულეთის "შუქურა", "ზესტაფონი", "ტორპედო", "მერანი" მომავალს შიშით უყურებენ. ახლა ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა "იბერია სტარი" და რა ვქნათ, ველოდოთ, ბიზნესი როდის გამოფხიზლდება? ან ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს? ყველაფრის თავი და თავი დაფინანსების წყაროების არასტაბილურობაა. თუკი ეს კლუბები მომავალ სეზონში არ იქნებიან, ან დასუსტდებიან, მაშინ ჩემპიონატით მაყურებელი როგორ დაინტერესდება? მიკვირს, როგორ შეგვიძლია "იბერია სტარის" პრობლემას შევეგუოთ და მშვიდად ველოდოთ, გაქრება თუ არსებობას გააგრძელებს. მიმაჩნია, რომ ახლა ყველაფერი გულშემატკივრებისა და მედიის აქტიურობაზეა დამოკიდებული, რამდენად სწორად მივაწოდებთ ამ პრობლემებს ხელისუფლებასა და ბიზნესს. გასაგებია, რომ უამრავი სოციალური პრობლემაა მოსაგვარებელი, მაგრამ ფეხბურთიც ერთ-ერთი საკვანძო სოციალური მოვლენაა.*

*თავიდან ვცდილობდით, პრობლემა სოციალურ ქსელებში აქტიურობით მოგვეგვარებინა. მაგრამ დღემდე დუმილია. სხვა გზა არ დაგვრჩენია, ყველა უფრო მეტად უნდა შევაწუხოთ. ჩვენ ყველა რეგიონის ფან-კლუბებს გავაერთიანებთ და აქციებს სხვადასხვა ქალაქში გავმართავთ. მაგრამ სამოქმედო გეგმაზე მოგვიანებით ვილაპარაკებთ. მერწმუნეთ, ეს ხმაურიანი აქცია იქნება და ყურიდან ყურში ვერავინ გაატარებს.*

*ეს არის მნიშვნელოვანი პრობლემა. დღეს თუ დასახელებულ კლუბებს უჭირთ, სავსებით რეალურია, მათი მდგომარეობა ხვალ სხვებმა გაიზიარონ. ამიტომ არის საჭირო გაერთიანება, რომ საფეხბურთო პრობლემებისადმი გულგრილი დამოკიდებულება არ დავუშვათ. გვაიმედებს სპორტის მინისტრის, ლევან ყიფიანის განცხადება, რომელიც სამოქმედო პროგრამის გამოქვეყნებას აპირებს. მერე ვაპირებთ 60 ათასი ხელმოწერის შეგროვებას, რაც პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შესასვლელად არის საჭირო".*

**კობა კობაიძე,** თბილისის "დინამოს" ქომაგი: *"ბოლო დროს ბევრ კლუბს შეექმნა პრობლემები, რომელთაც ძალიან განვიცდი. განსაკუთრებით "იბერიას" შესაძლო დაშლის ამბავმა შემზარა. მან იმხელა სიხარული მოგვანიჭა, ამის დავიწყება შეუძლებელია. "იბერიას" დაშლა ქვეყნის სირცხვილი იქნება. მიშელ პლატინიმ თქვა, რომ ამ გუნდის განვლილი გზითა და წარმატებებით აღტაცებულია და ჩვენ რა უფლება გვაქვს, მის გარდაცვალებას გულგრილად ველოდოთ?*

*მე "დინამოს" გულშემატკივარი ვარ და ჩემს კლუბს არ უჭირს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თვალებში ნაცარი შევიყარო და სხვების სატკივარით არ დავინტერესდე. ამიტომ, ვუერთდები ქართული სპორტის ქომაგებს და მათ ორგანიზებულ აქციებში მონაწილეობას მივიღებ. იქნებ ამ ჩვენმა მცდელობამ შედეგი გამოიღოს და ქართული ფეხბურთი გადარჩეს. თუ კლუბების დაშლას შევეგუებით, ხვალ ჩემპიონატსაც ვერ ჩავატარებთ".*

**მერაბ მამულაშვილი**

# 1 კვირის 1000 წვრილმანი

დავით თავართქილაძე

# იქით კლოპი, აქეთ ბევრი კოპი

ვესტფალია და ბავარია დღეს ჩემპიონთა ლიგის თასისთვის დაეჯახებიან, ჩვენ კი არ ვიცით, რა ბედი ელით ქართულ კლუბებს.

საქართველოს დავით ყიფიანის თასი "დინამო თბილისმა" მოიგო და დუბლი შეასრულა, ოღონდაც ვის უნდა ეთამაშოს ეს გუნდი საქართველოში, რომ საინტერესო, ძლიერ მოწინააღმდეგეებს წააწყდეს და ეროვნულ ჩემპიონატს ლაზათი შეუნარჩუნდეს – კითხვაზე პასუხი ჯერაც არ არსებობს.

სპორტის მინისტრი **ლევან ყიფიანი** დაგვპირდა, სახელმწიფო საკლუბო ფეხბურთს არ მიატოვებსო, მაგრამ სეზონი დასრულდა და ჯერ უცნობია, ზუსტად და კონკრეტულად როგორ დაეხმარება მთავრობა ქართულ კლუბებს. ყიფიანი პროფესიონალი ფეხბურთელი იყო, რის შემდეგაც ისევ ფეხბურთში საქმიანობდა და ძალიან კარგად ესმის, ქართული ფეხბურთის პრობლემატიკა, ოღონდაც რაც დრო გადის, მით უფრო უარესდება კლუბების საქმე – ახალი სეზონის დაგეგმვა, სელექცია, მოსამზადებელი პერიოდი – თუ ეს ახლავე არ იცის კლუბმა, რაღა აზრი აქვს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარებას?

საქართველოს თასის ფინალში კი "დინამო" მეტოქეზე ერთი თავით მაღლა იდგა. "ჩიხურას" დასაძრახი არაფერი სჭირს, რაც სეზონის წინ დაგეგმა, პირნათლად შეასრულა, გულდასაწყვეტი მხოლოდ ის დარჩა, რომ ფინალი ფინალს არ ჰგავდა.

ამ ფინალზე ხალხიც ძალიან ცოტა მოვიდა. თამაში საღამოს 6 საათზე დანიშნეს, უქმე დღეც არ იყო და საერთოდ, საფეხბურთო ზეიმის შეგრძნება სადღაც გაუჩინარებულიყო.

ზეიმი მხოლოდ "დინამოსთვის" გამოვიდა. უმცროსი **დუშან უჰრინიც** ახლა უფრო თავდაჯერებულია, ახლა უფრო ფასეული მწვრთნელი გახდა "დინამოსთვის". მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზეც ზვიადი თვითრწმენით განაცხადა, ეს გუნდი უნდა შევინარჩუნოთ და ვინძლო ერთი-ორი ახალი ფეხბურთელიც დავიმატოთო.

ფინალში **გიორგი მერებაშვილი** გამოირჩა, "ჩიხურასთან" ის იყო გუნდის ლიდერი, აბრუებდა დაცვას და ქომაგს ტაშს აკვრევინებდა. მერებაშვილს ეროვნულ ნაკრებში აღარ იძახიან, არც **ჯაბა დვალს,** მათი გამოძახება ამხანაგური მატჩებისთვისაც არ გამოვიდა – რა გაეწყობა, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს დონედ არ მიიჩნევენ, თუმცა მთლად მასეც არ უნდა იყოს საქმე...

ჩვენს ეროვნულ გუნდს მიჯრით ორი ამხანაგური შეხვედრა ელის – 2 და 5 ივნისს ირლანიასთან და დანიასთან. **თემურ ქეცბაიამ** ამ მატჩებისთვის მხოლოდ ორი ნომინალური თავდამსხმელი გამოიძახა – **ნიკოლოზ გელაშვილი** და **ლევან მჭედლიძე**. ორივესთვის სათამაშო პრაქტიკა სანატრელია და ნაკრების მწვრთნელიც ალბათ ორივეს ათამაშებს ირლანდია – დანიასთან. ყველა მწვრთნელს საკუთარი მეთოდები აქვს და ამაზე კამათი ვგონებ, არ ღირს, მთავარი ხომ გუნდის შედეგია.

კამათი კი ბევრ რამეზე შეიძლება, ამ დღეებში ყველაზე უფრო ჩვენი ეროვნული ნაკრების თავკაცის ხელფასზე კამათობენ. ზოგადად, საკამათო არ არის, რომ რეკლამირებულ, წარმატებულ მწვრთნელს მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეს. ქეცბაია და მისი მხარდამჭერები იმაზე აკეთებენ აქცენტს, თუ რა შედეგი ჰქონდა ნაკრებს ქეცბაიას მწვრთნელობამდე და მერე. მათთვის საზომი ალბათ **ჰექტორ კუპერის** შედეგია საქართველოს ნაკრებში. კი ბატონო, ეს მართლაც არგუმენტია, კუპერმა ხომ შესარჩევში ერთი მატჩიც ვერ მოაგებინა საქართველოს ნაკრებს.

კუპერსაც შეეძლო ეთქვა, არ მყავს კარგი ფეხბურთელები შეტევაშიო, არ მყავს მაღალი დონის შემსრულებლებიო, მაგრამ არგენტინელს არასდროს დაუბრალებია წარუმატებლობა ფეხბურთელებისთვის. ისიც შეეძლო ეთქვა, ეს ჩემი პირველი შესარჩევი ციკლია საქართველოს ნაკრებში და მადროვეთ, მეორეშიც გამომცადეთ, თუ მეორესაც ჩავაგდებ, მერე მესამე შესარჩევშიც მაცალეთ, მაღალი ხელფასი შემინარჩუნეთ და თუ იქაც დავკარგავ ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს, კი ბატონო, გადავდგებიო.

კუპერი ასე არ მოქცეულა და თუ შედარებითობის თეორიით ვსარგებლობთ, ესეც უნდა გავითვალისწინოთ. როგორც მითხრეს, კუპერმა უარი თქვა ბოლო ორი თვის ხელფასზე, საქართველოს ნაკრებში საქმე ჩავაგდე და კონტრაქტით დარჩენილი ჯამაგირი რაღაზე უნდა ავიღოო.

კუპერი ბოლო შეტყობინება იყო იმისა, დავრწმუნებულიყავით, რომ საქართველოს ამ ნაკრებს ძვირიანი მწვრთნელი არ სჭირდება, მაგრამ მაშინ საფეხბურთო საკითხებსაც ისინი განაგებდნენ, საკუთარი თავი ყველაფრისმცოდნე რომ ეგონათ.

რა გვინდა საქართველოს ნაკრებისგან ამ ეტაპზე – მწვრთნელის ანაზღაურებაც აქედან უნდა ითვლებოდეს, მაგრამ ჩვენთან არ არსებობდა მიზანმიმართული, კარგად მოფიქრებული და გათვლილი პოლიტიკა და ამან გააჩინა დისბალანსიც – მაჩანჩალა გუნდი ბევრი კოპითა და მაღალანაზღაურებადი მწვრთნელით.

ფინალს კი დორტმუნდის "ბორუსია" მოიგებსო და მერე რა, რომ **გიოტცე** არ ეყოლება?! "დორტმუნდში" მთავარი კაცი **იურგენ კლოპია!**

აი, კიდევ რაზე კამათობენ...



იურგენ კლოპი

ქართული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მალხაზ ჟვანიასთან

# თვის ბოლოს ყველაფერი გაირკვევა

**მარტვილის "მერანმა" გასული ჩემპიონატის პირველი ეტაპი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა და თითქოს, უმაღლესი ლიგიდან დაქვეითების საფრთხე არ უნდა შექმნოდა, მაგრამ სეზონის მეორე ნახევარში არცთუ სახარბიელოდ გამოიყურებოდა და უძლიერესთა შორის დარჩენა ჩემპიონატის ბოლოსღა დაიბევა. საინტერესოა, როგორი იქნება "მერანის" მომავალი, რამდენად ამბიციური გუნდი ეყოლება მარტვილს მომავალ სეზონში. ამ შეკითხვებზე გუნდის მთავარ მწვრთნელ მალხაზ ჟვანიას ჯერ კონკრეტული პასუხები არ აქვს, თუმცა იმედს გამოთქვამს, რომ მოვლენები კლუბისთვის სასიკეთოდ განვითარდება.**

- თვის ბოლოს გვეცოდინება, როგორი ბიუჯეტი ექნება "მერანს". ვიმედოვნებთ, კლუბს ნორმალურ დაფინანსებას გამოუყოფენ და მომავალ სეზონში მარტვილს უმაღლეს ლიგაში ღირსეული წარმომადგენელი ეყოლება.

**- სახელმწიფო დაფინანსებაზე რა ინფორმაციას ფლობთ?**

- ამაზე უფრო კომპეტენტურად კლუბის ხელმძღვანელობა ისაუბრებს, თუმცა ვიცი, რომ სამთავრობო მხარდაჭერაზე საუბარი აქტიურად მიმდინარეობს. ცოტა ხნის წინათ მარტვილში საქართველოს სპორტის მინისტრი ლევან ყიფიანი იმყოფებოდა და ვნახოთ, რა შედეგები მოჰყვება მის ვიზიტს. როგორც ვიცი, განიხილება უმაღლესი ლიგის კლუბების რაოდენობის 16-მდე გაზრდა და ამას მხარს დავუჭერთ, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო სახსრები სამართლიანად გადანაწილდება და თექვსმეტივე კლუბს ნორმალური დაფინანსება ექნება.

**- რით იყო გამოწვეული ის ფაქტი, რომ "მერანს", რომელმაც სეზონის პირველი ნახევარი რიგიანად ჩაატარა, უმაღლეს ლიგაში დარჩენა მაინც სათუო გაუხდა?**

- სათანადო მოსამზადებელი პირობების არქონის გამო, ჩვენი კლუბისთვის ზამთარი ყველაზე მძიმე პერიოდია. სწორედ ამის გამო იყო, რომ ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპისთვის შესაბამისად ვერ მოვემზადეთ. ამას გარდა, იყო განწყობის პრობლემაც – ყველას გვეგონა, რომ ქულათა საკმარისი მარაგი გვქონდა და უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება აღარ გაგვიჭირდებოდა, მაგრამ შევცდით. საბედნიეროდ, კრიტიკულ მომენტში მობილიზება მაინც შევძელით და ვფიქრობ, უძლიერესთა შორის დამსახურებულად დავრჩით. გადამწყვეტ მატჩებში ბიჭებმა საბრძოლოდ განწყობა და სათანადო დონეზე თამაში შეძლეს, რისთვისაც მათ მადლობას ვუხდი.

**- თქვენი გუნდის საუკეთესო ბომბარდირმა საბა ლომიამ ჩემპიონატის მეორე ეტაპზე შედეგიანობას მკვეთრად მოუკლო. ამას რით ახსნით?**

- აქაც ისევ და ისევ ფსიქოლოგიურ ფაქტორს გამოვყოფდი. როგორც იცით, ზამთარში ლომია "ზესტაფონმა" დაიბრუნა, მაგრამ იქ კვლავ არ დაიტოვეს, რამაც საბას განწყობაზე უარყოფითად იმოქმედა, მან თითქოს მოტივაცია დაკარგა. მსგავსი პრობლემის წინაშე "მერანის" კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დადგა.

**- თვალში საცემი იყო ისიც, რომ თქვენი გუნდის შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავდა.**

- მიზეზთა გამო, ამის აუცილებლობა მართლაც დადგა დღის წესრიგში. ბევრი ჩვენი ახალგაზრდა ამ ეტაპზე უმაღლესი ლიგის მოთხოვნებისთვის მზად არ აღმოჩნდა, მაგრამ მათი უმრავლესობა ახლო მომავალში საკუთარ შესაძლებლობებს აუცილებლად წარმოაჩენს.

**- ინფრასტრუქტურული პრობლემა ახსენეთ და საინტერესოა, რა ბედი ეწევა მარტვილის სტადიონს, სადაც მოედნის საფარი არასახარბიელო მდგომარეობაშია?**



მალხაზ ჟვანია

- ეს პრობლემა ჩვენც ძალიან გვაწუხებს და მის გადაჭრას ყველანაირად ვცდილობთ. პროექტის მიხედვით, მომავალ სეზონამდე მარტვილის სტადიონზე თანამედროვე ხელოვნური საფარი უნდა დაიგოს და იმედია, ეს პროცესი დროულად დაიწყება და დასრულდება.

**- კლუბიდან წასული ფეხბურთელების ან სავარაუდო ახალწვეულების შესახებ რაიმე თუ არის ცნობილი?**

- სანამ "მერანის" ბიუჯეტი არ დადგინდება, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ჯერ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სათანადო პირობების შემთხვევაში, "მერანი" უმაღლეს ლიგაში სტატისტის როლს არ დასჯერდება და პირადად მეც დიდი სურვილი მაქვს, ამ გუნდში მუშაობა გავაგრძელო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სიტუაცია

# ვიტ ჯორჯია ლიდერებს შეელია

"ვიტ ჯორჯია" ძირითადი შემადგენლობის ორ ფეხბურთელს დაემშვიდობა - **გურამ გურეშიძეს** და **დავით ხურცილავას** კონტრაქტები დაუსრულდათ და კარიერას ახალ კლუბებში გააგრძელებენ.

ეს "ლელოს" გურეშიძემ უთხრა: *"გუნდის ხელმძღვანელობამ იცოდა, კონტრაქტის დასრულების შემდეგ წასვლას რომ ვაპირებდით. ამის გამო, ახალი ხელშეკრულება არ შემოუთავაზებიათ და მოლაპარაკებაც არ გვქონია. წინადადებები რუსეთის პირველი და საქართველოს უმაღლესი ლიგის კლუბებიდან მაქვს. მოლაპარაკება მიდის და მალე მეცოდინება, ახალ სეზონს სად ვითამაშებ".*

აღსანიშნავია, რომ სეზონში "ვიტ ჯორჯიას" მიერ ჩატარებული 32 მატჩიდან გურეშიძემ 31-ში ითამაშა, ყველა ძირითადში და ერთი გოლი გაიტანა – ეს ერთი მატჩიც ყვითელი ბარათების გამო გამოტოვა. ხურცილავამ კი 25 მატჩი შეუცვლელად ჩაატარა.

**მერაბ მამულაშვილი**

სიკეთე

# ქუთაისელი ქომაგი – მადლობა დინამოს ამ სითბოსთვის!

საქართველოს თასის ფინალში თბილისის „დინამოსა" და საჩხერის „ჩიხურას" შეხვედრას არც ისე ბევრი მაყურებელი დაესწრო - მაქსიმუმ 3 თუ 4 ათასი, რაც ამ დონის ღონისძიებისთვის კატასტროფულად მცირე რაოდენობაა.



თედო იობიძე

სწორედ ამიტომ გვსურს მოგითხროთ „დინამოს" ერთ-ერთი სტუმრის შესახებ – გუნდის საქომაგოდ ქუთაისიდან საგანგებოდ ჩამოვიდა **თედო იობიძე**, რომლის სურათებიც სოციალური ქსელებით გავრცელდა: ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული ეს 15 წლის მოზარდი აქტიური გულშემატკივარია და მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისელია, თბილისის „დინამოს" თავგამოდებული ქომაგი გახლავთ.

*„რაც თავი მახსოვს, თბილისის „დინამოს" ვგულშემატკივრობ. ჩემთვის ეს გუნდი ყველაფერია. თუმცა, ჩემი მდგომარეობიდან გამომდინარე, 22 აპრილამდე თბილისში ჩამოსვლას ვერ ვახერხებდი.*

*თასის ფინალამდე „დინამოს" პრესატაშე გიგა გვენცაძეს დავუკავშირდი, კლუბის პრეზიდენტი რომან ფიფია თბილისში ჩასვლასა და მატჩზე დასწრებაში რომ დამხმარებოდა. ფიფიამ ჩემი თხოვნა გულთან ახლოს მიიტანა. ვსარგებლობ შემთხვევით და მათ დიდ მადლობას ვუხდი. რომ არა ეს ადამიანები, ჩემს ოცნებას ვერ ავისრულებდი. მადლობა „გლადიატორებს", რომელთაგანაც უდიდესი სითბო და სიყვარული ვიგრძენი. ასეთმა დამოკიდებულებამ „დინამოსადმი" სიყვარული გამიასმაგა",* – გვითხრა თედო იობიძემ.

მიგვაჩნია, რომ გაქვავებული გულების ეპოქაში, „დინამოს" ეს საქციელი სწორედაც რომ დასაფასებელი და აღსანიშნავია, კარგი საქციელი კი გადამდებია.

**მერაბ მამულაშვილი**

პირველი ლიგა, XXXII ტური

## A ჯგუფი

### გურია – ჭიათურა 1:1

21.05. ლანჩხუთი. „ე. შევარდნაძე". 500 მაყურებელი

**0:1 დ. ციცხვაია (39), 1:1 ლ. ჩაგელიშვილი (90, საკუთარ კარში)**

**გურია:** რ. იმერლიშვილი, ა. ჩუენსუ (60. ლ. ჩალაძე), ს. თოდუა, დ. მაისაშვილი, ლ. ჯანგიძე, ა. გოგობერიშვილი, ვ. დარჩიძე (55. ზ. კვარაცხელია), ა. შენგელია, ლ. ვართაგავა (80. გ. სალარიძე), ე. კილაძე, ტ. კუკულაძე

**სათადარიგოები:** გ. მაჩაიძე, გ. ჭეიშვილი, ს. ფირცხალაიშვილი, მ. გოგუაძე

**მწვრთნელი:** თ. ლორია

**ჭიათურა:** გ. ბადურაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, გ. ქირია, ლ. ცუცქირიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ი. შალიკაშვილი (46. ი. ტყებუჩავა), ი. სარალიძე, ა. ბაბლიძე, გ. ბარბაქაძე (86. ს. გაბაძე), მ. ჭკადუა (58. დ. კუჭაშვილი), დ ციცხვაია

**სათადარიგოები:** ლ. მაჭარაშვილი, თ. ხარებავა, ზ. ჯაფარიძე, დ. შეყილაძე

**მწვრთნელი:** გ. სანაია

**გაფრთხილება:** რ. იმერლიშვილი, ს. თოდუა, ლ. ჯანგიძე, ლ. ჩალაძე

**არბიტრი:** ზ. ანიაშვილი

### დინამო-2 – ბეთლემი 5:0

21.05. თბილისი. „დინამო" საფეხბურთო აკადემია. 50 მაყურებელი

**1:0 ნ. კვეკვესკირი (31, პენალტით), 2:0 ბ. მახარობლიძე (36), 3:0 მ. ჯიშკარიანი (57), 4:0 ვ. ფოცხვერია (65), 5:0 ლ. ჩაფიძე (81).**

**დინამო-2:** ლ. ტყეშელაშვილი, ლ. საბაძე, თ. კაკულია (46. მ. ჯიშკარიანი), ბ. მახარობლიძე, ო. კაკაბაძე, ნ. კვეკვესკირი, ლ. პარუნაშვილი (61. ა. სარიშვილი), ბ. რუხაძე (51. ვ. ფოცხვერია), ჭ. ჭეჭელაშვილი, ლ. ჩაფიძე, ლ. შინდაგორიძე

**სათადარიგოები:** ს. გურეშიძე, ს. ლობჟანიძე, ტ. ხაინდრავა

**მწვრთნელი:** რ. მუმლაძე

**ბეთლემი:** ლ. ბექთაშევი, ნ. გოგუაძე, გ. ბერიძე, თ. თედორაძე, ვ. რუხაძე, ი. ნაჭყებია, დ. ჯალალანია, გ. კახიანი (34. ზ. კეკელიძე), გ. გოგიტიძე, ი. ბოლქვაძე, შ. გაგუა

**სათადარიგოები:** გ. ხაჩიძე, ჯ. გიორგაძე, კ. ქაცარავა, ზ. სეიდიდი

**მწვრთნელი:** ე. კაკაბაძე

**გაფრთხილება:** გ. ბერიძე

**არბიტრი:** ლ. კვარაცხელია

### სასკო – იმერეთი 4:2

22.05. თბილისი. სპორტკომპლექსი „შატილი". 150 მაყურებელი

**1:0 გ. კვარაცხელია (34), 2:0 კ. ახალაია (38), 3:0 გ. კვარაცხელია (34), 3:1 გ. ცაგარეიშვილი (61), 3:2 იაგო დეისაძე (75), 4:2 თ. მოგელაძე (90)**

**სასკო:** ლ. ბრაჭული, დ. აბესაძე, ჯ. იამანიძე გ. სალია (29. ა. გომელაური), კ. ახალაია (49. ა. ნონოსი), თ. მოგელაძე, ე. ეგიაზარიანი, ა. ბაგაშვილი (82. გ. შენირული), ი. ქავთარაძე, ზ. ქარდავა, გ. კვარაცხელია

**სათადარიგოები:** დ. კუჭუხიძე, გ. ჩუბინიძე, გ. პაპუნაშვილი, პ. მოსემღვდლიშვილი

**მწვრთნელი:** თ. კაცია

**იმერეთი:** ს. მეძველია, ვ. ბრეგაძე, გ. ხელაძე, გ. ცაგარეიშვილი (74. გ. ხვიჩია), ა. ტყეშელაშვილი, გ. გოდერიძე, ბ. ჩხეტიანი, იაგო დეისაძე, გ. გრძელიძე (46. დ. ხაბურძანია), მ. აშვეთია (46. დ. სულაბერიძე), გ. მანაგაძე

**სათადარიგოები:** დ. კუხალაშვილი, იაკობ დეისაძე, თ. ლომთაძე, დ. გოდერიძე

**მწვრთნელი:** გ. ხაზარაძე

**გაფრთხილება:** ე. ეგიაზარიანი, ა. ბაგაშვილი, ა. გომელაური; ა. ტყეშელაშვილი

**გაძევება:** ლ. ბრაჭული

**არბიტრი:** გ. ავაზაშვილი

### რაჭა – სულორი 1:3

22.05. თბილისი. „ტორპედო-ავაზა". 200 მაყურებელი

**1:0 ლ. შილაკაძე (8), 1:1 გ. პირანაშვილი (65), 1:2 გ. პირანაშვილი (82), 1:3 გ. ბრეგაძე (90)**

**რაჭა:** ა. აბულაძე, ზ. ვარდუაშვილი, ზ. ქაჯაია, ლ. ნეფარიძე, გ. ჭაავა, ვ. ჭაბუკიანი, ლ. შაიშმელაშვილი (81. ი. ხუნდაძე), ლ. იაშვილი (80. თ. კირკიტაძე), გ. მაისაშვილი, თ. კოხრეიძე, ლ. შილაკაძე (66. ლ. ჭეჟია)

**სათადარიგოები:** ბ. ხომერიკი, ბ. ზაზაშვილი, თ. მუკბანიანი

**მწვრთნელი:** ზ. ჯიბუტი

**სულორი:** დ. ხურციძე, გ. ბერიშვილი, გ. ბრეგვაძე, დ. ივანიაძე, ა. როხვაძე, თ. სანიკიძე, თ. მაღლაკელიძე (46. ა. ქებულაძე), შ. ბაბუნაშვილი, გ. პირანაშვილი, ბ. ბელექანია, ბ. სულაბერიძე (60. ზ. ქურდობაძე)

**სათადარიგოები:** გ. ნიკოლეიშვილი, ლ. გაბუნია, ნოდარ გიორგაძე, შ. ლვინიანიძე

**მწვრთნელი:** რ. ბურკაძე

**გაფრთხილება:** ზ. ქაჯაია

**არბიტრი:** ა. ნონიკაშვილი

### სტუ – მეშახტე 2:4

21.05. სპორტკომპლექსი „შატილი". 100 მაყურებელი

**0:1 მ. ჟღენტი (29), 0:2 გ. გვენეტაძე (45), 0:3 ი. კილაძე (50), 1:3 ჯ. კოღუა (59), 1:4 ვ. გიორგაშვილი (67), 2:4 ა. ლაცაბიძე (68)**

**სტუ:** მ. ძიძიგური, ნ. ბიწკინაშვილი, ზ. ჭავჭავაძე (46. კ. კახაბრიშვილი), გ. ჯიშკარიანი, ო. გაგნიძე, ი. გოგატიშვილი, გ. თვალავაძე (43. შ. გვაზავა), მ. გოგატიშვილი (65, გ. არახამია), ა. გოდუაძე, ა. ლაცაბიძე, ჯ. კოღუა

**სათადარიგოები:** დ. ყაველაშვილი, დ. ქიმერიძე, ვ. რობაქიძე

**მწვრთნელი:** გ. ჟორჟოლიანი

**მეშახტე:** ი. კუჭუხიძე, გ. გვენეტაძე, დ. ბაქრაძე, ც. ხარაბაძე, ი. ჭანკვეტაძე, ი. კილაძე (87. მ. ჯუღელი), ბ. კოღუაშვილი (75. ა. ქამაკაშვილი), ვ. გიორგაშვილი, მ. ჟღენტი (80. გ. ხეცურიანი), ო. გიორგობიანი, ბ. ჯიშიაშვილი

**სათადარიგო:** ნ. ჯოხაძე

**მწვრთნელი:** დ. რუხაძე

**გაფრთხილება:** ი. გოგატიშვილი, ა. გოდუაძე, ა. ლაცაბიძე, ბ. კოღუაშვილი

**არბიტრი:** ბ. ნინუა

### გაგრა – სქური 2:3

22.05. თბილისი. „მერანი". 100 მაყურებელი

**1:0 ბ. ტეიდი (35), 1:1 გ. სორდია (42), 2:1 ჯ. ჯერემია (63), 2:2 გ. ჭკუასელი (77), 2:3 დ. რაფავა (80)**

**გაგრა:** ა. ადამია, გ. ფალავანდიშვილი, გ. გადრანი, ი. კანდელაკი, თ. ჟიშკარიანი (90. რ. კაკუბავა), ბ. მუმლაძე (71. ნ. მაგრაქველიძე), რ. წაწკრიალაშვილი (55. ს. მალანია), ბ. ტეიდი, უ. მაგაჯი, ჯ. ჯერემია, ი. ფიფია

**სათადარიგოები:** გ. დობორჯგინიძე, ი. მარგიანი, თ. მოსიაშვილი. ვ. გაბისკირია

**მწვრთნელი:** ზ. ჯელაძე

**სქური:** ტ. ხარჩილავა, დ. რაფავა, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია (27. ი. ფაცაცია), ზ. ლარიბაშვილი, ლ. გაბუნია. ზ. ქვარცხავა, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, გ. ჭკუასელი, გ. კვირკვია (37. გ. სორდია)

**სათადარიგოები:** ი. ქარდავა, ი. მოლაშხია, ლ. მორგოშია, ნ. არახამია

**მწვრთნელი:** ნ. ბოჯგუა

**გაფრთხილება:** თ. ჟიშკარიანი; დ. რაფავა, ზ. ლარიბაშვილი

**გაძევება:** ტ. ხარჩილავა, ზ. ლარიბაშვილი

**არბიტრი:** ნ. ბოჯგუა

### ბოლო ტური. 27 მაისი

მეშახტე - რაჭა
სქური - სტუ
ბეთლემი - გაგრა
იმერეთი - დინამო-2
ჭიათურა - სასკო
სულორი - გურია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 32 | 26 | 4 | 2 | 85-20 | 82 |
| 2. დინამო-2 | 32 | 20 | 6 | 6 | 96-41 | 66 |
| 3. სასკო | 32 | 20 | 4 | 8 | 84-35 | 64 |
| 4. გაგრა | 32 | 16 | 4 | 12 | 60-43 | 52 |
| 5. იმერეთი | 32 | 12 | 7 | 13 | 36-42 | 43 |
| 6. მეშახტე | 32 | 12 | 6 | 14 | 39-66 | 42 |
| 7. ჭიათურა | 32 | 11 | 7 | 14 | 36-47 | 40 |
| 8. სქური | 32 | 10 | 8 | 14 | 33-49 | 38 |
| 9. სტუ | 32 | 11 | 3 | 18 | 61-75 | 36 |
| 10. ბეთლემი | 32 | 10 | 4 | 18 | 37-73 | 34 |
| 11. სულორი | 32 | 7 | 4 | 21 | 30-71 | 25 |
| 12. რაჭა | 32 | 7 | 3 | 22 | 39-74 | 24 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXVII ტურის წინ

# ტურის ეპიცენტრი ანოეტა

## ბედის ირონიით, ყველაზე უმოტივაციო მატჩი ბარსელონური დერბია

26 მაისი

**ბილბაო-ლევანტე** 22:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ლაპორტი, ეკიზა, პერესი - ხუანფრანი, ბარკერო

ბოლო 6 მატჩი

+2=3-1 | +0=2-4

ურთიერთშეხვედრები

სულ 11 თამაში: +7=1-3, (17-12)

**ბეტისი-სარაგოსა** 22:00

**დისკვალიფიკაცია:** პინტერი (სარ)
**ტრავმა:** პერკისი, მოლინა (?), ჩიკა (?), იგიებორი - ალამო, ობრადოვიჩი, სუკულინი

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 | +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 30 თამაში: +13=7-10, (49-44)

**ხეტაფე-ვალეკანო** 22:00

**დისკვალიფიკაცია:** გონსალესი (ვალ)
**ტრავმა:** ბორხა, ტორესი, კოლუნგა - როდრი, ლეო კარილიო, ბანგურა, ტიტო, კასადო

ბოლო 6 მატჩი

+1=0-5 | +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 6 თამაში: +3=0-3, (8-9)

**ოსასუნა-სევილია** 22:00

**დისკვალიფიკაცია:** ნანო - მორენო, რეიესი
**ტრავმა:** ლოლო, ფლანიო, ანანი, სისი, ნინო - ტროხოვსკი, მედელი (?), ფასიო (?)

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 | +1=3-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 33 თამაში: +11=9-13, (28-34)

**ვალენსია-გრანადა** 22:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კოსტა, პარეხო (?), ალვეში (?), ვალდესი (?) - იებდა, ბენიტესი, ფ. რიკო

ბოლო 6 მატჩი

+4=1-1 | +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 3 თამაში: +3=0-0, (4-1)

**ატლეტიკო-მალიორკა** 22:00

**დისკვალიფიკაცია:** არისმენდი (მალ)
**ტრავმა:** ალვარო, ლოპესი, ჟ. ვიქტორი (მალ)

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 | +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

სულ 27 თამაში: +10=8-9, (39-35)

**ესპანიოლი-ბარსელონა** 22:00

**დისკვალიფიკაცია:** ტეხერა (ესპ)
**ტრავმა:** ლონგო, მორენო (?), ალვარესი - მესი, პუიოლი

ბოლო 6 მატჩი

+1=2-3 | +5=1-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 42 თამაში: +5=12-25, (32-74)

**მალაგა-დეპორტივო** 22:00

**დისკვალიფიკაცია:** პაბლო (დეპ)
**ტრავმა:** სანტა კრუსი (?), დემიკელისი (?) - მარჩენა

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 | +2=3-1

ურთიერთშეხვედრები

სულ 21 თამაში: +1=8-12, (11-32)

**სოსიედადი-რეალი** 22:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ზურუტუზა, ელუსტონდო, ილიარამენდი (?), ველა - ვარანი, ალონსო (?), რამოსი (?)

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 | +5=1-0

ურთიერთშეხვედრები

სულ 34 თამაში: +8=8-18, (45-67)

**ვალიადოლიდი-სელტა** 22:00

**დისკვალიფიკაცია:** ხონი, ვილა (სელ)
**ტრავმა:** პარკი, ბერმეხო, მალიო, ალვარესი, ფერნანდესი (?)

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 | +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

სულ 31 თამაში: +5=11-15, (30-48)

**შენიშვნა:** + მოგება, = ფრე, - წაგება () ბურთების სხვაობა
**შენიშვნა:** ურთიერთშეხვედრები ჩემპიონატისა და თასის მატჩები 1994 წლიდან

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 36 | 30 | 4 | 2 | 109-39 | 94 |
| 2. რეალი | 36 | 25 | 6 | 5 | 96-37 | 81 |
| 3. ატლეტიკო | 36 | 22 | 6 | 8 | 62-30 | 72 |
| 4. სოსიედადი | 36 | 17 | 11 | 8 | 66-46 | 62 |
| 5. ვალენსია | 36 | 18 | 8 | 10 | 63-50 | 62 |
| 6. მალაგა | 36 | 15 | 9 | 12 | 49-45 | 54 |
| 7. ბეტისი | 36 | 15 | 7 | 14 | 52-55 | 52 |
| 8. ვალეკანო | 36 | 15 | 4 | 17 | 46-63 | 49 |
| 9. სევილია | 36 | 13 | 8 | 15 | 53-49 | 47 |
| 10. ხეტაფე | 36 | 13 | 8 | 15 | 42-53 | 47 |
| 11. ესპანიოლი | 36 | 11 | 11 | 14 | 43-49 | 44 |
| 12. ბილბაო | 36 | 12 | 8 | 16 | 42-62 | 44 |
| 13. ვალიადოლიდი | 36 | 11 | 10 | 15 | 47-52 | 43 |
| 14. ლევანტე | 36 | 11 | 9 | 16 | 38-56 | 42 |
| 15. გრანადა | 36 | 10 | 9 | 17 | 35-53 | 39 |
| 16. ოსასუნა | 36 | 9 | 9 | 18 | 29-45 | 36 |
| 17. დეპორტივო | 36 | 8 | 11 | 17 | 46-66 | 35 |
| 18. სარაგოსა | 36 | 9 | 7 | 20 | 36-55 | 34 |
| 19. მალიორკა | 36 | 8 | 8 | 20 | 39-70 | 32 |
| 20. სელტა | 36 | 8 | 7 | 21 | 34-52 | 31 |

**ბომბარდირები:** 46 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 34 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 28 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 21 - რობერტო სოლდადო (ვალენსია); 20 - ალვარო ნეგრედო (სევილია).



რეალ სოსიედადი სამეფო კლუბის დასახვედრად მზადაა

**ესპანეთის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტური კვირას, ერთდროულად გაიმართება. ბოლო ტურების მოტივაციაზე იმოქმედა ჯერ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებამ, რომელმაც რამდენიმე კლუბს ევროლიცენზია ჩამოართვა, შემდეგ უეფას მოულოდნელმა შეწყალებამ, როცა „მალაგას“ ევროთასებზე მონაწილეობის უფლება დაუბრუნეს. მაშ ასე, გუნდები სამი უმთავრესი მიზნისთვის იბრძვიან: ჩემპიონთა ლიგის ბოლო ვაკანტური საგზურისთვის, ევროპალიგის სამი საგზურისთვის და ლა ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის.**

### გამოთხოვება ანოეტასთან

ჩემპიონთა ლიგის მე-4 საგზურისთვის მხოლოდ ორი გუნდი იბრძვის: „რეალ სოსიედადი“ და „ვალენსია“. მათ 62-62 ქულა აქვთ, თუმცა ეს განლაგება ბასკებს აწყობთ, სხვა მხრივ კი უპირატესობა ვალენსიელთა მხარესაა. მხედველობაში გვაქვს უკეთესი სპორტული ფორმა, უფრო იოლი მეტოქე ამ ტურში და უცნაური სიტუაცია ბასკურ კლუბში, სადაც ასეთ მნიშვნელოვან დროს გუნდიდან წასვლის შესახებ გადაწყვეტილება გაახმოვანა ფრანგმა მწვრთნელმა **ფილიპ მონტანიემ**.

მაშ ასე, ფილიპ მონტანიე უკანასკნელად გაიყვანს „რეალ სოსიედადს“ „ანოეტაზე“, ხოლო **ჟოზე მოურინიო** უკანასკნელად გაუძღვება „რეალს“ გასვლით მატჩში. უკვე ცხადია, რომ კომპრომისი ამ შეხვედრაში გამორიცხულია. თუკი ბასკურ კლუბს ფეხი დაუცდება, „ვალენსია“ შინ „გრანადას“ ხვდება და ამ შანსის გამოყენებას შეეცდება. „გრანადას“ გადასარჩენად დარჩენილ ორ მატჩში მხოლოდ ქულა სჭირდება.

„რეალ სოსიედადის“ ხელმძღვანელობამ სადისციპლინო კომიტეტში საჩივარი შეიტანა, რათა **კარლოს ველასთვის** „სევილიასთან“ მიღებული ყვითელი ბარათი გაეუქმებინათ. ასეც მოხდა, მაგრამ მექსიკელი ალბათ მაინც ვერ ითამაშებს „სამეფო კლუბთან“ ტრავმის გამო. ასევე საეჭვოა საყრდენი ნახევარმცველის, **ასიერ ილიარამენდის** თამაშიც. სტუმართა რიგებში არ იქნება **რაფაელ ვარანი. სერხიო რამოსი** და **ჩაბი ალონსო** მხოლოდ ტრენაჟორებზე ვარჯიშობენ და მათი თამაში საეჭვოა. შეგახსენებთ, რომ 31 წლის ალონსო „რეალ სოსიედადის“ აღზრდილია.

„ვალენსიას“ კიდევ ერთი დამატებითი მოტივაცია აქვს - „მესტალიას“ 90 წელი შეუსრულდა. სხვათა შორის, პირველ მატჩში „ვალენსია“ თანაქალაქელ „ლევანტეს“ ამხანაგურად გაეჯიბრა. სხვათა შორის, სამწვრთნელო საკითხი „ვალენსიასაც“ უდგას - **ერნესტო ვალვერდეს** ახალ ხელშეკრულებას სთავაზობენ, ის კი უარზეა. ესპანეთში ჭორი გავრცელდა, ვალვერდეს **ტიტო ვილანოვას** სკამს სთავაზობენო.

### მალაგას გარანტია

ევროპალიგის ერთი საგზური ზემოთ აღწერილი კონკურენციის დამარცხებულს შეხვდება, მეორე - „მალაგასია“ (რომლის გადასწრება „რაიო ვალეკანოს“ კი შეუძლია, მაგრამ მას ლიცენზია ჩამოართვეს და ევროთასებზე ვერ იასპარეზებს). მესამე საგზურისთვის ბრძოლაში „ბეტისი“ ფავორიტია, ის უშუალო კონკურენტებს („სევილია“ და „ხეტაფე“ 47-47 ქულა) 5 ქულით უსწრებს. „ბეტისი“ დარჩენისთვის მებრძოლ „სარაგოსას“ მასპინძლობს და გამარჯვება ევროპალიგის საგზურს დაუბევებს. აი, ასე ერთი ხელის მოსმით შეცვალა უეფამ სიტუაცია.

### დიდი ამბები ქვემოთ

დღეისათვის გასავარდნ ზონაში არიან: „სარაგოსა“ (34 ქულა), „მალიორკა“ (32) და „სელტა“ (31). საფრთხის წინაშე არიან „ოსასუნა“ (36) და „დეპორტივო“ (35) („გრანადას“ საფრთხეზე ზემოთ ვილაპარაკეთ). „სელტა“ უმოტივაციო „ვალიადოლიდს“ ესტუმრება და მხოლოდ გამარჯვების შემთხვევაში შეინარჩუნებს შანსს, ფრეც კი მას სეგუნდა დივიზიონში დაბრუნებას გაუფორმებს. გავარდება „მალიორკაც“ თუკი „ვისენტე კალდერონზე“ „ატლეტიკოსთან“ დამარცხდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მატჩი პამპლონაში გაიმართება, სადაც „ოსასუნა“ „სევილიას“ მასპინძლობს. სტუმრებს თეორიული შანსი ჯერაც შერჩათ, რომ თანაქალაქელებს წაართვან ევროსაგზური და ამიტომაც ბოლომდე იბრძოლებენ, ხოლო „ოსასუნას“ გამარჯვების გარდა ნებისმიერი შედეგი საშინელ სიტუაციაში ჩააგდებს.

### უმოტივაციო ბარსელონური დერბი

საოცარია, მაგრამ ფაქტია - ბარსელონური დერბი, რომელიც წესით, ტურის ცენტრალური მატჩი უნდა იყოს, ყველაზე უმოტივაციო შეხვედრაა („ბილბაო“-“ლევანტესთან“) ერთად. „ბარსელონა“ დიდი ხნის წინათ გახდა ჩემპიონი და მას კვლავ არ ეყოლება ლეო მესი, ხოლო „ესპანიოლს“ ევროლიცენზია ჩამორთმეული აქვს.

ამბები

### ედინსონ კავანის ფასი დაედო: 63 მილიონი ევრო

„ნაპოლი“ იოლად არ შეელევა გუნდის საუკეთესო ფეხბურთელ **ედინსონ კავანის**, სამხრეთული გუნდი ურუგვაელ ფორვარდს 63 მილიონ ევროდ აფასებს. შეგახსენებთ, რომ ადრე „ნაპოლიმ“ უარით გაისტუმრა „მანჩესტერ სიტი“, რომელიც 26 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 50 მილიონ ევროს იხდიდა.

ახლა კავანის შეძენა ყველაზე მეტად „რეალს“ სურს, თუმცა „სამეფო კლუბს“ ამხელა თანხის გადახდა გაუჭირდება."რეალის" სავარაუდო თავკაცმა **კარლო ანჩელოტიმ** კლუბის ხელმძღვანელობას ურჩია, კავანი, **გარეთ ბეილი** და **ნეიმარი** შეიძინონ.

### პლატინი ევროლიგას რემონტს უტარებს

24 მაისს ლონდონში უეფას მორიგი, 37-ე კონგრესი გაიმართა. რომელზეც რამდენიმე გადაწყვეტილება მიიღეს, ერთი ევროპალიგის სამომავლო მოწყობას შეეხება. უეფა და მისი პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** ჯერ კიდევ ხვეწენ ამ ტურნირს და ცდილობენ მისი პრესტიჟის ამაღლებას.

როგორც უკვე ვწერდით, უეფამ 2015 წლიდან ევროპალიგის გამარჯვებულს ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის უფლება მისცა. ასეთი გუნდი ლიგის პლეი ოფში იქნება დაშვებული, იმ შემთხვევაში, თუ ის ეროვნული ჩემპიონატის წყალობით მოიპოვებს ლიგაში ადგილს, პირდაპირ ჯგუფურ ეტაპზე დაიშვება.

2015 წლიდან ერთ ქვეყანას ევროპალიგაზე 3-ზე მეტი კლუბის გამოყვანის უფლება არ ექნება. გაიზრდება იმ გუნდების რაოდენობა, რომელთაც პირდაპირ დაუშვებენ ჯგუფურ ეტაპზე 6 დან 16-მდე. ისინი 12 მოწინავე ასოციაციას წარადგენენ.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიის თასი. ფინალის წინ




# მგლები თუ არწივები?

## ბრძოლა ოლიმპიკოზე უნდა ნახოთ...

**მართალია, სერია A-ს 2012/2013 წლების გათამაშება უკვე დასრულდა, მაგრამ სეზონი ჯერ კიდევ გრძელდება, რადგან წინ იტალიის თასის ფინალი გველოდება. დიახ, კვირას „სტადიო ოლიმპიკოზე" ძალიან საინტერესო მატჩი შედგება, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ „რომა" და „ლაციო" წარდგებიან. თქმა არ სჭირდება, რომ აღნიშნული გუნდების დაპირისპირება ყოველთვის საინტერესოა და მით უმეტეს, როდესაც ტიტულის ბედი წყდება. თუმცა არა მარტო ტიტულის - თასის მომგები ევროპალიგის საგზურს მოიპოვებს, დამარცხებული კი მომდევნო სეზონში შიდა ასპარეზით შემოიფარგლება. მოკლედ, გუნდებს უდიდესი მოტივაცია აქვთ და ოლიმოიკოზე ისეთი ამბავი იქნება, დედა შვილს არ აიყვანს ხელში.**

### რომა

**აურელიო ანდრეაცოლის** ჯერ კიდევ ეიმედება, რომ „რომას" მთავარი მწვრთნელის პოსტს შეინარჩუნებს და მიზნის მისაღწევად სწორედ თასის მოგება სჭირდება. „ჯალოროსის" თავკაცი არც კი უშვებს იმ ფაქტს, რომ შესაძლოა მისი გუნდი დამარცხდეს:

*„სეზონის უმნიშვნელოვანესი მატჩია, რომელიც აუცილებლად ჩვენი გამარჯვებით უნდა დავასრულოთ. „რომას" გულშემატკივრები იმსახურებენ ტიტულს და იმედია, მიიღებენ კიდეც. თითოეულმა ფეხბურთელმა კარგად უნდა გაიაზროს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი მატჩი გველის წინ და თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თასის მოგებას. ეს ტიტული სტიმულს მოგვცემს, რომ ალებული გეზი გავაგრძელოთ და სამომავლოდ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მივაღწიოთ. დავრჩები თუ არა მთავარ მწვრთნელად? - ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა - სადაც არ უნდა ვიყო, მე ყოველთვის რომაელად ვიქნები".*

„გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, ანდრეაცოლი იმ ტაქტიკაზე შეაჩერებს არჩევანს, რომელსაც ბოლო პერიოდში ენდობა, 4-3-2-1. ერთადერთი და გამოკვეთილი ფორვარდი **პაბლო ოსვალდო** იქნება, უკნიდან კი მას **ფრანჩესკო ტოტი** და **ერიკ ლამელა** დაეხმარებიან. ნახევარდაცვაში მწვრთნელს დიდი არჩევანი აქვს და რთულად პროგნოზირებადია, რომელ ტრიოზე შეაჩერებს არჩევანს. მოახლოებულ პაექრობაზე მოკლე კომენტარი ტოტიმაც გააკეთა:

*„თუ გინდათ იხილოთ ნამდვილი ბრძოლა და ფეხბურთი, უყურეთ თასის ფინალს. ვფიქრობ, ჩვენი ჯახი გაცილებით უფრო საინტერესო იქნება, ვიდრე „ბაიერნი"-"ბორუსიას" დაპირისპირება".*



ვის დარჩება იტალიის თასი?

### ლაციო

აურელიო ანდრეაცოლისგან განსხვავებით, თავი ქუდში აქვს **ვლადიმირ პეტკოვიჩს** და გადაწყვეტილი ამბავია, რომ ის გააგრძელებს მუშაობას „ბიანკოჩელესტეს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ამის შესახებ თვით კლუბის პრეზიდენტმა, **კლაუდიო ლოტიტომ** განაცხადა და დასძინა, რომ მიმდინარე სეზონში, მწვრთნელის მუშაობით კმაყოფილია. ლოტიტო ბოლომდე კმაყოფილი მაშინ იქნება, თუ „ლაციო" თასის ფინალს მოიგებს და პეტკოვიჩს ეს ყველაზე კარგად ესმის:

*„წინ უმნიშვნელოვანესი თამაში გველის, რომლისთვისაც განსაკუთრებულად ვემზადებით. სერია A-ში გუნდის ასპარეზობა მთლიანობაში დადებითად შეფასდა, თასის მოპოვება კი სეზონის შესანიშნავი გვირგვინი იქნება. როგორი ტაქტიკით ვითამაშებთ? - ეს ჯერ არ ვიცი და შესაბამისად, პასუხის გაცემა გამიჭირდება. საერთოდ, ტაქტიკას და ძირითად თერთმეტეულს თამაშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ვადგენ და ამჯერადაც ასე მოვიქცევი. სასტარტოში ისინი იქნებიან, ვინც კონკრეტული მომენტისთვის უკეთეს კონდიციაში იქნება".*

ჟურნალისტს ტაქტიკასთან დაკავშირებით შემთხვევით არ დაუსვამს კითხვა - სეზონის მეორე ნახევარში, „ბიანკოჩელესტე" ან 4-5-1 სქემით ირჯება, ანაც 4-4-2-ით. მეორე უფრო სარისკოა, რადგან შეტევის წინა ხაზზე გასამწესებული ფეხბურთელებიდან (კლოზე, ფლოკარი, კოზაკი), შუა ხაზის და დაცვის დახმარება არავის ერხერხება. თანამედროვე ფეხბურთში, ორი კლასიკური ცენტრფორვარდით იშვიათად თამაშობენ და საინტერესოა, რას გადაწყვეტს პეტკოვიჩი. „ლაციოს" განსაკუთრებული დანაკლისი არ აქვს, ნამყვანი ფეხბურთელები ჯანზე არიან, დანარჩენი კი უშუალოდ მოედანზე გამოჩნდება.

### უსაფრთხოება

ყველას კარგად გვახსოვს, რა მოხდა ბოლო დედაქალაქურ დერბიზე - ტიფოზებმა ქალაქის ქუჩებში ჩხუბი გააჩაღეს და შედეგად, არაერთი გულშემატკივარი და კარაბინიერი დაშავდა. ბუნებრივია, სამართალდამცავი ორგანოები სრულ მობილიზბას აცხადებენ და თამაშის დღეს, მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადიან. სტადიონთან მისასვლელი რამდენიმე ქუჩა გადაიკეტება, რისი საშუალებითაც ტიფოზებს მაქსიმალურად გამიჯნავენ ერთმანეთისგან - „რომანისტები" და „ლაციალები" „სტადიო ოლიმპიკოზე" სხვადასხვა გზებით მივლენ. გულშემატკივრებს სიმშვიდისკენ თვით ქვეყნის პრეზიდენტმა **ჯორჯო ნაპოლეტანომ** მოუწოდა, რომელიც დაესწრება კიდეც თასის ფინალურ მატჩს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რომა (4-3-3):** ლობონტი - კასტანი, ბურდისო, მარკინიოსი, ბალცარეტი - დე როსი, ბრედლი, ფლორენცი - ტოტი, ლამელა - ოსვალდო.

**ლაციო (4-5-1):** მარკეტი - კონკო, ბიავა, დიასი, რადუ - გონსალესი, ლედესმა, ერნანესი, მაური, ლულიჩი - კლოზე.

**იტალიის თასის ბოლო 5 ფინალი**

**2011/2012**

**იუვენტუსი–ნაპოლი 0:2**

**გოლები:** 0:1 კავანი (63-პენ.), 0:2 ჰამშიკი (83).

**2010/2011**

**ინტერი–პალერმო 3:1**

**გოლები:** 1:0 ეტოო (26), 2:0 ეტოო (77), 2:1 მუნიოსი (88), 3:1 მილიტო (90).

**2009/2010**

**ინტერი–რომა 1:0**

**გოლი:** 1:0 მილიტო (39).

**2008/2009**

**ლაციო–სამპდორია 1:1 პენ: 6:5**

**გოლები:** 1:0 სარატე (4), 1:1 პაცინი (31).

**2007/2008**

**რომა–ინტერი 2:1**

**გოლები:** 1:0 მექსე (36), 2:0 პეროტა (53), 2:1 პელე (60).

**ლაშა წიკლაური**

ამბები

## ტიფოზებს ზეედორფი არ უნდათ

იტალიურ სპორტულ პრესაში, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური „მილანის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **მასიმილიანო ალეგრის** დარჩენა-არდარჩენის თემაა. 45 წლის სპეციალისტის ბედი სწორედ ამ დღეებში წყდება და ამ პროცესში გუნდის ქომაგებიც აქტიურად არიან ჩართულნი.

ცნობილი ამბავია, რომ ალეგრის მთავარი დამცველი **ადრიანო გალიანია**, რომელმაც მწვრთნელი გათავისუფლებისგან ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს იხსნა. მაშინ, ვიცე-პრეზიდენტმა თვით **სილვიო ბერლუსკონი** დაარწმუნა, რომ ალეგრის უნდა გაეგრძელებინა მუშაობა. ბერლუსკონი ამ ზაფხულსაც ცვლილებების მომხრეა და აგერ უკვე რამდენიმე დღეა, აქტიურად საუბრობენ მის ფავორიტ კანდიდატ **კლარენს ზეედორფზე**. 37 წლის ჰოლანდიელი ამჟამად ბრაზილიურ „ბოტაფოგოში" ასპარეზობს, მაგრამ „მილანიდან" შეთავაზების შემთხვევაში, კარიერის დასრულებას აპირებს. მოკლედ, აქეთ ბერლუსკონი და ზეედორფი - იქით გალიანი და ალეგრი... აი, ამ ორომტრიალში ტიფოზებიც ჩაერთვნენ და თავიანთი პოზიცია ჯერ ღია წერილში დააფიქსირეს, შემდეგ კი კლუბის ოფისთან საპროტესტო აქციაც გამართეს.

„მილანის" გულშემატკივართა ყველაზე დიდმა დაჯგუფებამ კლუბის მესვეურებს ღია წერილით მიმართა, სადაც ნათქვამია, რომ ტიფოზები სრულ მხარდაჭერას უცხადებენ მასიმილიანო ალეგრის და არ ეთანხმებიან კლარენს ზეედორფის კანდიდატურის განხილვასაც კი. ქომაგები სილვიო ბერლუსკონის ახსენებენ, რომ გუნდის გაახალგაზრდავების პროცესში ტიფოზებისგან სრული მხარდაჭერა მიიღო და არც წამყვანი ფეხბურთელების გასხვისებისას გამოუთქვამთ პროტესტი. ამ შემთხვევაში, გულშემატკივრები პრინციპულ პოზიციას იკავებენ და მათი სურვილის გათვალისწინებას ითხოვენ. მოკლედ, მასიმილიანო ალეგრის არა მარტო გალიანის, უკვე გულშემატკივართა მხარდაჭერაც აქვს და ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ბერლუსკონი.

## პლატინიმ იუვეს ქომაგები გაანაწყენა

უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმ** ფრიად გაანაწყენა „იუვენტუსის" გულშემატკივრები, რადგან ღიად განაცხადა, რომ ტურინულ გრანდს სკუდეტო 29-ჯერ აქვს მოგებული და არა 31-ჯერ. როგორც იცით, „კალჩოპოლის" ცნობილი პროცესების დროს, ტურინულ გრანდს ორი საჩემპიონო ტიტული ჩამოართვეს და მას შემდეგ, აზრები ორადაა გაყოფილი: „იუვეს" მესვეურები და უბრალო გულშემატკივრები 31-ზე დგანან და ეს სრულიად ბუნებრივია, საფეხბურთო სამყაროში მოღვაწე მალალჩინოსნები კი ოფიციალურ მონაცემებს იზიარებენ.

გასაკვირი ნამდვილად არაა, რომ უეფას პრეზიდენტმა გულშემატკივრის პოზიციიდან არ იმსჯელა და შემდეგი განაცხადა: *„კარგად მესმის, რომ ორ სკუდეტოზე უარის თქმა რთულია, მაგრამ რეალობას თვალებში უნდა ჩავხედოთ... „იუვეს" ჩამოერთვა 2005 და 2006 წლებში მოგებული ტიტულები, ჩვენ კი სამართალს პატივი უნდა ვცეთ. მინდა ტიფოზებს სიმშვიდისკენ მოვუწოდო, „ვეკია სენიორა" ძალიან მალე მოიგებს 30-ე და 31-ე სკუდეტოებს".*

უეფას პრეზიდენტს სხვა პოზიცია ნამდვილად ვერ ექნებოდა, მაგრამ ტურინელ გულშემატკივრებს აღნიშნული განცხადება მაინც გულზე მოხვდათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პლატინი წლების განმავლობაში სწორედ „იუვენტუსში" ასპარეზობდა და დღემდე ამ გუნდის ლეგენდად ითვლება.

**ლაშა წიკლაური**

ლიბერტადორესის თასი.
1/4 ფინალი. პირველი მატჩები

# დერბი გოლების გარეშე

## ატლეტიკო ბოლო წამებზე გადარჩა

**ლიბერტადორესის თასის მეოთხედფინალური ეტაპის დარჩენილი ორი შეხვედრა ძალიან საინტერესო გამოდგა. ბუენოს აირესში არგენტინული დერბი შედგა, ტიხუანაში კი სტუმრად ბრაზილიის ვიცე-ჩემპიონი და ტურნირის მთავარი ფავორიტი ჩავიდა.**

**ტიხუანა–ატლ. მინეირო 2:2**

**გოლები:** 1:0 რიასკოსი (32), 2:0 ფ. მარტინესი (53), 2:1 დიეგო ტარდელი (66), 2:2 ლუანი (90+2).

**ტიხუანა** (4-4-1-1): საუსედო - ხ. ნუნიესი, განდოლფი, ო. ორტისი, ე. კასტილიო - რ. რუისი (82. დ. მარკესი), პელერანო, ფ. არსე, ფ. მარტინესი (87. პისენო) - ა. მორენო (72. ჯ. კორონა) - რიასკოსი.

**ატლ. მინეირო** (4-2-3-1): ვიქტორი - მარკოს როჩა, რევერი, ჟილბერტო სილვა, ჟუნიორ სეზარი - პიერი, ლეანდრო დონიზეტი (82. ჟოსუე) - დიეგო ტარდელი, რონალდინიო, ბერნარდი (46. ლუანი) - ჟო (90. ალექსანდრო)

**ბოკა–ნიუელსი 0:0**

**ბოკა** (4-3-1-2): ორიონი - მარინი, კარუსო, გ. ბურდისო, კ. როდრიგესი - ერბესი, სომოსა, ერვიტი (83. სანჩეს მინიო) - რიკელმე - ბლანდი, ხ. მარტინესი (76. აკოსტა).

**ნიუელსი** (4-3-2-1): გუსმანი - მ. კასერესი, ვერხინი, ჰაინცე, კასკო - პ. პერესი (84. ბერნარდი), მატეო, კრუსადო - ვ. ფიგეროა (72. ტონსო), მაქსი როდრიგესი - სკოკო (90. ურუტი).

**გაძევება:** გ. ბურდისო (93. ბოკა ხუნიორსი).

**ბომბარდირები:** 6 - ჟო (ატლეტიკო მინეირო), დიეგო ტარდელი (ატლეტიკო მინეირო); 5 - ბარეირო (ოლიმპია), სკოკო (ნიუელს ოლდ ბოისი), ლუიშ ფაბიანო (სან პაულო), ბრიან როდრიგესი (უაჩიპატო).

„ბომბონერაზე" გამართული შეხვედრა უგოლოდ კი დასრულდა, მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც უგოლო ფრე ბევრ უხვგოლიან მატჩს სჯობს. მასპინძლები საკმაოდ სერიოზულ უპირატესობას ფლობდნენ და სტუმართა კარს ხშირად ემუქრებოდნენ. „ბოკას" რიგებში ყველაზე აქტიური **ნიკოლას ბლანდი** იყო, თუმცა თავდამსხმელს ხან დარტყმა არ გამოსდიოდა, ხან კი შესანიშნავად ირჯებოდა სტუმართა კიპერი **ნაუელ გუსმანი. ხერარდო მარტინოს** შეგირდებს მხოლოდ ერთი რეალური მომენტი ჰქონდათ, რომელიც **სკოკომ** შექმნა, თუმცა მისი დარტყმისას ფხიზლად იყო **აგუსტინ ორიონი,** ვინც ბურთი კუთხურზე მოიგერია. შეხვედრის საბოლოო შედეგი შანსს ორივე გუნდს უტოვებს, უბრალოდ არის ერთი გარემოება, რის გამოც, საპასუხო მატჩის წინ, „ნიუელსის" აქციათა ფასმა აიწია - შეხვედრის 90-ე წუთზე, არბიტრმა მოედნიდან **გილერმო ბურდისო** მიაბრძანა.

შესანიშნავი მატჩი გაიმართა ტიხუანაში, სადაც გულშემატკივრებმა ოთხი გოლი იხილეს. 52-ე წუთისთვის მასპინძლები ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ. გოლები **დუვიერ რიასკოსმა** და **ფიდელ მარტინესმა** გაიტანეს. სტუმრებს საკმაოდ უჭირდათ, ბევრი არაფერი გამოსდიოდათ **რონალდინიოს, ბერნარდს** და **ჟოს**, სამაგიეროდ გაიბრწყინა **დიეგო ტარდელიმ** - 28 წლის ფორვარდმა ჯერ სხვაობა შეამცირა, არბიტრის მიერ დამატებულ წუთებზე კი **ლუანს** შესანიშნავი პასი მიაწოდა და ანგარიში გაათანაბრებინა. საბოლოოდ, 2:2 და ამ წყვილში ფავორიტი ისევ „ატლეტიკო მინეიროა", თუმცა „ტიხუანას" არაერთხელ აქვს დამტკიცებული, რომ მათი წინასწარ ჩამოწერა არ შეიძლება.

**ტატო ბაციკაძე**

● ჩემპიონთა ლიგა

# ოტმარი და ლოთარი შეთანხმდნენ

## ყველა ლოგიკით ბაიერნმა უნდა მოიგოს!

**მიუნხენის „ბაიერნის“ ფანების აბსოლუტური უმრავლესობა დღესაც ამ აზრზეა: 1999 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში ოტმარ ჰიტცფელდს ლოთარ მათეუსი რომ არ შეეცვალა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ თამაშს ვერ შეატრიალებდაო. რას ფიქრობენ ოტმარი და ლოთარი დღევანდელ ფინალზე, ამას „სქაისთვის“ მიცემული ერთობლივი ინტერვიუდან შეიტყობთ.**

**- ჰერ ჰიტცფელდ, ჩემპიონთა ლიგის ფინალში გამარჯვება „ბაიერნს“ უწინასწარმეტყველეთ. რატომ?**

**ოტმარ ჰიტცფელდი:** „ბაიერნს“ ბევრ ასპექტში აქვს უპირატესობა. ჯერ მარტო ბუნდესლიგაში დაფიქსირებული 25-ქულიანი უპირატესობა რად ღირს და ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რაოდენ დიდი დომინაციით შეძლო მიუნხენურმა კლუბმა ბუნდესლიგის მოგება. „ბაიერნმა“ მხოლოდ 18 გოლი გაუშვა და ბოლო ტურში „გლადბახისგან“ მიღებული სამი გოლი არც უნდა ჩავთვალოთ. ეს მართლაც ფანტასტიკური კვოტაა, რომელიც ამტკიცებს, რომ ამ სეზონში რეკორდმაისტერი სრულყოფილი გუნდია. პირადად მე იმასაც ვხედავ, რომ „ბაიერნის“ ფეხბურთელებში გუნდური სულისკვეთება უმაღლეს დონეზეა და ფაქტია, რომ ბოლო წლებში რეკორდმაისტერს სწორედ ეს აკლდა. ამასთან, იუპ ჰაინკესის განკარგულებაში შესანიშნავი შემსრულებლები არიან - ყველა წინახაზელს შეუძლია როგორც კაცის მოტყუება, ისე კარგი პასის გაკეთება ან შეტევის გოლით დაგვირგვინება. ამ ყველაფერთან ერთად, „ბაიერნს“ არაპროგნოზირებადი და ძალზე მოქნილია. სწორედ ამის გამო ამყარებს რეკორდებს ამ სეზონში.

**- დორტმუნდის „ბორუსიაზე“ რას იტყვით?**

**ჰიტცფელდი:** ბოლო შეხვედრებში დორტმუნდელები ისე აღარ ინდომებდნენ, როგორც მანამდე. აქედან ჩანს, რომ წნეხის ქვეშ მოექცნენ და ფეხბურთელების დაშავების ეშინოდათ. მიმაჩნია, რომ მარიო გიოტცეს არყოფნა „ბორუსიასთვის“ ფატალურია და იურგენ კლოპის გუნდს ძალიან მცირე აქვს იმის შანსი, რომ „ბაიერნს“ ფეხი აუწყოს. ამ სეზონში დორტმუნდელები ხშირად უშვებენ შეცდომებს - „ბორუსია“ აღარ არის ისეთი სტაბილური, როგორიც შარშან იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონთა ლიგაში შესანიშნავად ასპარეზობდნენ და ფინალში გავიდნენ, „დორტმუნდს“ ბევრი სისუსტე აქვს.

**- თქვენ რას ფიქრობთ, ჰერ მათეუს?**

**ლოთარ მათეუსი:** ოტმარ ჰიტცფელდს თითქმის ყველაფერში ვეთანხმები - ფაქტები „ბაიერნის“ სასარგებლოდ მეტყველებენ. იმას დავამატებდი, რომ შარშანდელისგან განსხვავებით, ამ „ბაიერნს“ სათადარიგოთა სკამზეც კი ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავს. „დორტმუნდის“ სასარგებლოდ კი ის ფაქტი მეტყველებს, რომ „ბორუსია“ ამ ფინალში აუტსაიდერია, რაც იმას ნიშნავს, რომ იურგენ კლოპის გუნდს მხოლოდ მოგება შეუძლია, წაგებული კი მარცხის შემთხვევაშიც არ დარჩება. აქვე ისიც მახსენდება, რომ „ბაიერნი“ „ინტერთან“ და „ჩელსისთანაც“ ფავორიტად მიიჩნეოდა...

**- ჰაინკესი ამბობს, რომ შვაინშტაიგერი წელს მსოფლიოში საუკეთესო ნახევარმცველია. იქნებ, ამაში ის ნეგატიური მოვლენები დაეხმარა, რაც ბოლო წლებში გადაიტანა?**

**მათეუსი:** რა თქმა უნდა, ეს ხომ მის მოტივაციას მუდმივად ზრდიდა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ შვაინშტაიგერს ყველაზე მეტად მაინც მწვრთნელი დაეხმარა: ფაქტია, რომ ბასტიანი და ჰაინკესი ერთმანეთს იდეალურად უგებენ. იუპი ყოველთვის ამბობდა, შვაინშტაიგერში ლიდერს ვხედავო, რაც ბასტიანს თავდაჯერებას მატებდა და მაგრად აძლიერებდა.

**- ჯერჯერობით უცნობია, გავა თუ არა ჰაინკესი პენსიაზე. რას ურჩევს მას ოტმარ ჰიტცფელდი?**

**ჰიტცფელდი:** მეც ძალიან მაინტერესებს, რას გადაწყვეტს ჰაინკესი, დათანხმდება თუ არა იმას, რომ კვლავ მუდმივი სტრესის ქვეშ იყოს. თუ პენსიაზე გასვლა არ სურს, მას რომელიმე ნაკრების გაწვრთნას ვურჩევდი. ნაკრებში სტრესი ნაკლებია, წელიწადში მაქსიმუმ 12 მატჩი გიწევს.

**- აქამდე ეს არავის გახსენებია და იქნებ მას სულაც ესპანეთის ნაკრები ჩააბარონ - ვისენტე დელ ბოსკე რომ 2014 წელს მიდის...**

**ჰიტცფელდი:** რატომაც არა? იუპი ხომ შესანიშნავად საუბრობს ესპანურად და ძალიან კარგაც იცნობს ესპანურ მენტალიტეტს, კულტურას და ფეხბურთს.

**- როგორ ფიქრობთ, რა როლი აქვს „ბაიერნის“ წარმატებებში მათიას ზამერს?**

**ჰიტცფელდი:** მათიასს ყოველთვის გამარჯვებულის მენტალიტეტი ჰქონდა, მას ეს გენებში აქვს და ცხადია, „ბაიერნს“ ბევრი რამ შემატა. ზამერი ფეხბურთელებს ყოველთვის წნეხის ქვეშ ამყოფებს და გუნდს მოდუნების საშუალებას არ აძლევს. ზამერის დამსახურება პირველ რიგში ისაა, რომ „ბაიერნმა“ კონცენტრაციას სეზონის ბოლომდე შეინარჩუნა და თამაშებს გერმანიის ჩემპიონობის განაღდების მერეც იოლად და დიდი ანგარიშით იგებდა.

**- რაკი ჩემპიონთა ლიგის ფინალი გერმანულია, ლოგიკურია კითხვა: იქნებ, დიდი ხნის მერე ისევ გერმანელი გახდეს მსოფლიოს წლის საუკეთესო ფეხბურთელი?**

**ჰიტცფელდი:** ამ კითხვაზე პასუხი, შესაძლოა ფინალმა გაგვცეს. რობერტ ლევანდოვსკიმ „რეალთან“ შესრულებული პოკერით ისტორია შექმნა და თუ ფინალშიც 2-3 გოლს გაიტანს, „ოქროს ბურთის“ ნომერ პირველი კანდიდატი იქნება. „ბაიერნიდან“ კი ამის შანსი უდავოდ ფრანკ რიბერის აქვს, რომელმაც მართლაც ზღაპრული სეზონი ჩაატარა.

**მათეუსი:** იდეაში, ყოველთვის ისეა, რომ ამ წოდებას ის ფეხბურთელი ისაკუთრებს, რომლის გუნდიც სერიოზულ წარმატებას მიაღწევს. გამოკითხვაში ნაკრები გუნდების მწვრთნელები და კაპიტნები მონაწილეობენ. მართალია, აფრიკული ქვეყნების ნაკრები გუნდების წარმომადგენლები ჩემპიონთა ლიგის ფინალსაც უყურებენ, მაგრამ ისინი მთელ სეზონს ადევნებენ თვალს და იციან, რომ მესიმ 46 გოლი გაიტანა. მაგრამ თუ ლევანდოვსკი ფინალშიც გაიტანს, „ოქროს ბურთის“ დასაკუთრების შესანიშნავი შანსი ექნება.

**- სჭირდება თუ არა „ბაიერნს“ სატრანსფერო ბაზარზე გააქტიურება?**

**ჰიტცფელდი:** ვფიქრობ, „ბაიერნის“ ხელმძღვანელები ერთი ახალი ცენტრალური მცველის ყიდვაზე ფიქრობენ. რაკი ჰოლგერ ბადშტუბერი კიდევ 10 თვეს დაისვენებს, ფაქტია, რომ მიუნხენელებს ახალი ცენტრალური მცველი სჭირდებათ.

**- „მაინციდან“ გადაბირებული იან კირხჰოფი ამ სიცარიელეს ვერ შეავსებს?**

**ჰიტცფელდი:** არ ვიცი. ფაქტია, რომ ამ ბიჭს საკმარისი გამოცდილება არა აქვს. „ბაიერნში“ თამაში „მაინცში“ თამაშისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

**მათეუსი:** ბადშტუბერის გარდა „ბაიერნს“ ახლა ოთხნახევარი ცენტრალური მცველი ჰყავს: დანტე, ბოატენგი, ვან ბუიტენი (თუ კონტრაქტს გააგრძელებს) და კირხჰოფი. ოტმარი მართალია: რეკორდმაისტერი სხვა განზომილებაა და კირხჰოფს ჯერ ისე ვერ ენდობიან, როგორც საჭიროა. თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაცვის ცენტრში თამაში ხავი მარტინესსაც შეუძლია, მაგრამ ესპანელის დაცვაში დაყენებას აზრი მხოლოდ გამოუვალი მდგომარეობის დროს აქვს, რადგან მისი ადგილი ნახევარდაცვის ცენტრშია. მარტინესი და შვაინშტაიგერი ერთმანეთის გარეშე უკვე ველარ წარმომიდგენია.

**- იქნებ მიუნხენელებმა რომელიმე ტოპფეხბურთელი იყიდონ?**

**მათეუსი:** თუ „ბაიერნის“ ბოლოდროინდელ ტრანსფერებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ თუ მიუნხენელებს ესა თუ ის ფეხბურთელი სჭირდებათ, მზად არიან, ძალიან დიდი ფული გადაიხადონ. „ბაიერნის“ ხელმძღვანელები სატრანსფერო ბაზარზე ყოველთვის მიზანმიმართულად მოქმედებენ და გამონაკლისი არც ეს ზაფხული იქნება. მარიო გიოტცე უკვე დაიბევეს - ვნახოთ, ვინ იქნება შემდეგი.


ოტმარ ჰიტცფელდი და ლოთარ მათეუსი

**გოტფრიდ ლენცი**

● ბუნდესლიგა. რელეგაციის პირველი მატჩი



კაიზერსლაუტერნს მესამე გოლი სვენ შიპლოკმა გაუტანა, დიტმარ ჰოპი ტრიბუნაზე ხარობდა

# სოფლელები ელიტაში რჩებიან?

**ჰოფენჰაიმი–კაიზერსლაუტერნი 3:1**

**გოლები:** 1:0 რობერტო ფირმინო (11), 2:0 რობერტო ფირმინო (29), 2:1 იდრისუ (58), 3:1 შიპლოკი (67)

**ჰოფენჰაიმი (4-2-2-2):** კასტეელსი - ბეკი, აბრაამი, ვესტერგაარდი, თესკერი - პოლანსკი, რუდი (65. შიპლოკი) - სალიჰოვიჩი (87. ზიულე), ჯონსონი - რობერტ ფირმინო, ფოლანდი.

**კაიზერსლაუტერნი (4-2-2-2):** ზიპელი - დიკი, ტორეხონი, ჰაინტცი, ლიოვე - ბორისიუკი, ორბანი - ვაიზერი (76. ბუნიაკუ), ბაუმიოჰანი - ჰოფერი (68. რიდელი), იდრისუ (90. ცელნერი).

**გაფრთხილება:** სალიჰოვიჩი, ბეკი - ჰაინტცი, ტორეხონი, ბაუმიოჰანი

**მაყურებელი:** 30 150

ვისაც ბუნდესლიგის ბოლო ტურის წინ „ჰოფენჰაიმი“ უკვე მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული ეგონა, მწარედ შეცდა. ჯერ იყო და, „სოფლელებმა“ უკანასკნელ ტურში ყველასათვის მოულოდნელად დორტმუნდში გაიმარჯვეს (2:1) და რელეგაციაზე თამაშის უფლება მოიპოვეს. ახლა კი მეორე ბუნდესლიგის მესამეადგილოსან „კაიზერსლაუტერნთან“ პირველ რაუნდში 3:1 იმარჯვეს და ელიტაში დარჩენასთან ძალიან ახლოს არიან. ფაქტია, რომ „ჰოფემ“ საპასუხო მატჩის წინ მშვენიერი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ საპასუხო შეხვედრაში, რომელიც ბეტცენბერგზე ორშაბათს გაიმართება, ჯოჯოხეთი ელის.

მიუხედავად იმისა, გადარჩება თუ არა „ჰოფე“, უკვე ფაქტია, რომ გუნდის მფლობელმა **დიტმარ ჰოპმა** სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა სეზონის მიწურულს მწვრთნელად **მარკუს გისდოლი** დანიშნა. სწორედ ამ უკანასკნელის ხელში მოახერხეს „სოფლელებმა“ (ჰოფენჰაიმში 3000 ადამიანი ცხოვრობს) მე-16 ადგილზე ალზევება.

„კაიზერსლაუტერნმა“ საპირველბუნდესლიგო ფეხბურთი ვერ ითამაშა, თუმცა **მაჰამადუ იდრისუს** გოლმა „წითელი ეშმაკების“ ქომაგებს ელიტაში ალზევების იმედი დაუტოვა - ფაქტია, რომ „ფრიც ვალტერ შტადიონზე“ „ლაუტერნი“ სულ სხვანაირად ითამაშებს. „ჰოფეს“ გმირი კი **რობერტო ფირმინო** გახდა, რომელმაც დუბლი შეასრულა. იდრისუს გოლის შემდეგ კი, საბოლოო და „ჰოფენჰაიმისთვის“ სასურველი ანგარიში გისდოლის ჯოკერმა **სვენ შიპლოკმა** დააფიქსირა.

**გოტფრიდ ლენცი**

● საფრანგეთი. ლიგა 1. XXXVIII ტურის წინ

# დაუსწრებელი დერბი დუ რონი

**დერბი დუ რონი საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და დაძაბული დაპირისპირებაა. „ლიონის“ და „სენტ ეტიენის“ ურთიერთობა, ყველაზე მეტად, „სანდერლენდის“ და „ნიუკასლის“, ან „შალკეს“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ დამოკიდებულებას შეგვიძლია შევადაროთ. ორ ქალაქს შორის ძალიან მცირე მანძილია, გულშემატკივრები კი ერთმანეთს დასანახად ვერ იტანენ, ერთი ბანაკიდან მეორეში გადასული ფეხბურთელი კი სამუდამოდ ხდება ერთი ბანაკის მოღალატე და მეორის გმირი...**

| 25 მაისი | |
|---|---|
| აიაჩო-ნიცა | 23:00 |
| ლორიანი-პსჟ | 23:00 |
| ბორდო-ევიანი | 23:00 |
| ლილი-სტ. ეტიენი | 23:00 |
| მარსელი-რეიმსი | 23:00 |
| ლიონი-რენი | 23:00 |
| ბასტია-სოშო | 23:00 |
| ბრესტი-ნანსი | 23:00 |
| ტულუზი-მონპელიე | 23:00 |
| ვალანსიენი-ტრუა | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 37 | 24 | 8 | 5 | 66-22 | 80 |
| 2. მარსელი | 37 | 21 | 7 | 9 | 42-36 | 70 |
| 3. ლიონი | 37 | 18 | 10 | 9 | 59-38 | 64 |
| 4. სტ. ეტიენი | 37 | 16 | 14 | 7 | 59-31 | 62 |
| 5. ლილი | 37 | 16 | 13 | 8 | 58-39 | 61 |
| 6. ნიცა | 37 | 17 | 10 | 10 | 55-46 | 61 |
| 7. ლორიანი | 37 | 14 | 11 | 12 | 56-55 | 53 |
| 8. მონპელიე | 37 | 15 | 7 | 15 | 54-49 | 52 |
| 9. ბორდო | 37 | 12 | 16 | 9 | 38-33 | 52 |
| 10. ტულუზი | 37 | 12 | 12 | 13 | 47-47 | 48 |
| 11. რენი | 37 | 13 | 7 | 17 | 48-57 | 46 |
| 12. ბასტია | 37 | 13 | 7 | 17 | 50-66 | 46 |
| 13. ვალანსიენი | 37 | 11 | 12 | 14 | 47-52 | 45 |
| 14. რეიმსი | 37 | 10 | 12 | 15 | 33-42 | 42 |
| 15. ევიანი | 37 | 10 | 10 | 17 | 45-51 | 40 |
| 16. აიაჩო | 37 | 9 | 15 | 13 | 39-49 | 40 |
| 17. სოშო | 37 | 10 | 10 | 17 | 41-57 | 40 |
| 18. ტრუა | 37 | 8 | 13 | 16 | 42-59 | 37 |
| 19. ნანსი | 37 | 8 | 11 | 18 | 36-57 | 35 |
| 20. ბრესტი | 37 | 8 | 5 | 24 | 31-60 | 29 |

**შენიშვნა:** „აიაჩოს“ - 2 ქულა

**ბომბარდირები:** 29 - იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 19 - ობამეიანი (სენტ ეტიენი); 18 - ცვიტანიჩი (ნიცა); 16 - გომისი (ლიონი); 15 - ალიადიერი (ლორიანი), მოდესტი (ბასტია).

ამ ტურში სეზონის მესამე დერბის ვიხილავთ, ოღონდ ეს დერბი დაუსწრებელია, რადგან „ლიონი“ შინ „რენს“ უმასპინძლებს, „სენტ ეტიენი“ კი ლილში ითამაშებს. „სტად ჟერლანის“ ბინადრები და „მწვანეები“ მესამე ადგილისთვის და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურისთვის იბრძვიან. გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია „ლიონი“, რომელიც ცხრილშიც წინ არის, შინ თამაშობს და მეტოქეც უფრო სუსტი და უმოტივაციო ჰყავს. აი, „სენტ ეტიენი“ მძიმე მდგომარეობაშია, რადგან მოტივაცია „ლილსაც“ საკმაოდ დიდი აქვს - **რუდი გარსიას** გუნდი ევროთასების საგზურისთვის იბრძვის და თუ გაუმართლებს, შესაძლოა მესამე ადგილზე თავად გავიდეს. ამისთვის საჭიროა „ლიონმა“ შინ წააგოს, „ლილმა“ კი „სენტ ეტიენს“ მოუგოს.

*„ეს ჩვენი ბოლო შანსია. გამოთვლები საჭირო არაა, თუ მოვიგებთ - ევროპა ლიგაზე გავალთ, შესაძლოა მეტსაც მივაღწიოთ. ჩვენთვის ეს კიდევ ერთი ფინალია. გამარჯვება ან სიკვდილი,“* - განაცხადა „ლილის“ ერთ-ერთმა ლიდერმა **რიო მავუბამ**.

გუნდებს ახალი დანაკლისი არ აქვთ. „ლილიც“ და „სენტ ეტიენიც“ ბოლო ტურს სრული შემადგენლობებით ხვდებიან. აღსანიშნავია, რომ ამ სეზონში მათ შორის უკვე სამი მატჩი გაიმართა. ჩემპიონატის პირველ წრეში „ლილმა“ სტუმრად იმარჯვა (2:1), ლიგის თასის მატჩი ფრედ დასრულდა (პენალტებში „სენტ ეტიენმა“ მოიგო), თასზე კი გამარჯვება „სენტ ეტიენმა“ იზეიმა.

რაც შეეხება „სტად ჟერლანზე“ გასამართ შეხვედრას: „ლიონს“ **სამუელ უმტიტი** არ ეყოლება, რომელიც ტრავმის გამო სეზონის ბოლო შეხვედრას გამოტოვებს, მაგრამ ეს არაფერია „რენის“ დანაკლისთან შედარებით. **ფრედერიკ ანტონეტის**, სხვადასხვა მიზეზის გამო, ბოლო ტურში არ ეყოლება: **ჯონ ბოიე** (დისკვალიფიკაცია), **ჯონ მენსა, კევინ ტეოფილ-კატერინი, ერია ილუნგა, ვიქტორ მონტანიო** და დიდი ხნის წინ ტრავმირებული **რომენ ალესანდრინი** (ყველა ტრავმა). როგორც ხედავთ, სტუმრებს სერიოზული დანაკლისი აქვთ და „ლიონი“ ამ დაპირისპირებაში აშკარად გამოკვეთილი ფავორიტია, თუმცა აქვე ერთი საინტერესო სტატისტიკური ინფორმაცია უნდა მოგაწოდოთ: „ლიონს“ შინ „რენი“ 2005 წლის შემდეგ არ დაუმარცხებია (5 ფრე და 2 წაგება).

ევროპალიგის საგზურის მოპოვება შეუძლია „ნიცასაც“. ზღვისპირელებმა „აიაჩოს“ უნდა მოუგონ და იმის იმედი ჰქონდეთ, რომ „ლილს“ ფეხი დაუცდება.

### ბრძოლა გადარჩენისთვის

ლიგა 1-ის ბოლო ტურმა კიდევ ერთი საკითხი, მესამე გავარდნილი გუნდის ვინაობა უნდა გაარკვიოს. „ევიანის“ და „აიაჩოს“ გავარდნა წარმოუდგენელია (მათ დიდი ანგარიშით უნდა წააგონ, „სოშომ“ მინიმუმ ქულა აიღოს, ხოლო „ტრუამ“ ასევე დიდი ანგარიშით იმარჯვოს). რეალურად, გადარჩენისთვის ორი გუნდი იბრძვის: „სოშო“ და „ტრუა“.

„სოშო“ ამ ტურში კორსიკაზე თამაშობს და იმისთვის, რომ ლიგა 1-ში მორიგი სეზონი ჩაატაროს (შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი ამ მხრივ რეკორდსმენია), ფრეც ეყოფა. მასპინძლები მოტივაციის გარეშე არიან, თანაც „ბასტიას“ რამდენიმე ლიდერი (**იატაბარე, ხაზრი, როტენი, ტოვენი**) ტრავმის გამო აკლია. „ტრუამ“ ბოლო დროს ძალიან მოუმატა - **ჟან-მარკ ფურლანის** გუნდმა ბოლო 5 მატჩიდან 4 მოიგო და თუ 32-ე ტურის შემდეგ „სოშოს“ 7 ქულით ჩამორჩებოდა, ამჯერად სხვაობა უკვე სამი ქულაა, თუმცა ყველაფერი მაინც მეტოქის ხელშია.

**ტატო ბაციკაძე**

## ● ყველა ფინალი 1993 წლიდან

**1992/1993. მიუნხენი. „ოლიმპიაშტადიონი"**

**მარსელი-მილანი 1:0**

**მარსელი (4-4-2):** ბარტეზი - ანგლომა (61. დურანი), დესაი, ბოლი, დი მეკო - ეიდელი, საუზი, დეშამი, აბედი პელე - ბოკაი, ფიოლერი (78. თომასი).
**მილანი (4-4-2):** როსი - ტასოტი, ბარეზი, კოსტაკურტა, პ. მალდინი - დონადონი (54. პაპენი), რიიკაარდი, ალბერტინი, ლენტინი - მასარო, ვან ბასტენი (85. ერანიო).
**გოლი:** 1:0 ბოლი (44)
**გაფრთხილება:** დი მეკო, ბოლი, ბარტეზი, დესაი - ლენტინი
**მსაჯი:** კურტ რიოთლისბერგერი (შვეიცარია)
**მაყურებელი:** 64 000

**1993/1994. ათენი. ოლიმპიური**

**მილანი-ბარსელონა 4:0**

**მილანი (4-3-1-2):** როსი - პანუჩი, ტასოტი, გალი, პ. მალდინი (83. ნავა) - დონადონი, დესაი, ალბერტინი - ბობანი - სავიჩევიჩი, მასარო.
**ბარსელონა (4-3-1-2):** სუბისარეტა - ფერერი, ნადალი, კუმანი, სერხი (72. კიკე) - გარდილო, ბაკერო, ამორი - სტოიჩკოვი - რომარიო, ბეგირისტაინი (51. ეუსებიო).
**გოლები:** 1:0 მასარო (22), 2:0 მასარო (45), 3:0 სავიჩევიჩი (47), 4:0 დესაი (58)
**გაფრთხილება:** ტასოტი, მასარო, ალბერტინი, პანუჩი - ბაკერო, ნადალი, სერხი, ფერერი
**მსაჯი:** ფილიპ დონი (ინგლისი)
**მაყურებელი:** 76 000

**1994/1995. ვენა. „ერნსტ ჰაპელ შტადიონი"**

**აიაქსი-მილანი 1:0**

**აიაქსი (4-4-1-1):** ვან დერ სარი - რაიციგერი, ბლინდი, ფ. დე ბური, ჯორჯ ფინიდი - რ. დე ბური, რიიკაარდი, ზეედორფი (54. კანუ), დავიდსი - ლიტმანენი (68. კლუივერტი) - ოვერმარსი.
**მილანი (4-3-1-2):** როსი - პანუჩი, კოსტაკურტა, ბარეზი, პ. მალდინი - დონადონი, ალბერტინი, დესაი - ბობანი - მასარო (90. ერანიო), სიმონე.
**გოლი:** 1:0 კლუივერტი (84)
**გაფრთხილება:** ბლინდი, ოვერმარსი
**მსაჯი:** იონ კრაკიუნესკო (რუმინეთი)
**მაყურებელი:** 49 700

**1995/1996. რომი. „ოლიმპიკო"**

**იუვენტუსი-აიაქსი 1:1 (პ. ს. 4:2)**

**იუვენტუსი (4-3-1-2):** პერუცი - პესოტო, ფერარა, ვიერხოვოდი, ტორიჩელი - კონტე (44. იუგოვიჩი), დეშამი, პაულო სოუზა (58. დი ლივიო) - დელ პიერო - ვიალი, რავანელი (77. პადოვანო).
**აიაქსი (5-3-1-1):** ვან დერ სარი - სილოოი, ბლინდი, ფ. დე ბური (69. სხოლტენი), ბოგარდი, ჯორჯ ფინიდი - რ. დე ბური (91. ვუტერი), დავიდსი, მუსამპა (46. კლუივერტი) - ლიტმანენი - კანუ.
**გოლები:** 1:0 რავანელი (13), 1:1 ლიტმანენი (42)
**პენალტების სერია:** 0:0 დავიდსი, 1:0 ფერარა, 1:1 ლიტმანენი, 2:1 პესოტო, 2:2 სხოლტენი, 3:2 პადოვანო, 3:2 სილოოი, 4:2 იუგოვიჩი
**გაფრთხილება:** დეშამი, ტორიჩელი, დი ლივიო, იუგოვიჩი - ბლინდი, ფინიდი, ვუტერი
**მსაჯი:** ვილიამ მატუს ვეგა
**მაყურებელი:** 67 000

**1996/1997. მიუნხენი. „ოლიმპიაშტადიონი"**

**დორტმუნდი-იუვენტუსი 3:1**

**დორტმუნდი (4-1-2-1-2):** კლოსი - კრეე, კოლერი, როიტერი, ზამერი - ლამბერტი - ჰაინრიხი, სოუზა - მიოლერი (89. ცორკი) - რიდლე (67. ჰერლიხი), შაპუიზა (70. რიკენი).
**იუვენტუსი (4-3-1-2):** პერუცი - პორინი (46. დელ პიერო), ფერარა, მონტერო, იულიანო - დი ლივიო, იუგოვიჩი, დეშამი - ზიდანი - ბოკშიჩი (88. ტაკინარდი), ვიერი (73. ამორუზო).
**გოლები:** 1:0 რიდლე (29), 2:0 რიდლე (34), 2:1 დელ პიერო (66), 3:1 რიკენი (71)
**გაფრთხილება:** სოუზა, რიკენი - პორინი, იულიანო
**მსაჯი:** შანდორ პული (უნგრეთი)
**მაყურებელი:** 59 000

**1997/1998. ამსტერდამი. „ამსტერდამ არენა"**

**რეალი-იუვენტუსი 1:0**

**რეალი (4-3-1-2):** ილგნერი - პანუჩი, სანჩისი, იერო, რობერტო კარლოსი - ზეედორფი, კარემბუ, რედონდო - მიატოვიჩი (89. შუკერი) - მორიენტესი (81. ხაიმე), რაული (90. ამავისკა).
**იუვენტუსი (4-3-1-2):** პერუცი - პესოტო (70. ფონსეკა), მონტერო, იულიანო, ტორიჩელი - დი ლივიო (46. ტაკინარდი), დეშამი (90. კონტე), დავიდსი - ზიდანი - ფ. ინძაგი, დელ პიერო.
**გოლი:** 1:0 მიატოვიჩი (66)
**გაფრთხილება:** იერო, რობერტო კარლოსი, კარემბუ, ზეედორფი - დავიდსი, მონტერო
**მსაჯი:** ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
**მაყურებელი:** 45 000

**1998/1999. ბარსელონა. „ნოუ კამპი"**

**მანჩესტერი-ბაიერნი 2:1**

**მანჩესტერი (4-4-2):** შმაიხელი - გ. ნევილი, ჯონსონი, სტამი, ირვინი - ბექჰემი, ბატი, ბლომკვისტი (67. შერინგემი), გიგზი - იორკი, კოული (81. სოლსკიაერი).
**ბაიერნი (4-4-2):** კანი - ბაბელი, მათეუსი (80. ფინკი), ლინკე, კუფური - ბასლერი (89. სალიჰამიჯიჩი), ეფენბერგი, იერემისი, ტარნატი - ციკლერი (71. შოლი), იანკერი.
**გოლები:** 0:1 ბასლერი (6), 1:1 შერინგემი (90), 2:1 სოლსკიაერი (90)
**გაფრთხილება:** ეფენბერგი
**მსაჯი:** პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
**მაყურებელი:** 90 000

**1999/2000. პარიზი. „სტად დე ფრანსი"**

**რეალი-ვალენსია 3:0**

**რეალი (3-3-2-2):** კასილიასი - კამპო, ელგერა, კარანკა - სალგადო (85. იერო), რედონდო, რობერტო კარლოსი - მაკმანამანი, რაული - მორიენტესი (72. სავიო), ანელკა (80. სანჩისი).
**ვალენსია (4-2-2-2):** კანისარესი - ანგლომა, ჯუკიჩი, პელეგრინო, ხერარდო (69. ილიე) - ფარინოსი, ხერარდი - მენდიეტა, კილი გონსალესი - ანგულო, კ. ლოპესი.
**გოლები:** 1:0 მორიენტესი (39), 2:0 მაკმანამანი (67), 3:0 რაული (75)
**გაფრთხილება:** რობერტო კარლოსი, სალგადო - ხერარდო, კანისარესი, პელეგრინო, ფარინოსი
**მსაჯი:** სტეფანო ბრასკი (იტალია)
**მაყურებელი:** 73 000

**2000/2001. მილანი. „სან სირო"**

**ბაიერნი-ვალენსია 1:1 (პ. ს. 5:4)**

**ბაიერნი (5-2-2-1):** კანი - სანიოლი (46. იანკერი), კუფური, პ. ანდერსონი, ლინკე, ლიზარაზუ - ჰარგრივსი, ეფენბერგი - შოლი (108. პაულო სერჟიო), სალიჰამიჯიჩი - ელბერი (100. ციკლერი).
**ვალენსია (4-1-2-1-2):** კანისარესი - ანგლომა, აიალა (89. ჯუკიჩი), პელეგრინო, კარბონი - ბარახა - მენდიეტა, კილი გონსალესი - აიმარი (46. ალბელდა) - ხუან სანჩესი (66. ზაჰოვიჩი), კარეუ.
*მე-7 წუთზე შოლმა (ბაიერნი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*
**გოლები:** 0:1 მენდიეტა (3-პენ), 1:1 ეფენბერგი (50-პენ)
**პენალტების სერია:** 0:0 პაულო სერჟიო (ააცილა), 0:1 მენდიეტა, 1:1 სალიჰამიჯიჩი, 1:2 კარეუ, 2:2 ციკლერი, 2:2 ზაჰოვიჩი (მეკარე), 2:2 პ. ანდერსონი (მეკარე), 2:2 კარბონი (მეკარე), 3:2 ეფენბერგი, 3:3 ბარახა, 4:3 ლიზარაზუ, 4:4 კილი გონსალესი, 5:4 ლინკე, 5:4 პელეგრინო (მეკარე)
**გაფრთხილება:** პ. ანდერსონი - კანისარესი, კარბონი, კილი გონსალესი
**მსაჯი:** დიკ იოლი (ჰოლანდია)
**მაყურებელი:** 74 500

**2001/2002. გლაზგო. „ჰემდენ პარკი"**

**ლევერკუზენი-რეალი 1:2**

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ბუტი - სებესკენი (65. კირსტენი), ჟივკოვიჩი, ლუსიო (91. ბაბიჩი), პლასენტე - რამელოვი, ბალაკი - ბ. შნაიდერი, ბაშთურქი, ნოივილი - ბრდარიჩი (39. ბერბატოვი).
**რეალი (4-2-3-1):** სესარ სანჩესი (1. კასილიასი) - სალგადო, იერო, ელგერა, რობერტო კარლოსი - მაკელელე (73. ფლავიო კონსეისაო), სოლარი - ფიგუ (61. მაკმანამანი), ზიდანი, რაული - მორიენტესი.
**გოლები:** 0:1 რაული (9), 1:1 ლუსიო (14), 1:2 ზიდანი (45)
**გაფრთხილება:** სალგადო, რობერტო კარლოსი
**მსაჯი:** ურს მაიერი (შვეიცარია)
**მაყურებელი:** 51 567

## ● ჩემპიონთა ლიგა. ფინალის წინ



# BVB VS FCB

# პირველი გერმანული ფინალი

**ბორუსია-ბაიერნი 22:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბორუსია (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, ჰუმელსი, სუბოტიჩი, შმელცერი - გიუნდოგანი, ს. ბენდერი - ბლაშჩიკოვსკი, როისი, გროსკროიტცი - ლევანდოვსკი.
**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ბოატენგი, დანტე, ალაბა - ხავი მარტინესი, შვაინშტაიგერი - რობენი, მიულერი, რიბერი - მანჯუკიჩი.
**არბიტრი:** ნიკოლა რიცოლი (იტალია)
**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ოვომოიელა, გიოტცე - ბადშტუბერი, კროოსი

**ურთიერთშეხვედრები**

**ჩემპიონთა ლიგის 1/4 ფინალი**

**04/03/1998**

**ბაიერნი-ბორუსია 0:0**

**18/04/1998**

**ბორუსია-ბაიერნი 1:0**

**გოლი:** 1:0 შაპუიზა (109).

**სულ 2 თამაში: +1 =1 -0 (1:0)**

**ურთიერთშეხვედრები ყველა ტურნირზე**

**სულ 100 თამაში: +26 =29 -45**

### ბორუსია

მთავარი სიახლე და სალაპარაკო თემა, რომელიც დორტმუნდულ კლუბს შეეხება, რა თქმა უნდა, **მარიო გიოტცეა** - მიუნხენის „ბაიერნის" მომავალი ფეხბურთელი ფინალურ შეხვედრას ტრავმის გამო გამოტოვებს, რაც „ბორუსიასთვის" დიდი დანაკლისია, თუმცა ვინ იცის, იქნებ ასე უკეთესიც იყოს...

გოიტცეს გარდა (**ოვომოიელას** თუ არ ჩავთვლით) **იურგენ კლოპის** გუნდს დანაკლისი არ აქვს. „ბორუსიამ" ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონში ძალიან კარგად იასპარეზა და პირველი მარცხი მხოლოდ 1/2 ფინალის საპასუხო შეხვედრაში განიცადა, რითაც 12-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა. „რეალთან" წაგებული იმ შეხვედრის შემდეგ, BVB-მ ბუნდესლიგაში სამი მატჩი ჩაატარა და ერთიც ვერ მოიგო (2 ფრე და 1 წაგება). ასეთი უიღბლო სერია (4-მატჩიანი) „ბორუსიას" ბოლოს 2011 წლის სექტემბერში ჰქონდა, 5-მატჩიანი მოუგებელი სერია კი გუნდს 2009 წლის სექტემბრის შემდეგ არ ჰქონია.

### ბაიერნი

მიუნხენელებს ახალი დანაკლისი არ აქვთ. **ჰოლგერ ბადშტუბერი** და **ტონი კროოსი** დიდი ხანია ტრავმირებულნი არიან და მათი ფინალურ შეხვედრაში მონაწილეობა თავიდავე გამორიცხული იყო.

მიუნხენელები შეხვედრის ფავორიტად ითვლებიან და ამაში გასაკვირი არაფერია. **იუპ ჰაინკესის** სამწყსომ მთელი სეზონი დამაჯერებლად განვლო და „ბატესთან" წაგებას თუ არ ჩავთვლით, ჩავარდნა არ ჰქონია. „რეკორდმაისტერს", რომელმაც ბუნდესლიგის ჩემპიონის ტიტული სარეკორდოდ მოკლე დროში გაინაღდა, ჰეთთრიქის შესრულების შანსი აქვს და მიუნხენელები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ 1999 წელი არ გაიმეორონ. შეგახსენებთ, რომ „ბაიერნი" მაშინაც სამი ტიტულისთვის იბრძოდა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ფინალში დამარცხების შემდეგ, მიუნხენელებმა გერმანიის თასის ფინალიც წააგეს და მხოლოდ ჩემპიონობის ამარა დარჩნენ.

### ისევ ურთიერთშეხვედრებზე

გუნდები წელს ერთმანეთს უკვე 4-ჯერ შეხვდნენ. ბუნდესლიგაში გამართული ორივე მატჩი ფრედ, 1:1 დასრულდა. გერმანიის თასზე „ბაიერნმა" 1:0 იმარჯვა, სუპერთასზე კი 2:1. როგორც ხედავთ, „ბაიერნს" მეტოქესთან 4-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს, მაგრამ ეს სტატისტიკა შესაძლოა მატყუარა იყოს. მხოლოდ ბუნდესლიგაში გამართულ მატჩებს თუ გადავხედავთ, „ბორუსიას" „ბაიერნთან" უკვე 6 მატჩია არ წაუგია. უკანასკნელად მიუნხენელებმა დორტმუნდელებს 2010 წელს მოუგეს, იქიდან მოყოლებული კი 4 წააგეს და 2 ფრედ ითამაშეს.

### კლოპი: გადამწყვეტი მალაგასთან მატჩი იყო

*„სწორედ „მალაგასთან" მოპოვებული იმ საოცარი გამარჯვების შემდეგ გავიფიქრე, რომ ჩვენ ჩემპიონთა ლიგის მოგება შეგვეძლო. შესაძლოა, ჩვენი ფინალში გასვლა მოულოდნელობაა, მაგრამ სენსაცია ნამდვილად არ არის,"* განაცხადა იურგენ კლოპმა.

„ბორუსიას" დამრიგებელმა, რომელიც კლუბს სათავეში 2008 წლიდან უდგას, განაცხადა, რომ მისი გუნდის ტაქტიკა გუნდურობაზე და ურთიერთ დახმარებაზეა დამყარებული:

*„ფეხბურთი გუნდური სპორტია და მისი მთავარი აზრი ერთმანეთისთვის დახმარების გაწევაა. ოჯახის წევრების შემდეგ, ფეხბურთელისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანი თანაგუნდელი უნდა იყოს".*

ფინალური მატჩის შესახებ 45 წლის სპეციალისტმა შემდეგი მოსაზრება გამოთქვა:

*„ჩვენ, ისევე როგორც „ბაიერნი", მეტოქეების სათამაშო სტილზე მორგებას არასდროს ვცდილობთ. რატომ უნდა გავაკეთოთ ეს ახლა? მხოლოდ იმის გამო რომ ფინალია? ჩვენ ამას ნამდვილად არ ვიზამთ. ორივე გუნდი ერთმანეთს*

**სტატისტიკა**

| ბორუსია | | ბაიერნი |
|---|---|---|
| 12 | თამაში | 12 |
| 7 | მოგება | 9 |
| 4 | ფრე | 1 |
| 1 | წაგება | 2 |
| 23 | გატანილი | 29 |
| 12 | გაშვებული | 10 |
| ლევანდოვსკი - 10 | ბომბარდირი | მიულერი - 8 |
| 107 | კარში დარტყმა | 104 |
| 55 | კარისკენ დარტყმა | 84 |
| 56 | კუთხური | 100 |
| 26 | თამაშგარე | 27 |
| 145 | ჯარიმა | 166 |
| 13 | ყვითელი ბარათი | 28 |
| 0 | წითელი ბარათი | 1 |


ESET
PREMIUM AUTOPARTS
ESET
პრემიუმ ავტონაწილები
NGK
Continental CONTITECH
BILSTEIN
TEXTAR
ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში
მის:. ხომარაულის ქ. 25 ტელ:. 234 09 14 www.autoparts.ge






*საკმარისად კარგად იცნობს და თამაშის დაწყების წინ რაიმე სიურპრიზი გამორიცხულია. მთავარია, რომ ვიმოქმედოთ ზუსტად ისე, როგორც აქამდე ვმოქმედებდით, ოლონდ ამჯერად ეს განსაკუთრებულად კარგად უნდა გავაკეთოთ".*

### ჰაინკესი: ასეთი რამ არასდროს გამომიცდია

თუ „ბაიერნი" ფინალს მოიგებს, იუპ ჰაინკესი გახდება მე-19 მწვრთნელი ისტორიაში, ვინც ჩემპიონთა ლიგა ორჯერ მოიგო. შეგახსენებთ, რომ 68 წლის სპეციალისტმა 1998 წელს ეს ტურნირი მადრიდის „რეალს" მოაგებინა და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მაშინ „რეალმა" 1/2 ფინალში სწორედ „ბორუსიას" მოუგო.

წლევანდელი სეზონი „ბაიერნისთვის" მართლაც განსაკუთრებულია. ბევრი სპეციალისტის აზრით, ეს ყველა დროის საუკეთესო „ბაიერნია" და ამ გუნდის წარმატებების მთავარი შემოქმედი სწორედ ჰაინკესია. აი, რა განაცხადა იუპმა ფინალური მატჩის წინ:

*„ასეთი რამ აქამდე არასდროს გამომიცდია. ჩვენ შესანიშნავ სეზონს ვატარებთ, რომლის დროსაც პრაქტიკულად ყველა რეკორდი დავამხეთ. როგორც წესი, როდესაც ბევრს იტან, ბევრსაც უშვებ, მაგრამ... ისეთმა ფეხბურთელებმა, როგორებიც არიან ფრანკ რიბერი, არიენ რობენი, მარიო გომესი, მარიო მანჯუკიჩი, თომას მიულერი, ჯერდან შაჩირი, დაცვაში თამაში ისწავლეს, რაც თანამედროვე ფეხბურთში აუცილებელია".*

აქვე აღვნიშნოთ, რომ ჰაინკესს ერთი გერმანული ფინალი უკვე წაგებული აქვს - 1980 წლის უეფას თასის ფინალში, მის მიერ განვრთნილი მიონხენგლადბახის „ბორუსია" ფრანკფურტის „აინტრახტთან" დამარცხდა.

### ისევ სტატისტიკა

„ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში მეათედ გავიდა. მიუნხენელებმა წინა 9 შეხვედრიდან 4 მოიგეს და 5 წააგეს. გამარჯვების შემთხვევაში, „ბაიერნი" ტიტულების რაოდენობით „ლივერპულს" წამოეწევა და წინ მხოლოდ „მილანი" (7 ტიტული) და „რეალი" (9 ტიტული) იქნებიან.

„ბორუსია" ფინალში მეორე გავიდა და მოგების შემთხვევაში 100-პროცენტიან შედეგს შეინარჩუნებს.

„ბაიერნს" ბუნდესლიგაში ყველაზე დიდი ანგარიშით 1971 წელს აქვს მოგებული. მიუნხენელებმა 11:1 მოიგეს, მეტოქე კი... დორტმუნდის „ბორუსია" იყო.

ჰაინკესს შეუძლია გახდეს მეოთხე მწვრთნელი **ერნსტ ჰაპელის, ოტმარ ჰიტცფელდის** და **ჟოზე მოურინიოს** შემდეგ, ვისაც ჩემპიონთა ლიგა ორი სხვადასხვა გუნდის მწვრთნელობისას ექნება მოგებული.

აქამდე ერთი ქვეყნის გუნდების მონაწილეობით სამი ფინალი გამართულა: 2000 წელს „რეალმა" „ვალენსიას" მოუგო (3:0), 2003 წელს „მილანმა" „იუვენტუსი" პენალტების სერიაში დაამარცხა, ხოლო 2008 წელს „მანჩესტერ იუნაიტედმა" „ჩელსის" მოსკოვში პენალტების სერიაში სძლია.

**ტატო ბაციკაძე**

## ● ჩემპიონთა ლიგის ფინალი

# უბრალო დამთხვევა, თუ...

## 2013 წელი (თითქმის) ისე მიმდინარეობს, როგორც 1997 წელი

**თუ „ბაიერნის" ფანი ხართ, ეს ფაქტები, შესაძლოა, ცუდ ნიშნებად მიიღოთ, „დორტმუნდის" ქომაგებს კი ქვემოთ მოყვანილი დამთხვევები გაახარებთ. ფაქტია, რომ მიმდინარე სეზონი და 2013 წელი ძალიან ბევრი რამით ჰგავს 1997 წელს, როცა ჩემპიონთა ლიგა დორტმუნდის „ბორუსიამ" მოიგო.**



1997 წელს ბაიერნი გერმანიის ჩემპიონი გახდა, დორტმუნდმა კი ჩემპიონთა ლიგა მოიგო

### პარალელები: 1997-2013

✓ გერმანიის ჩემპიონი 1997 წელსაც „ბაიერნი" გახდა.

✓ 1997 წელს გერმანიის თასი „შტუტგარტმა" მოიგო და დიდი შანსია, რომ ახლაც მოიგოს (ერთ კვირაში ფინალში „ბაიერნს" ხვდება)

✓ 1997 წელს პირველი ბუნდესლიგიდან დიუსელდორფის „ფორტუნა" გავარდა. ისევე, როგორც ახლა.

✓ ისევე, როგორც 1997 წელს, მეორედან პირველ ბუნდესლიგაში ახლაც ბერლინის „ჰერტა" და ქვემოსაქსონიური კლუბი (მაშინ ვოლფსბურგი, ახლა ბრაუნშვაიგი) ალზევდნენ. სხვათა შორის, 1997 წელს მესამე „ბედნიერი" „კაიზერსლაუტერნი" იყო, რომელსაც ახლაც აქვს ელიტაში გადასვლის შანსი.

✓ 1997 წელს „დორტმუნდმა" ჩემპიონთა ლიგის ფინალის წინ, ბუნდესლიგის ბოლო მატჩი 1:2 წააგო. ასე მოხდა ახლაც: „ბორუსია" ბოლო ტურში „ჰოფენჰაიმთან" სწორედ 1:2 დამარცხდა.

✓ ისევე, როგორც 1997 წელს, „ბაიერნმა" ბუნდესლიგის ბოლო ტურში ახლაც მიონხენგლადბახში ითამაშა.

✓ ზუსტად ისე, როგორც 1997 წელს, გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ახლაც „ლევერკუზენის" ფეხბურთელი გახდა - მაშინ **ულფ კირსტენი**, ახლა **შტეფან კისლინგი**.

✓ 1997 წელს გერმანიის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის სტატუსით დორტმუნდელი **მათიას ზამერი** თამაშობდა, 2013 წელს კი - ასევე დორტმუნდელი **მარკო როისი**.

✓ „ბაიერნის" საუკეთესო გოლეადორმა ბუნდესლიგაში 1997 წელსაც 15 გოლი გაიტანა და 2013-შიც - მაშინ ეს **იურგენ კლინსმანმა** გააკეთა, ახლა კი **მარიო მანჯუკიჩმა**.

✓ ისევე, როგორც 1997-ში, „ბაიერნისა" და „დორტმუნდის" ორივე შეხვედრა ბუნდესლიგაში ახლაც ფრედ დასრულდა.

✓ ისევე, როგორც 1997 წელს, ინგლისის ჩემპიონი ახლაც „მანჩესტერ იუნაიტედი" გახდა, ხოლო წლის მწვრთნელად კი **სერ ალექს ფერგიუსონი** დაასახელეს.

✓ იტალიის ჩემპიონი 1997 წელსაც „იუვენტუსი" გახდა, პორტუგალიის - „პორტუ", თურქეთის - „გალათასარაი", საქართველოსი - თბილისის „დინამო"...

**გოტფრიდ ლენცი**




## ● ყველა ფინალი 1993 წლიდან

**2002/2003. მანჩესტერი. „ოლდ ტრეფორდი"**

**იუვენტუსი-მილანი 0:0 (პ. ს. 2:3)**

**იუვენტუსი (4-4-1-1):** ბუფონი - ტიურამი, ტუდორი (42. ბირინდელი), ფერარა, მონტერო - კამორანეზი (46. კონტე), ტაკინარდი, დავიდსი (66. სალაიეტა), ძამბროტა - დელ პიერო - ტრეზეგე.
**მილანი (4-2-2-2):** დიდა - კოსტაკურტა (66. როკე ჟუნიორი), ნესტა, მალდინი, კალაძე - გატუზო, პირლო (71. სერჟინიო) - რუი კოშტა (87. ამბროზინი), ზეედორფი - შევჩენკო, ფ. ინძაგი.
**პენალტების სერია:** 0:0 ტრეზეგე (მეკარე), 0:1 სერჟინიო, 1:1 ბირინდელი, 1:1 ზეედორფი (მეკარე), 1:1 სალაიეტა (მეკარე), 1:1 კალაძე (მეკარე), 1:1 მონტერო (მეკარე), 1:2 ნესტა, 2:2 დელ პიერო, 2:3 შევჩენკო.
**გაფრთხილება:** ტაკინარდი, დელ პიერო - კოსტაკურტა
**მსაჯი:** მარკუს მერკი (გერმანია)
**მაყურებელი:** 63 215

**2003/2004. გელზენკირხენი. „არენა აუფ შალკე"**

**მონაკო-პორტუ 0:3**

**მონაკო (4-1-3-1-1):** რომა - იბარა, როდრიგესი, ჟივე (72. სკილაჩი), ევრა - ციკოსი - ე. სისე (64. ნონდა), ბერნარდი, როთენი - ჟიული (23. პრშო) - მორიენტესი.
**პორტუ (4-3-1-2):** ვიტორ ბაია - პაულო ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიო, ნუნუ ვალენტე - პედრო მენდეში, კოშტინია, მანიშე - დეკუ (85. პედრო ემანუელი) - დერლეი (79. ბენი მაკარტი), კარლოს ალბერტო (60. ალენიჩევი).
**გოლები:** 0:1 კარლოს ალბერტო (39), 0:2 დეკუ (71), 0:3 ალენიჩევი (75)
**გაფრთხილება:** ბერნარდი - ნუნუ ვალენტე, კარლოს ალბერტო
**მსაჯი:** კიმ მილტონ ნილსენი (დანია)
**მაყურებელი:** 53 000

**2004/2005. სტამბული. „ათათურქი"**

**მილანი-ლივერპული 3:3 (პ. ს. 2:3)**

**მილანი (4-3-1-2):** დიდა - კაფუ, სტამი, ნესტა, მალდინი - გატუზო (112. რუი კოშტა), პირლო, ზეედორფი (86. სერჟინიო) - კაკა - შევჩენკო, კრესპო (85. ტომასონი).
**ლივერპული (4-2-3-1):** დუდეკი - ფინანი (46. ჰამანი), კარაგერი, ჰიიპია, ტრაორე - ჯერარდი, ჩაბი ალონსო - ლუის გარსია, კიუელი (23. შმიცერი), რიისე - ბაროში (85. სისე).
*მე-60 წუთზე ჩაბი ალონსომ (ლივერპული) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*
**გოლები:** 1:0 მალდინი (1), 2:0 კრესპო (39), 3:0 კრესპო (44), 3:1 ჯერარდი (54), 3:2 შმიცერი (56), 3:3 ჩაბი ალონსო (60)
**პენალტების სერია:** 0:0 სერჟინიო (ააცილა), 0:1 ჰამანი, 0:1 პირლო (მეკარე), 0:2 სისე, 1:2 ტომასონი, 1:2 რიისე (მეკარე), 2:2 კაკა, 2:3 შმიცერი, 2:3 შევჩენკო (მეკარე)
**გაფრთხილება:** კარაგერი, ბაროში
**მსაჯი:** მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
**მაყურებელი:** 69 000

**2005/2006. პარიზი. „სტად დე ფრანსი"**

**ბარსელონა-არსენალი 2:1**

**ბარსელონა (4-3-3):** ვიქტორ ვალდესი - ოლეგერი (71. ბელეტი), მარკესი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი - დეკუ, ედმილსონი (46. ინიესტა), ვან ბომელი (61. ლარსონი) - ჟიული, ეტო'ო, რონალდინიო.
**არსენალი (4-1-4-1):** ლემანი - ებუე, კოლო ტურე, კემპბელი, ე. კოული - ჟილბერტო სილვა - გლები (85. რეიესი), ფაბრეგასი (74. ფლამინი), პირესი (20. ალმუნია), ლიუნგბერგი - ანრი.
**გოლები:** 0:1 კემპბელი (37), 1:1 ეტო'ო (76), 2:1 ბელეტი (80)
**გაძევება:** ლემანი (18. არსენალი)
**გაფრთხილება:** ოლეგერი, ლარსონი - ებუე, ანრი
**მსაჯი:** ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)
**მაყურებელი:** 77 000

**2006/2007. ათენი. „სპიროს ლუისი"**

**მილანი-ლივერპული 2:1**

**მილანი (4-4-1-1):** დიდა - ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი (79. კალაძე) - გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (92. ფავალი) - კაკა - ფ. ინძაგი (88. ჯილარდინო).
**ლივერპული (4-2-3-1):** რეინა - ფინანი (88. არბელოა), კარაგერი, აგერი, რიისე - მასკერანო (78. კრაუჩი), ჩაბი ალონსო - პენანტი, ჯერარდი, ზენდენი (59. კიუელი) - კუიტი.
**გოლები:** 1:0 ფ. ინძაგი (45), 2:0 ფ. ინძაგი (82), 2:1 კუიტი (89)
**გაფრთხილება:** გატუზო, იანკულოვსკი - მასკერანო, კარაგერი
**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
**მაყურებელი:** 63 000

**2007/2008. მოსკოვი. „ლუჟნიკები"**

**მანჩესტერი-ჩელსი 1:1 (პ. ს. 6:5)**

**მანჩესტერი (4-3-3):** ვან დერ სარი - ბრაუნი (120+5. ანდერსონი), ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ქერიკი, ჰარგრივსი, სქოულზი (87. გიგზი) - კ. რონალდო, რუნი (102. ნანი), ტევესი.
**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ესიენი, რ. კარვალიო, ტერი, ე. კოული - მაკელელე (120+4. ბელეტი), ბალაკი - ჯ. კოული (99. ანელკა), ლემპარდი, მალუდა (93. კალუ) - დროგბა.
**გოლები:** 1:0 კ. რონალდო (26), 1:1 ლემპარდი (45)
**პენალტების სერია:** 1:0 ტევესი, 1:1 ბალაკი, 2:1 ქერიკი, 2:2 ბელეტი, 2:2 კ. რონალდო (მეკარე), 2:3 ლემპარდი, 3:3 ჰარგრივსი, 3:4 ე. კოული, 4:4 ნანი, 4:4 ტერი (ძელი), 5:4 ანდერსონი, 5:5 კალუ, 6:5 გიგზი, 6:5 ანელკა (მეკარე)
**გაძევება:** დროგბა (116. ჩელსი)
**გაფრთხილება:** სქოულზი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ტევესი - მაკელელე, რ. კარვალიო, ბალაკი
**მსაჯი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
**მაყურებელი:** 69 500

**2008/2009. რომი. „ოლიმპიკო"**

**ბარსელონა-მანჩესტერი 2:0**

**ბარსელონა (4-3-3):** ვიქტორ ვალდესი - პუიოლი, პიკე, იაია ტურე, სილვინიო - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა (92. პედრო) - ეტო'ო, მესი, ანრი (72. კეიტა).
**მანჩესტერი (4-2-2-2):** ვან დერ სარი - ო'ში, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ქერიკი, ანდერსონი (46. ტევესი) - პარკი (66. ბერბატოვი), გიგზი (75. სქოულზი) - კ. რონალდო, რუნი.
**გოლები:** 1:0 ეტო'ო (10), 2:0 მესი (71)
**გაფრთხილება:** პიკე - კ. რონალდო, სქოულზი, ვიდიჩი
**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
**მაყურებელი:** 62 467

**2009/2010. მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ"**

**ბაიერნი-ინტერი 0:2**

**ბაიერნი (4-2-3-1):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი, დემიკელისი, ბადშტუბერი - ვან ბომელი, შვაინშტაიგერი - რობენი, თ. მიულერი, ჰამით ალთინთოფი (63. კლოზე) - ოლიჩი (74. გომესი).
**ინტერი (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, კივუ (68. სტანკოვიჩი) - ხ. ძანეტი, კამბიასო - ეტო'ო, სნეიდერი, პანდევი (79. მუნტარი) - მილიტო (92. მატერაცი).
**გოლები:** 0:1 მილიტო (35), 0:2 მილიტო (70)
**გაფრთხილება:** დემიკელისი, ვან ბომელი - კივუ
**მსაჯი:** ჰოვარდ ვები (ინგლისი)
**მაყურებელი:** 74 954

**2010/2011. ლონდონი. „უემბლი"**

**ბარსელონა-მანჩესტერ იუნაიტედი 3:1**

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში (88. პუიოლი), მასკერანო, პიკე, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - ვილია (86. კეიტა), მესი, პედრო (92. აფელაი).
**მანჩესტერ იუნაიტედი (4-4-2):** ვან დერ სარი - ფ. და სილვა (69. ნანი), ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა - ვალენსია, ქერიკი (77. სქოულზი), გიგზი, პარკი - რუნი, ერნანდესი.
**გოლები:** 1:0 პედრო (27), 1:1 რუნი (34), 2:1 მესი (54), 3:1 ვილია (69)
**გაფრთხილება:** დანი ალვეში, ვალდესი - ქერიკი, ვალენსია
**მსაჯი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი)
**მაყურებელი:** 87 695

**2011/2012. მიუნხენი. „ალიანს არენა"**

**ბაიერნი-ჩელსი 1:1 (პ.ს. 3:4)**

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ტიმოშჩუკი, ბოატენგი, კონტენტო - შვაინშტაიგერი, კროოსი - რობენი, თ. მიულერი (86. ვან ბუიტენი), რიბერი (97. ოლიჩი) - გომესი.
**ჩელსი (4-2-3-1):** ჩეხი - ბოსინგვა, გ. კეჰილი, დავიდ ლუიზი, ე. კოული - მიკელი, ლემპარდი - კალუ (84. ფერნანდო ტორესი), მატა, ბერტრანი (73. მალუდა) - დროგბა.
**გოლები:** 1:0 თ. მიულერი (83), 1:1 დროგბა (88)
*95-ე წუთზე რობენმა (ბაიერნი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*
**პენალტების სერია:** 1:0 ლამი, 1:0 მატა (მეკარე), 2:0 გომესი, 2:1 დავიდ ლუიზი, 3:1 ნოიერი, 3:2 ლემპარდი, 3:2 ოლიჩი (მეკარე), 3:3 ე. კოული, 3:3 შვაინშტაიგერი (მეკარე), 3:4 დროგბა
**გაფრთხილება:** შვაინშტაიგერი - ე. კოული, დავიდ ლუიზი, ფერნანდო ტორესი
**მაყურებელი:** 62 500

ძიუდო. მასტერსი

# ტიუმენში უნდა ვიომოთ

ამ უქმეებზე ტიუმენი ძიუდოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ტურნირს - მასტერსს მასპინძლობს, რომლის საპრიზო ფონდიც 200 ათასი დოლარია. აქედან ჩემპიონებს 6 000 მიიღებენ, ვერცხლის მედალოსნები - 4 000, ბრინჯაოსი - 2 000. ამასთან 1000-1000 დოლარით დაჯილდოვდებიან საუკეთესო იპონის შემსრულებლები ქალებში და ვაჟებში. თანხის გარდა, მასტერსი ქულებითაც გამორჩეულია. მაგალითად, გამარჯვებული რეიტინგში 700 ქულას მიიღებს, ამაზე მეტი კი მხოლოდ მსოფლიოს პირველობასა და ოლიმპიადაზე გაიცემა.

ტიუმენში ჩვენგან 10 ქართველი ძიუდოისტი, რადგან ლომერ ყორღოლიანი (100) ჯერ კიდევ ანთალიაში ერთობლივ ვარჯიშებზე ყოფნისას ავად გახდა და იქიდანვე დაბრუნდა თბილისში, ტიუმენში არც წასულა.

ევროპის წლევანდელი ჩემპიონი **ამირან პაპინაშვილი** (60) პირველ წრეში ისვენებს და ფრანგი **სოფიან მილუსა** და ყაზახი **ილდოშ სმეტოვის** შეხვედრას დაელოდება. ევროპის ექს-ჩემპიონ ფრანგს ჩვენებური ორჯერ შეხვედრია და ორივე მოუგია, ყაზახთან კი წლეულს თბილისის ტურნირის ნახევარფინალში დამარცხდა. ამათთან წარმატების შემთხვევაში პაპინაშვილი მეოთხედფინალში გადის, იქ კი სავარაუდო მეტოქეთა შორის ყველაზე ძლიერები მონღოლები ჩანან - **ამარტუვშინ დაშდავა** და **ბოლდბაატარ განბატი**. პირველ წრეში დაშდავა ბრაზილიელ **დიეგო სანტოსს** ხვდება, განბატი - რუსთა ქართველ **რობერტ მშვიდობაძეს**. ვფიქრობთ, მათ ამ ბარიერის გავლა არ უნდა გაუჭირდეთ. პაპინაშვილს დაშდავა ერთხელ დაეჭიდა და მოუგო, განბატთან კი სამი პაექრობიდან ბოლო ორი წააგო. მეორე სულაც წლეულს, გერმანიის „დიდ პრიზზე“.

**შალვა ქარდავა** (66) განუთესავებშია და თავიდანვე ლიდერთა ჯგუფის წევრს, პარიზის წლევანდელი „დიდი მუზარადის“ მესამე პრიზიორ იაპონელ **ტომოფუმი ტაკაჯოს** დაეჯახა. თუ განსაკუთრებით იყოჩაღებს და მას მოუგებს, მეორე წრეში მეტოქედ ევროპის წლევანდელი პირველობის ფინალში **ლაშა შავდათუაშვილთან** დამარცხებულ რუს **კამალ ხან-მაგომედოვსა** და ფრანგ **დმიტრი დრაჟინს** შორის გამარჯვებული ეყოლება.

73-ში ევროპის წლევანდელი ბრინჯაოს მედალოსანი **ზებედა რეხვიაშვილი** პირველ წრეში უზბეკ **მირალი შარიპოვს** ხვდება, წარმატების შემთხვევაში კი მეოთხედფინალში მონღოლი **ნიამ-ოშირ საინჯარგალი** ელოდება. ჩვენებური ორივეს თითოჯერ შეხვედრია და წაუგია. საინჯარგალთან სულაც წლეულს დამარცხდა ცოტა არ იყოს და საეჭვო პაექრობაში. ნახევარფინალში სავარაუდო მეტოქედ ბელგიელი **დიკ ვან ტიხელტის**, იაპონელი **იუკი ნიშიამას**, მონღოლი **ცაგანბაატარ ხაშბაატარის** და რუსი **მურად კოძოკოვის** კვარტეტში საუკეთესო ელოდება. ამათგან მონღოლ მსოფლიოს ჩემპიონსა და ოლიმპიურ პრიზიორს ჩვენებური საერთოდ არ შეხვედრია, ბელგიელს წლეულს ევროპირველობაზე ბრინჯაოსთვის პაექრობაში აჯობა, კოძოკოვი კი თებერვალში პარიზში ლამის ორჯერ დაამარცხა - მსაჯებმა ის შეხვედრა ხელახლა დანიშნეს, რაც ძიუდოში, პრაქტიკულად, არ ხდება, და ჩვენებურმა უკვე იპონით მოიგო. ამ კვარტეტიდან რეხვიაშვილისთვის ყველაზე უხერხული მეტოქე იაპონელია - მასთან სამივე შეხვედრა წააგო.

ამავე წონაში ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი **ნუგზარ ტატალაშვილი** რეხვიაშვილს ფინალამდე არ ხვდება. სამაგიეროდ, ჯგუფში მისთვის მეტად უხერხული მეტოქე, ჰოლანდიელი ევროპისა და მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი **დექს ელმონტი** ერგო - მასთან ოთხივე პაექრობა წაუგია. თუმცა იქამდე პირველ წრეში ბრაზილიელ **ბრუნო მენდოსას** ხვდება, ვისთანაც ასევე უარყოფითი ბალანსი აქვს - ერთი შეხვედრა და ამდენივე მარცხი.

73-ის მსგავსად, 81-შიც ორი მონაწილე გვყავს, ოლონდ აქ ჩვენები ბადის ერთ მხარეს მოხვდნენ ანუ მათი გზები ნახევარფინალში იკვეთება. იქამდე ევროპის წლევანდელ ჩემპიონ **ავთანდილ ჭრიკიშვილს** ბევრად იოლი ბადე ელოდება - პირველ წრეში სულაც თავისუფალია, მეორეში კი რუსთა ევროპის ვიცე-ჩემპიონ **მურატ ხაბაჩიროვს** ან მოლდოველ არაბულ სამიროვში გამარჯვებული შეხვდება, მერე კი ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორ **სერგეი ტომას** შეხვდება. მეტოქეთა ტიტულების მიუხედავად, ჭრიკიშვილი მათზე ძლიერი გვგონია და რაკი ჩავარდნაც დასძლია, მის სამასტერსზე შანსებს ოპტიმიზმით ვუყურებთ. ნიკოლოზ ჭელაური უფრო ძნელ ჯგუფშია - პირველ წრეში იაპონელი **კეიტა ნაგაშიმა** ერგო, აქვეა რუსეთის ორგზის ჩემპიონი **სირაზუდინ მაგომედოვი** და ფრანგი **ალაინ შმიტიც**.

90-შიც ორი მონაწილე გვეყოლება - **ვალერი ლიპარტელიანი** და **ზვიად გოგოჭური**. ლიპარტელიანს პირველ წრეში რუსი **გრიგორი სულემინი** ერგო, ვისაც შარშან ევროპირველობის ფინალში დამაჯერებლად აჯობა. ვფიქრობ, ჩვენებურისთვის დაუძლეველი არც აზერბაიჯანელი **შაინ გარამანოვია** და არც - იაპონელი **შოჰეი შიმოვადა**. რეიტინგიდან გამომდინარე, ნახევარფინალამდე ასცდა რუსი **კირილ დენისოვი**, ვისთანაც უკვე ხუთი ორთაბრძოლა წააგო წლევანდელი ევროპირველობის ჩათვლით, თუმცა რუსს ჯგუფში ბრაზილიელ **ტიაგო კამილოს** სახით კერკეტი კაკალი ჰყავს. ვნახოთ, ვინ გააღწევს მათგან ნახევარფინალში, განუთესავი გოგოჭური კი არც წილისყრამ დაინდო და პირველივე მეტოქედ კუბელი მსოფლიოს პრიზიორი და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ეშლი გონსალესი** არგუნა.

ძნელ ჯგუფშია **ადამ ოქრუაშვილიც** (+100) - პირველ წრეში კი ისვენებს, მაგრამ მეორეში კუბელ **ოსკარ ბრისონთან** მოუწევს დაპირისპირება, რომელიც, სავარაუდოდ, მანამ უცილობლად დაამარცხებს ბრიტანელ **კრისტოფერ შერინგტონს**. თუმცა, ვფიქრობთ, ოქრუაშვილმა ის შემართება თუ შეინარჩუნა, როგორითაც ევროპირველობაზე ფინალში გავიდა, კუბელი არაა დაუმარცხებელი, აი, მერე კი სხვა ორ შედარებით სუსტთან ერთად ბრაზილიელი **ვალტერ სანტოსი** და, განსაკუთრებით, გერმანელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი **ანდრეას ტოლცერი** ელოდებიან, ვისთანაც დღემდე შვიდივე პაექრობაში დამარცხებულა.

ქალებში ერთადერთი მონაწილე გვყავს, რაც ამ ტურნირზე ჩვენი მანდილოსნების დებიუტია. **ირინა ლეონიძეს** (+78) პირველ მეტოქედ ჩინელთა ახალბედა **სონ იუ** ერგო, თუმცა ჩვენებური საკუთარ თავს თუ გადააჭტა და ამას მოუგო, მეორე წრეში კუბელ ოლიმპიურ ჩემპიონ **იდალის ორტისს** შეხვდება.

**ირაკლი თავაძე**

ფარიკაობა



ირაკლი ამბროლაძე და მარიამ ზაკირჩენკო

# დაშნამ ახალი ჩემპიონები გამოავლინა

თბილისის, ქუთაისის, ზესტაფონის, ოზურგეთის, ბათუმისა და რუსთავის წარმომადგენლები ჩაებნენ მოფარიკავეთა ეროვნულ ჩემპიონატში, რომელიც გუშინ ვაკის ფარიკაობის დარბაზში დაიწყო.

შეჯიბრების პირველი დღე დაშნით მოასპარეზეებს დაეთმოთ. მედლებისთვის 45 ქალ-ვაჟი იბრძოდა. გოგონებში შესანიშნავად იასპარეზა ქუთაისელმა **მარიამ ზაკირჩენკომ**, რომელმაც შარშან თანაქალაქელ **ქრისტინა მიქაძესთან** დათმო ფინალი და მე-2 ადგილს დასჯერდა. საგულისხმოა, რომ ამას წინათ რიონისპირელმა მოფარიკავემ ხორვატიაში კადეტთა მსოფლიოს პირველობის ჯგუფურ ეტაპზე ოთხ მეტოქეს სძლია, მერე პლეი ოფშიც ამდენივე სპორტსმენი დაჯაბნა და მე-8 ადგილი დაიკავა. გუშინ მარიამმა ნახევარფინალში შარშანდელ ფინალში დამარცხებისთვის რევანში აიღო — ქრისტინა მიქაძეს 15:13 მოუგო. გადამწყვეტ პაექრობაში კი **ხატია ლელაძის** მძლეველ (15:13) **თეონა ბენიძეს** (ორივე — ქუთაისი) აჯობა — 15:13 და უფროსებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე პირველად ავიდა.

ვაჟებში შარშანდელი ჩემპიონი **მიქაელ მიქაელიანი** არ მონაწილეობდა, რადგან იგი წლეულს სკოლას ამთავრებს და გუშინ გამოცდა ჰქონდა. საპრიზო ადგილებს მიღმა აღმოჩნდა ვიცე-ჩემპიონი **დავით არველაძე** (ქუთაისი), რომელმაც მეოთხედფინალში **ნიკოლოზ ზუბიაშვილთან** (თბილისი) წააგო. ეს უკანასკნელი, ასევე, დედაქალაქელ **დავით ელბაქიძესთან** დამარცხდა 10:15 და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. მესამე ადგილზეა **ირაკლი ფანცხავაც** (ქუთაისი), რომელმაც ნახევარფინალი თანაგუნდელ **ირაკლი ამბროლაძესთან** ერთი ჩხვლეტით დათმო — 14:15.

დრამატულად წარიმართა ამბროლაძე-ელბაქიძის ფინალური პაექრობა. თავიდან თბილისელი მოფარიკავე დაწინაურდა — 10:7, ორთაბრძოლის მიწურულს კი ამბროლაძემ იყოჩაღა და შეხვედრა 15:13 მოიგო. ცხადია, ოქროს მედალიც მას ერგო.

**დაშნა. გოგონები.** 1. მარიამ ზაკირჩენკო, 2. თეონა ბენიძე, 3. ქრისტინე მიქაძე, ხატია ლელაძე (ყველა — ქუთაისი); **ვაჟები.** 1. ირაკლი ამბროლაძე (ქუთაისი), 2. დავით ელბაქიძე, 3. ნიკოლოზ ზუბიაშვილი (ორივე — თბილისი), ირაკლი ფანცხავა (ქუთაისი).

დღეს რაპირაში გამოვლინდებიან მედლების მფლობელები, ხვალ მოხმალავენი იასპარეზებენ.

**ვაჟა დანელია**
**ავტორის ფოტო**

წყალბურთი

# ფავორიტები ლიდერობას ინარჩუნებენ

1998-1999 წლებში დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის ფავორიტები არიან „ივერია-1“ და „ლიგამუსი-1“, რომლებმაც გუშინ „ოლიმპიკის“ აუზში მორიგი ტურის შეხვედრები მოიგეს. „ივერია-1“ — „ქუთაისი“ 14:7, „ლიგამუსი-1“ — „ივერია-2“ 12:2, „აკადემია“ — „ტონუსი“ 12:4, „ბათუმი“ — „საჩხერე“ 13:7.

დღეს ითამაშებენ: „ქუთაისი“ — „ივერია-2“, „საჩხერე“ — „ტონუსი“, „ივერია-1“ — „თბილისი“, „ბათუმი“ — „რუსთავი“.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# მეორე ზონამდე საბერძნეთია

საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრები (**გიორგი ცივაძე, ალექსანდრე მეტრეველი, შოთა მეფარიძე**, კაპიტანი **ვიქტორ ბაკში**) წარმატებით გამოდის სან მარინოში დევისის თასის გათამაშების ევროაფრიკული ზონის მე-3 ჯგუფში. ასპარეზობის პირველ დღეს ჩვენმა ნაკრებმა სომხეთს მოუგო 3:0, მეორე ტურში მასპინძლებიც ასეთივე ანგარიშით დაამარცხა: გიორგი ცივაძე — მარკო დე როსი (6:0, 6:0, ალექსანდრე მეტრეველი — დიეგო ძონძი 6:1, 4:6, 6:0, ცივაძე, მეტრეველი — დე როსი, დომენიკო ვიჩინი 6:1, 7:5.

ევროაფრიკული ზონის მე-2 ჯგუფში გადასასვლელად საქართველოს ნაკრები დღეს A ჯგუფის გამარჯვებულ საბერძნეთის ვაჟთა გუნდს დაუპირისპირდება. ელადელებმა, ჩერნოგორიელების მსგავსად, ლიხტენშტეინიც მშრალი ანგარიშით დაამარცხეს. მეორე ნახევარფინალურ წყვილში ნორგეგია და მაკედონია გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას.

**ვაჟა დანელია**

# ანას პარიზული სერენადა

საფრანგეთის ღია პირველობამ რამდენიმე დღეა, სტარტი აიღო, ოღონდ ჯერ კვალიფიკაციაში განთესილები არკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას. მთავარი ბრძოლები 26 მაისიდან დაიწყება. ქართველი ჩოგბურთელი **ანა ტატიშვილი** ძირითად ბადეშია და პირველ შეხვედრას ასპარეზობის რეიტინგფავორიტ სერენა უილიამსთან (აშშ) გამართავს.

ბრიუსელის საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 690.000 დოლარი) წყვილთა მეოთხედფინალში იყო თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა** ლატვიელ ლიგა დეკმეიერესთან ერთად. ისინი პირველ ნომრად განთესილ სანია მირზას (ინდოეთი) და იე ჟენის წყვილთან დამარცხდნენ — 2:6, 3:6. კალაშნიკოვამ წყვილებში რეიტინგი 120 ქულით გაიმდიდრა.

იტალიურ კასერტაში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) ასპარეზობა დაასრულა **მაკა ჩახნაშვილმა**. ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ ქართველმა ჩოგბურთელმა გუშინ ნახევარფინალი მე-2 ნომრად განთესილ ჩეხ რენატა ვორაკოვასთან წააგო — 4:6, 3:6. მაკამ კლასიფიკაციაში საკუთარ რეიტინგს 24 ქულა შემატა.

**ვაჟა დანელია**

## „ლელოს“ რედაქციას

თქვენი გაზეთის 28 მაისის ნომერში მე-11 გვერდზე გამოქვეყნდა ხელბურთში 1998-1999 წლებში დაბადებულ გოგონათა საქართველოს პირველობის საანგარიშო წერილი, რომელსაც ერთვის ფოტო წარწერით: „ჩემპიონი „მართვე“. დიახ, „მართვემ“ მართლაც გაიმარჯვა, მაგრამ ფოტოზე სხვა გუნდია და არა გამარჯვებული. გთხოვთ გაასწოროთ შეცდომა.

*„მართვეს“ კალათბურთელთა მშობლები*

**რედაქციისაგან:** დასანანი შეცდომა დაშვებული იყო საიტზე, საიდანაც რედაქციამ ფოტო გადმობეჭდა. ვაქვეყნებთ გამარჯვებული გუნდის სურათს.

**ფოტოზე მარცხნიდან: პირველ რიგში** - ანი მირზოევი, ანა ბუზალაძე, ქრისტინე ლვალაძე, თათია ხოკერაშვილი, ანა ომიაძე, თამუნა გიორგაძე; **მეორე რიგში** - ჯულიეტა კასიანი (მწვრთნელი ), ანნა ყველაშვილი, ნინო გაბისონია, სოფიკო ნარიმანიძე, ლიზი გუნჯუა, თეონა ჯალათაშვილი, ლედი მაზმიშვილი.



შეხვედრა პრემიერთან



## ბიძინა ივანიშვილი – ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ ევროპის ტოლფასი ქვეყანა და ევროპელები ვართ

ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ ევროპის ტოლფასი ქვეყანა და ევროპელები ვართ, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ქართველ სპორტსმენებთან შეხვედრაზე განაცხადა.

მთავრობის თავმჯდომარემ ისინი საკუთარ რეზიდენციაში მიიღო, მათი სპორტული მიღწევების შესახებ მოისმინა და ახალგაზრდა სპორტსმენებს წარმატებები უსურვა.

შეხვედრას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი დაესწრო.

„ასეთი მწირი დაფინანსების პირობებში ქართველები მართლა ვაჟკაცობის ტოლფასს ჩადიხართ, იმაზე მეტს, რასაც ჩემპიონობა ჰქვია. პრობლემები ძალიან ბევრია, ყველა კუთხეში და ყველა კუნჭულში საკმაოდ გაჭირვებულია მოსახლეობა, ძალიან ბევრი საზღვარგარეთაა წასული, ზოგს საკუთარ ქვეყანაში სამუშაოს შოვნა უჭირს, მაგრამ მგონია, რომ ახალი ეტაპი იწყება. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ ვართ ევროპის ტოლფასი ქვეყანა, რომ გვაქვს დიდი კულტურა, რომ ჩვენ ევროპელები ვართ. ამისთვის აუცილებელია, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები დავაფუძნოთ, მაგრამ გარდამტეხი სიტყვა ეკონომიკას ეკუთვნის“, - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, ეკონომიკამ უნდა მოიტანოს ფული, უნდა გაიზარდოს ბიუჯეტი, რათა სპორტი დაფინანსდეს.

„თქვენ უნდა გქონდეთ ღირსეული შემოსავალი. უფრო მეტი ფული და მეტად კარგი ეკონომიკა გვჭირდება, ასევე მეტი დაფინანსება და მეტი პატივისცემის გამოხატვაა საჭირო იმისთვის, რასაც თქვენ აკეთებთ“, - აღნიშნა პრემიერმა.

IPN

რეგიონი. სპორტული ინფრასტრუქტურა

## დარბაზი მათთვის, ვისაც ჭიდაობა სისხლში აქვს გამჯდარი

ქარელში ძიუდოს ახალი დარბაზი გაიხსნა. მისი მშენებლობა რამდენიმე წლის წინათ დაიწყო, დასრულება დროში გაიწელა და ბოლოს ქარელის მუნიციპალიტეტის ახალი ხელმძღვანელობის მონდომებით დასრულდა. ცნობილია, რომ რაიონში განსაკუთრებით საჭიდაო სახეობებია განვითარებული და ტიტულოვანი ფალავნებიც მრავალად არიან. ძიუდოს წარმატების მეტი პერსპექტივა აქვს ახალი დარბაზის ამოქმედება სასიკეთოდ სწორედ ამ სახეობას წაადგება. ბაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით როგორც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ისე ქარელის მუნიციპალიტეტს. ეს რაიონი ცნობილია თავისი სპორტული ტრადიციებით განსაკუთრებით საჭიდაო სახეობებში. საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში შოთა ჩოჩიშვილი ამ რაიონიდანაა, აქედანაა ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი, მეც ნახევრად აქაური ვარ, ვინაიდან ყინწვისი ჩემი დედულეთია. ვისურვებდი ამ დარბაზშიც აღზრდილიყვნენ ოლიმპიუ-



დარბაზის გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **ლერი ხაბელოვი,** სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი,** მისი მოადგილე **თამაზ თევზაძე** და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **ირაკლი დოლაბერიძე,** ცნობილი ფალავნები **შოთა ხაბარელი და ავთანდილ მაისურაძე.**

„ვულოცავ ყველა ქარელელს დარბაზის ამოქმედებას. ვიცი აქ სპორტი როგორ უყვართ. მიხარია, რომ აქ ესოდენ ბევრ ძიუდოისტს ვხედავ. იმედი გვაქვს მომავალში სხვა სპორტული ობიექტებიც შეემატება ქარელს და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებს“, — თქვა ლევან ყიფიანმა.

სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, საქართველოს პარლამენტში ქარელის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატია. მან აღნიშნა: „ძიუდოს დარბაზის აშენერი და მსოფლიოს ჩემპიონები. ვიცი, რომ მიზეზთა გამო ბავშვების ნაწილს უჭირს სპორტში ჩართვა, მაგრამ ნაბიჯ – ნაბიჯ მივდივართ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. ხელი უნდა შევუწყოთ ახალგაზრდებს. აქაურებს სისხლში აქვთ გამჯდარი ჭიდაობა.“

დარბაზში გაშლილია ორი ტატამი, ირგვლივ დამონტაჟებულია სკამები მაყურებლებისთვის.

ქარელში, სასპორტო სკოლის შენობაში, შოთა ხაბარელის სახელობის დარბაზშიც ასწავლიან ძიუდოს და საკმაოდ წარმატებითაც.

ახალი დარბაზი 27 მაისს პირველ შეჯიბრებას, ცნობილი ადგილობრივი ფალავანის **მალხაზ ბერუაშვილის** სახელობის ტურნირს უმასპინძლებს.

ვასილ ბალახაძე
ქარელიდან
ფოტო qartlisport.ge

კალათბურთი. სუპერლიგა. ფინალი

24 მაისი, თბილისი. სპორტის სასახლე

| | | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|---|
| **შსს აკადემია** | **75** | 13 | 23 | 17 | 22 |
| **ოლიმპი** | **82** | 20 | 25 | 21 | 16 |

| შსს | წთ | მ | პ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვონი | 39 | 4 | 3 | 3 | 3 | 0 | 25 |
| როგავა | 7 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ბოქოლიშვილი | 15 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 4 |
| ლონდარიძე | 25 | 10 | 0 | 4 | 0 | 0 | 13 |
| პრევიტი | 30 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 16 |
| ლომოური | 12 | 5 | 0 | 1 | 2 | 0 | 2 |
| კუნასი | 15 | 5 | 2 | 0 | 0 | 0 | 7 |
| არჩიბეკი | 18 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3 |
| რეიმონდი | 34 | 3 | 3 | 2 | 0 | 0 | 5 |

| ოლიმპი | წთ | მ | პ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოკი | 18 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1 |
| ბერიშვილი | 22 | 7 | 1 | 1 | 2 | 0 | 8 |
| მიქელაძე | 22 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 12 |
| თენიეშვილი | 13 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 2 |
| ფაცაცია | 34 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 18 |
| დვალიშვილი | 14 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| მორი | 35 | 2 | 3 | 2 | 2 | 0 | 22 |
| მილოშევიჩი | 23 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 8 |
| ანდრიუსკატისი | 14 | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 6 |

*მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაზე, დ. ბერეკაშვილი*

სერიაში ანგარიშია 2:2

## მეხუთე, 2006-ის შემდეგ

გუშინაც დავწერეთ, რომ ფინიშთან მიახლოებასთან ერთად ემოციები მატულობს. ფინალური სერიის მეოთხე შეხვედრა ამისი დასტური გამოდგა. ვიხილეთ გაწევ-გამოწევა მოედანზე და ტექნიკური ჯარიმები. მატჩის დასრულების შემდეგ კი ემოციებმა იფეთქა და დაპირისპირების რამდენიე ეპიცენტრი გაჩნდა. საბედნიეროდ საქმე ფიზიკურ შეხლამდე არ მივიდა და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე გუნდების წარმომადგენლები დაგვპირდნენ, რომ მეხუთე შეხვედრისთვის მსგავსი სურათი აღარ განმეორდება.

...დიახ, მეხუთე შეხედრისთვის! საინტერესოა, რომ 2006 წლის შემდეგ სუპერლიგაში ჩემპიონის გამოვლენას ხუთი მატჩი არ დასჭირვებია. ამის მიზეზი ის იყო, რომ ფავორიტი წინასწარ იყო გამოკვეთილი („რუსთავი“, „არმია“). წლეულს კი იმდენად თანაბარი ძალის გუნდები ხვდებიან ერთმანეთს, რომ შეიძლებოდა წინასწარ გვევარაუდა ფინალში ხუთი თამაში.



ლევან ფაცაცია

გუშინდელ მატჩამდე სერიას „შსს აკადემია“ იგებდა (2:1) და „ოლიმპს“ უკანდასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა. ამიტომ, კალათბურთელებმა ძალები მაქსიმალურად მოიკრიბეს და საბოლოოდ ანგარიშის გათანაბრებაც შეძლეს. ისიც უნდა ითქვას, რომ ოლიმპელები ბევრს ნერვიულობდნენ და ამიტომაც ვიხილეთ ტექნიკური ჯარიმები. საბოლოოდ ამ გუნდის სამმა კალათბურთელმა დატოვა მოედანი ხუთი ფოლის გამო - **მილოშევიჩმა, დვალიშვილმა** და **ბერიშვილმა.** ბოლო წუთებში „ოლიმპის“ მთავარი მეფარე ლიტველი **ანდრიუსკაიტისი** გახდა, რომელიც პირველ ტაიმში მწვრთნელმა არ ათამაშა. მას მეორე ნახევარში იმედები რომ არ გაემართლებინა, ჩემპიონი ახლა შსს იქნებოდა. მართლაც, ანდრიუსკაიტისმა ფარზეც იმუშავა და მნიშვნელოვან მომენტებში თავი სამქულიანებითაც გამოიჩინა.

შსს-ელთაგან კი მას მერე, რაც გუნდი 19 ქულით ჩამორჩა **ჩად პრუეტი** ათამაშდა. მან მატჩი 16 ქულით დაასრულა, მაშინ, როცა პირველ ტაიმში 2 ქულა ჰქონდა. თუმცა ვერც მან და ვერც ვონის 25-მა ქულამ „აკადემიას“ ვერ უშველა.

მაშ ასე, მეხუთე მატჩი 26 მაისს 18 საათზეა.

**გია კაზანჯიანი („ოლიმპი“):**

- როგორც ვიწინასწარმეტყველეთ, ხუთთამაშიანი სერია გამოდგა. რაც შეეხება შეხვედრას, დღესაც ბინძური თამაში იყო, თითქოს წინ ვიყავით, თუმცა ბოლო წუთებამდე არ იყო გარკვეული გამარჯვებულის ვინაობა. ფსიქოლოგიურმა მომენტმაც იმოქმედა, 3 ტექნიკური შენიშვნა მივიღეთ, რითაც მეტოქეს დაწევის და სხვაობის 5-ქულამდე დაყვანის შანსი მივეცით. გადამწყვეტი თამაშისთვის ამაზე სამუშაო გვაქვს.

**გიორგიოს კეცელიდისი („შსს აკადემია“):**

- გულწრფელად ვულოცავ „ოლიმპს“ გამარჯვებას. ამ გუნდთან თამაში ყოველთვის მსიამოვნებს, არ აქვს მნიშვნელობა ვიგებთ თუ ვაგებთ, ტაქტიკური ბრძოლა მიდის და ეს სასიამოვნოა. სერიის გათანაბრებით მხოლოდ ფანები იქნებიან ბედნიერები, რადგან კიდევ ერთ ძალიან საინტერესო თამაშს იხილავენ.

ვაჟა სიმონიშვილი







სუმო. ნაცუ ბაშო. 12-26 მაისი

## წინ მხოლოდ ჩემპიონი და დიდი ჩემპიონია

ზაფხულის ბაშოზე შესანიშნავად ასპარეზობს **თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ).** ქართველს 13 ორთაბრძოლიდან 10 აქვს მოგებული და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ორი სუმოისტი სჯობს: დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** და ჩემპიონი **კისენოსატო** (13-13 მოგება).

206-კილოგრამიანი გოლიათის მორიგი მეტოქე **იოშიკაძე** იყო, ჩვენებურმა ძალზე იოლად დაძლია იაპონელის წინააღმდეგობა და ის წამებში გაიყვანა რკალიდან. გაგამარუს მომდევნო მეტოქე მეტად სერიოზულია, პირველი მაეგაშირა **მიოგირიუ** (1:2 ურთიერთშეხვედრებში).

**ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** მე-11 მარცხი იწვნია. ჩვენებურმა „მატადორ“ **ამინიშიკისთან** წააგო. ლევანმა სასტარტო დაჯახება თავიდან აიცილა, მაგრამ მეტოქემ მას მავაშში გამოსდო ხელი, დაატრიალა და დოჰიოზე დააგდო. ტოჩინოშინის მორიგი მეტოქე **სადანოფუჯია** (4:0 ურთიერთშეხვედრებში).

**XIII დღე** (მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ (შიტატედაშინაგე), ჰარუმაფუჯი-კოტოოშუ (ოშიტაოში), კისენოსატო-კაკურიუ (იორიკირი), ტაკაიასუ-გოეიდო (ჰატაკიკომი), ამინიშიკი-**ტოჩინოშინი** (უვატედაშინაგე), **გაგამარუ**-იოშიკაძე (ოშიდაში).

**სატურნირო მდგომარეობა**

**13-0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა), კისენოსატო (ოძეკი).

**10-3:** ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა), კაკურიუ (ოძეკი), **გაგამარუ** (მაეგაშირა 11).. 2-11: **ტოჩინოშინი** (მ 2)

**XIV დღე** (მნიშვნელოვანი წყვილები): ჰარუმაფუჯი-კაკურიუ, ჰაკუჰო-კისენოსატო, კოტოშოგიკუ-ტოიონოშიმა, კოტოოშუ-შოჰოზანი, გოეიდო-ჩიოტაირიუ, **გაგამარუ**-მიოგირიუ, **ტოჩინოშინი**-სადანოფუჯი.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელოს სტუმარი

# ზაზა ფაჩულია



# როგორ მოვხვდეთ NBA-ში?

**გუშინ სპორტის სასახლიდან გამოსულს ნაცნობი გვარი მომესმა - ფაჩულია. გვერდზე მივიხედე და ორი საშუალო ასაკის მამაკაცი, ბეტონის შემაღლებაზე მოკალათებულიყო...**

*- ზა ზამ ჩაიარა.*

*- რომელმა ზაზამ?*

*- ფაჩულიამ.*

*- ვინ?*

*- ზა ზა ფაჩულიამ, ამერიკაში რომ თამაშობს. მისი გარნეტთან ჩხუბი არ გახსოვს?!*

*- ნაღდი ქართველი ყოფილა, გაუმარჯოს.*

**ვიდრე ფაჩულია სპორტის სასახლიდან გავიდოდა და ზემოთ ნახსენებ ორ პიროვნებას ჩაუვლიდა, „ლელოს" რედაქციას სტუმრობდა. სადღეისოდ ყველაზე აქტუალური თემა მისი ტრავმაა. მოკლედ გვითხრა, რომ თავს უკეთ გრძნობს და 4 ივნისს ამერიკაში ნაოპერაციები ფეხი ექიმს უნდა ანახოს. სწორედ მას მერე დაიგეგმება სარეაბილიტაციო პერიოდი.**

**- კარგი იქნებოდა, ახლა ამერიკაში იყო, „ატლანტასთან" ერთად ნახევარფინალებს თამაშობდე.**

- ორჯერ ვითამაშე კონფერენციის ნახევარფინალში. „ატლანტა ჰოქსის" ბირთვი 2005 წლიდან ერთად ვთამაშობთ და შემიძლია სიამაყით ვთქვა, რომ ბოლო წლებში აღმოსავლეთში ყველაზე მეტჯერ პლეი ოფი „ჰოქსსა" და „ბოსტონს" აქვს ნათამაშები. მაგრამ წლეულს მე და ლუ უილიამსმა ტრავმები პლეი ოფის წინ მივიღეთ. ასე რომ არ მომხდარიყო, ვფიქრობ, გუნდი უკეთეს შედეგს უჩვენებდა.

**- NBA-ს ნახევარფინალების პარალელურად საქართველოს სუპერლიგის ფინალური სერია მიმდინარეობს. მატჩებს ესწრები. რა აზრისა ხარ ჩვენს ჩემპიონატზე.**

- რომ ვთქვა, NBA-ს მსგავსი სანახაობაა-მეთქი, არავინ დამიჯერებს. სუპერლიგის შეხვედრებს სხვა თვალით ვუყურებ, ვაკვირდები ახალგაზრდებს, კალათბურთელებს, რომლებმაც ახლო მომავალში საქართველოს ნაკრების მაისური უნდა მოირგონ. არა აქვს მნიშვნელობა, მე ვიქნები თუ არა ეროვნულ გუნდში. ნაკრებში უკვე მეორე ათწლეულია ვთამაშობ და კარიერას რომ დავასრულებ, ჩემი გული მაინც ნაკრებში დარჩება.

**- ვინ მოახდინა შთაბეჭდილება?**

- საქართველოში მაისში ჩამოვედი და ბევრი გუნდი არ მინახავს. ბევრია უცხოელი, თუმცა რამდენიმე ახალგაზრდის გამორჩევა მაინც შეიძლება, მაგალითად რეზო როგავასი და მერაბ ბოქოლიშვილისა. ლევან ფაცაცია შარშან ნაკრებში იყო და აქამდეც ვიცნობდი. იმედია კიდევ ბევრი კალათბურთელი შემოგვიერთდება და მსოფლიოს საქართველოს სახელს უკეთ გააცნობს.

**- ამერიკაში ჩასულს, ალბათ ბევრი შეგხვედრია, ვისაც „ჯორჯია" მხოლოდ ამერიკის შტატი ეგონა.**

- ამერიკა დიდი ქვეყანაა. ბევრია ადამიანია, უცხოეთში რომ არ ყოფილა და ისეთებიც შემხვედრია, საქართველოს არსებობის შესახებ რომ არ იცოდნენ. ჩემი მიზანი სწორედ ისაა, რომ ჩემი ქვეყანა მსოფლიოს გავაცნო როგორც კალათბურთის, ასევე ისტორიის მხრივ, იცოდნენ, რომ დიდი ტრადიციებისა და განძეულობის მქონე ქვეყანა გვაქვს. სხვათა შორის, თანაგუნდელები არაერთხელ დამიპატიჟია, მაგრამ არ ჩამოდიან, ეშინებათ.

**- რამდენიმე თვის წინ გავრცელდა ვიდეო, რომელშიც „ატლანტას" ფორვარდი ჯოშ სმიტი ამბობს - საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ მოვდივარო. რა ვითერებაში გადაიღე ეს ვიდეო?**

- ამერიკაში ბევრისთვის სიურპრიზი იყო შემონდ უილიამსის საქართველოს ნაკრებში თამაში. შემონდს NBA-ში ხანგრძლივი კარიერა ჰქონდა და ყველა იცნობს. ჩვენი გუნდის ყოფილი წევრი ტორინ გრინი ატლანტელი ელ ჰორფორდის თანაგუნდელი იყო ფლორიდის კოლეჯში. სანაკრებო თემას ჯოშ სმიტიც გამოეხმაურა და ნაკრებში ჩამოსვლის სურვილიც დააფიქსირა, მაგრამ ეს ხუმრობა იყო. სმიტი მეოთხე ნომრის პოზიციაზე თამაშობს. ამ ამპლუის კარგი კალათბურთელები გვყავს - ვიქტორ სანიკიძე და თორნიკე შენგელია.

**- ამასწინათ სპორტის მინისტრ ლევან ყიფიანს შეხვდი. რაზე ისაუბრეთ?**

- შეხვედრა გაცნობითი ხასიათისა იყო. მინისტრმა სამომავლო გეგმები გამაცნო. მეც საკუთარ მიზნებზე ველაპარაკე. რადგან ფინიშს ვუახლოვდები, მინდა ნაკრებს რაც შეიძლება მეტად გამოვადგე. ეს არის ჩემი მთავარი მიზანი.

**- ფინიშში რა იგულისხმება?**

- მალე 30 წლისა გავხდები. სპორტში ასეა: როცა 30 წელს გადასცდები, კარიერის დასრულებას ნებისმიერ მომენტში უნდა ელოდე. თუმცა ნამდვილად არ ვაპირებ თამაშის ნაადრევად დასრულებას, მინდა კიდევ არაერთი წელი ვითამაშო მაღალ დონეზე.

**- მწვრთნელობაზე ხომ არ გიფიქრია?**

- მიფიქრია მენეჯერობაზე, გუნდის მფლობელობაზე, ბავშვთა აკადემიის გახსნაზე, მაგრამ არა მწვრთნელობაზე. რამდენიმე წლის წინათ აკადემიის გახსნა ვცადე, მაგრამ არვიდას საბონისისა და შარუნას მარჩულიონისის რჩევით დროებით გადავიფიქრე. ეს საქმე კარიერის დასრულების შემდეგ უნდა გაკეთდეს, რადგან მინდა თავიდან ბოლომდე კარგად შესრულდეს, რასაც ხელმძღვანელის ყურადღება სჭირდება. მოქმედი კალათბურთელი კი სათანადო ყურადღებას ვერ დაუთმობს. თავიდან თბილისში გავხსნი, თუმცა საქართველოს ყველა კუთხეში უნდა ჰქონდეთ პატარებს სრულყოფილად ვარჯიშის საშუალება. ნეტავ საშუალება მომეცეს და ზაზა ფაჩულიას სახელობის აკადემიას აფხაზეთში გავხსნიდი.

**- რა სხვაობაას ხედავ დღევანდელ და შენი პატარაობის დროინდელ ბავშვთა კალათბურთში?**

- აღმზრდელ ზურაბ სამხარაძესთან ახლაც მჭიდრო კავშირი მაქვს. არც ჩემს დროს იყო სათანადო პირობები და არც ახლაა ისეთი ხელშეწყობა, სატრაბახო რომ იყოს. ამიტომაც წავედი თურქეთში. NBA-ში თამაში მქონდა გადაწყვეტილი და საამისოდ თურქეთში კარგი პირობები დამხვდა. მინდა, ბავშვებს საქართველოშიც ჰქონდეთ პირობები, რომ გზა არ შეეზღუდოთ და ოცნება აიხდინონ.

**- ჩინელები სპორტში ჩართულ ბავშვებს კარგად იკვლევენ და თავიდანვე ეუბნებიან, ვინ რომელ სპორტში უფრო მეტს მიაღწევს.**

- ჩემთვის გენეტიკური კვლევა არ ჩაუტარებიათ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ბავშვს ხელი უნდა შეუწყო იმ საქმეში რაც უყვარს. იყო შემთხვევა, კადეტთა ნაკრებში არ ამიყვანეს, 12 კალათბურთელს შორის ვერ მოვხვდი. პატარაობაში ზოგჯერ ხუთეულში თამაშიც არ მიწევდა, მაგრამ კალათბურთი მიყვარდა და თავიდანვე მქონდა მიზანი, რომლის მისაღწევადაც ბევრი ვიშრომე. მყავდა თანაგუნდელები, რომლებზეც დიდ მედებს ამყარებდნენ, ნიჭიერები იყვნენ, მაგრამ დღეს ისინი კალათბურთში აღარ ჩანან. მთავარია მონდომება და შრომა.

**- სხვათა შორის კადეტ კალათბურთელთა ნაკრებში ვერ მოხვდა მამუკა გორგოძე და კარიერა მორაგბის რანგში გააგრძელა.**

- ქართველ მორაგბეებს დიდ პატივს ვცემ. ისინი ვაჟკაცობას განასახიერებენ, ნებისმიერი ქართველისთვის სამაგალითონი არიან.

**- გორგოძის დარად მოედანზე შენც ხშირად ჩხუბობ.**

- ეს ქართული ხასიათის ბრალია. როგორც წესი, სამართლიანად ვჩხუბობ. ორ ასეთ შემთხვევას დიდი გამოხმაურება მოჰყვა - ჯერ გარნეტთან, შემდეგ რიჩარდსონთან დაპირისპირებას. შესაძლოა, ფინანსურად რაღაც დამაკლდა, მაგრამ საბოლოოდ მოგებული დავრჩი, რადგან იმ ჩხუბების შემდეგ გუნდი გამარჯვებული გამოვიდა. ამას გულშემატკივარიც დადებითი კუთხით აფასებს.

**- რა არის საჭირო NBA-ში მოსახვედრად?**

- რამდენიმე თვის წინ „ფეისბუქით" კითხვებს ვუპასუხე. ყველაზე მეტჯერ სწორედ ეს კითხვა დაისვა. ალბათ იმიტომ, რომ ქართველები მაქსიმალისტები ვართ, ყველა მშობელი, ბავშვი კალათბურთზე რომ მიჰყავს, NBA-ზე ფიქრობს. ეს ნორმალურია. პირველ რიგში, ბავშვს უნდა ჰქონდეს მიზანი, რომლისთვისაც სწორად უნდა იშრომოს და არასოდეს დაიზაროს. ეკლესიურად ვცხოვრობ და ღვთის წყალობა უმთავრესია. ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს, თავდაუზოგავად თუ იმუშავებ, ყურადღების გარეშე არ დარჩები, რადგან NBA-ის ყველა გუნდს ჰყავს სკაუტი ევროპაში. არ არის აუცილებელი ამერიკა იყოს, ევროპაშიც ბევრი კარგი გუნდია. ამას ემატება ინტერნეტიც. მაგალითს სხვა სფეროდან მოვიყვან: ჯასტინ ტიმბერლეიკი თავის სიმღერებს youtube-ზე ათავსებდა, საიდანაც მენეჯერების ყურადღება მიიპყრო და ახლა ცნობილი მომღერალია. ჩემსა და წინა თაობის სპორტსმენებს საზღვარგარეთ გასვლა გვიჭირდა. მაგალითად 90-იან წლებში დიდი ხნის განმავლობაში ერთი ლეგიონერი გვყავდა - ვლადიმერ სტეფანია, შემდეგ ვლადიმერ ბოისა წავიდა სლოვენიაში... თურქეთში რომ ვთამაშობდი, იქ შოთა და აჩი არველაძეები დიდი პოპულარულობით სარგებლობდნენ. 14 წლისა ვიყავი და ძალიან მინდოდა მათი გაცნობა.

**- მოახერხე?**

- მათთან ახლოს ვარ, თუმცა მაშინ, თურქეთში ვერ გავიცანი. მახსოვს, მათზე სიმღერებს წერდნენ. რაც მეტი ასეთი სპორტსმენი გვეყოლება, მით უფრო ძლიერი იქნება საქართველო. გავრცელებულია აზრი, თითქოს სპორტსმენებს მხოლოდ თამაში შეგვიძლია. ასეთებიც მინახავს, მაგრამ ბევრია განათლებული სპორტსმენი. ძალიან ვაფასებ ხალხს, რომლებიც კარიერის დასრულების შემდეგ სპორტში აქტიურად რჩებიან, მაგალითად შოთა არველაძე, თემურ ქეცბაია... აგერ, კახი კალაძე პოლიტიკაში ჩაერთო.

**- კალათბურთის პარალელურად სწავლისთვისაც იცლი...**

- თურქეთში რომ წავედი, პროფესიული სპორტსმენის კარიერა მქონდა არჩეული და სწავლა უმაღლესში ველარ გავაგრძელე. დანაკლისს ახლა ვინაზღაურებ - საკალათბურთო სეზონის მსვლელობისას ვერ ვიცლი, მაგრამ ზაფხულობით სხვადასხვა სკოლაში ვსწავლობ: ჯერ ნიუ იორკში, კელოგში ვიყავი; შემდეგ ატლანტაში, ემორიში; შარშან ბოსტონში, ჰარვარდში... სპორტსმენისთვის განათლება აუცილებელია. მას ხომ ურთიერთობა უწევს უამრავ გულშემატკივართან, ჟურნალისტთან...

**- მასმედიის წარმომადგენლებთან რა დამოკიდებულება გაქვს?**

- NBA-ს წარმომადგენლები ყოველწლიურად გვიგზავნიან რეკომენდაციებს, გვიჩვენებენ ეკრანზე, როგორ უნდა მოვიქცეთ ჟურნალისტებთან. ამერიკის ნაციონალური ასოციაციის შეხვედრებს მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში გადასცემენ, კალათბურთელებს ყველა იცნობს და აუცილებელია ინტერვიუებისას სწორად ლაპარაკი, სწორად მოქცევა. ამერიკაში ორი ტიპის ჟურნალისტები არიან, ერთნი ცდილობენ ხმაურიანი მასალის მომზადებას და ინტერვიუც აქეთ მიჰყავთ, მეორენი, რომლებიც გუნდში მუშაობენ, კალათბურთელების ინტერესებს ბოლომდე იცავენ. საერთოდ, მიყვარს პროფესიონალ ჟურნალისტებთან საუბარი, რადგან მათთან ბევრ საკითხზე, საკალათბურთო ნიუანსებზე დეტალურად ვსაუბრობ.

**- გაიხსენე კარიერის ყველაზე კარგი და ცუდი მომენტები.**

- დადებითი ადამიანი ვარ. თუნდაც იმ შემთხვევას, როცა კადეტთა ნაკრებში არ მიმიწვიეს, ახლა ღიმილით ვიხსენებ. საერთოდ, წაგება, ან ჯგუფიდან ვერგასვლა ყოველთვის გულდასაწყვეტია და უარყოფითად მოქმედებს. ცხოვრებაში ყველაზე მეტად გული მწყდება, რომ მამაჩემი ვერ მოესწრო ჩემს წარმატებას. პატარა რომ ვიყავი, ყველანაირად ხელს მიწყობდა კალათბურთელი რომ გამოვსულიყავი. მისი გარდაცვალების შემდეგ მომეცა ძალა, რომ მეთამაშა მამაჩემის სახელისთვის. რაც შეეხება კარიერის დადებით მომენტს, ძნელია, NBA-ში თამაშს მიღწევა არ დაარქვა. თუმცა როგორც ვთქვი, ერთ მიზანს რომ მიაღწევ, მერე უნდა დაისახო.

**- საკუთარ ოჯახზეც გვითხარი...**

- ოჯახი ჩემი „ენერჯაიზერია". რომ არა ოჯახი, ამდენს ვერ მივაღწევდი. ჩემი გუნდის მაისურებში გამოწყობილ შვილებს რომ ვხედავ ენერგია მემატება. ორი ვაჟი და ერთი მცირეწლოვანი გოგონა მყავს. ვცდილობ, ჩემს შვილებს დაამახსოვრდეთ როგორი კალათბურთელი იყო მამა და რა ბედნიერი იყო, როცა საყვარელ საქმეს აკეთებდა და იგებდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ამბების ესტაფეტა




### ინფრასტრუქტურა

სოჭის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ **დმიტრი ჩერნიშენკომ** სიამაყით განუცხადა ჟურნალისტებს, რომ სოჭის ოლიმპიადის ახალი ტექნოლოგიების და ინოვაციების გათვალისწინებით სპორტული ინფრასტრუქტურა ყველაზე საუკეთესო და თანამედროვე იქნება მსოფლიოში. პრაქტიკულად ყველა ობიექტი შეიქმნა „სუფთა ფურცლიდან" და არა მხოლოდ სპორტული ობიექტები. იგივე ითქმის გზებზე. ოლიმპიური პარკიდან სამი მიმართულებით შეიძლება მოხვედრა სპორტული შეჯიბრებების ადგილამდე. მსურველებს დღეში 6 ასპარეზობის დასწრების შესაძლებლობა ექნებათ. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ოლიმპიადების ისტორიაში.

### სტუმრები

არავითარი შეზღუდვა, ყველა მსურველს მიეცემა შესაძლებლობა დაუბრკოლებლად ჩავიდნენ სოჭში ოლიმპიადის დღეებში. ჯერ არ აკონკრეტებენ, მაგრამ **დმიტრი ჩერნიშენკოს** თქმით, ძალიან ბევრ სტუმარს მოელიან. მანვე განაცხადა, რომ სასტუმროს ფასებს სახელმწიფო არეგულირებს და ძალიან მაღალია. არ აცხადებენ, მაგრამ სწორედ სასტუმროების უსაშველო სიძვირე შეიძლება გახდეს სოჭის ოლიმპიადაზე ტურისტების ნაკადის შემაფერხებელი მიზეზი.

### ტესტირება

სოჭში ფაქტობრივად დამთავრდა სპორტული ობიექტების ტესტირება. ჩატარდა 70-მდე სხვადასხვა სატესტო შეჯიბრება. წლეულს დარჩა მხოლოდ სამი გამოცდა — ჰოკეიში აგვისტოში, საერთაშორისო ნვრთნები ბობსლეიში, ციგაობასა და სკელეტონში — ოქტომბერსა და ნოემბერში. ჩატარებულმა ტესტებმა უცხოეთის პრესაში ქება დაიმსახურა. დამკვირვებლები ხაზს უსვამენ, რომ ტესტირების პერიოდში მოხდა მიწისძვრაც, წყალდიდობაც, ქარიშხალიც, იყო ექსტრემალურად თბილი დღეებიც და თოვლცვენაც, მაგრამ სიძნელეებს თავი ჩინებულად გაართვა საორგანიზაციო კომიტეტმა შესაბამის სამსახურებთან ერთად. მოჰყავთ ასეთი მაგალითი: თხილამურებით რბოლასა და ბიატლონში პარალიმპიური თასის გათამაშების დროებითი ინფრასტრუქტურა და ტრასები ქარიშხალს და მეწყერს პრაქტიკულად გაუნადგურებია, თუმცა ერთ ღამეში ყველაფერი გაუწმენდიათ და აღუდგენიათ, შეჯიბრებები არ შეფერხებულა...

მოამზადა
თენგიზ გაჩეჩილაძემ

---

● რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# დიდი ფინალი: ლელო თუ არმია?

დღეს „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" საქართველოს ჩემპიონატის ფინალური მატჩი გაიმართება, რომელშიც შარშანდელი ჩემპიონი „არმია" თბილისის „ლელოს" დაუპირისპირდება.

არმიელებმა წლევანდელი ჩემპიონატის რეგულარული გათამაშებაც მოიგეს და მეორე ადგილზე გასულ „ლელოს" ხუთი ქულით გაუსწრეს. პირად შეხვედრებში კი, წლეულს უპირატესობა ლელოელთა მხარესაა. ამ გუნდებმა ერთმანეთთან სამჯერ ითამაშეს და აქედან ორჯერ „ლელომ" მოიგო.

პირველ წრეში „არმიამ" მეტოქე შვიდი ქულის სხვაობით დაამარცხა - 30:23. საპასუხო შეხვედრაში კი, „ლელომ" რევანში აიღო - 16:13. მესამე მატჩი პლეი ოფში, შესარჩევ ფინალში შედგა და იქაც ლელოელებმა იმარჯვეს - 24:16.

**ფინალი**

**არმია-ლელო**

**ბესიკ ჯანგავაძე**

---

● რაგბი. ლეგიონერები

# გამარჯვებული ქართული რაგბია

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში ნახევარფინალური მატჩების გამართვის დროც დადგა. სასიხარულოა, რომ ჩემპიონობის მაძიებელი ოთხივე გუნდი ქართველი მორაგბეებისაა. ესენია: „კლერმონი", „ტულონი", „ტულუზი" და „კასტრი".**

**დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი", რომელმაც რეგულარული გათამაშება პირველ ადგილზე დაასრულა, ნანტში მეოთხე ადგილზე გასულ **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს" დაუპირისპირდება. „ვულკანებმა" ერთი კვირის წინათ დრამატულ ბრძოლაში წააგეს „ჰაინეკენის თასის" ფინალში, რამაც მათ საბრძოლო განწყობას, გამორიცხული არ არის, რომ ფსიქოლოგიური დაღი დაასვა.

თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ „კლერმონი" საკმაოდ გამოცდილი მორაგბეებითაა დაკომპლექტებული. 2007 წლიდან მოყოლებული ეს გუნდი მუდმივად პლეი ოფშია და 2010 წელს ჩემპიონობასაც გამოჰკრა ხელი.

თითქმის იმავეს თქმა შეიძლება „კასტრზეც", თუმცა ამ გუნდმა ნახევარფინალში მხოლოდ ერთხელ გააღწია. კასტრელები ამჟამად შესანიშნავ ფორმაში არიან, რაზეც ნახევარფინალის შესარჩევ მატჩში „მონპელიესთან" გამარჯვებაც მოწმობს. ამიტომ, „კასტრისგან" სიურპრიზს უნდა ველოდოთ.

ნახევარფინალის მეორე წყვილში **დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონი" ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს, **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზს" დაუპირისპირდება. ტულონელებმა ერთი კვირის წინათ დუბლინში „ჰაინეკენის თასი" მოიგეს. ეს პირველი სერიოზული წარმატებაა მას შემდეგ, რაც მულტიმილიონერმა **მურად ბურჯელალმა** ზე გუნდის შენება დაიწყო.

„ტულონის" მორაგბეებს, ცხადია, ამ გამარჯვებამ განწყობა აუმაღლა, მაგრამ ისიც კარგად ესმით, რომ ციდან მიწაზე დროულად უნდა დაეშვან. მით უფრო, რომ მეტოქე ძალზედ სერიოზული ჰყავთ. ბოლო 25 წლის განმავლობაში „ტულუზმა" 19 ნახევარფინალი ითამაშა და აქედან 11 მოიგო. შარშან ფინალში, სწორედ ეს გუნდები იდგნენ ერთმანეთის პირისპირ. მაშინ ტულუზელთა ახალზელანდიელმა მგეზავმა **ბრუკ ჯეიმზმა** ექვსი საჯარიმო გაიტანა, „ტულონის" ინგლისელმა მექულემ, **ჯონი ვილკინსონმა** კი, ოთხჯერ შეძლო ბურთის მეტოქის კარის ძელებს შორის გატარება.

„ტულუზი" შარშანდელთან შედარებით ოდნავ ფერმკრთალად გამოიყურება. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ მთავარმა მწვრთნელმა **გი ნოვემ** თავისი შესაძლებლობები ამოწურა და „ტულუზს" კრიზისი დაეწყო. ამიტომ, საფრანგეთის ჩემპიონები ყველაფერს ილონებენ, რათა ევროპის წლევანდელ ჩემპიონს მოუგონ და კრიტიკოსები დაადუმონ.

კაკოვინი ძირითად შემადგენლობაშია, ბრეგვაძე და ქუბრიაშვილი თადარიგში არიან, მიქაუტაძე და ჩილაჩავა განაცხადში ვერ მოხვდნენ.

**I დივიზიონი**

**ნახევარფინალი**

**კლერმონი-კასტრი**
**ტულონი-ტულუზი**

ნახევარფინალის საპასუხო მატჩები გაიმართება ფედერალ 1 დივიზიონში, სადაც სამწუხაროდ, ქართველ მორაგბეთა გუნდებმა ვერ გააღწიეს. სამაგიეროდ, ასპარეზობას განაგრძობს ქართველი მწვრთნელის, საქართველოს ნაკრების ყოფილი მესამეხაზელის **დავით ბოლქვაძის** „ლილი", რომელმაც ნახევარფინალის პირველ მატჩში სტუმრად წააგო „ბურგ ან ბრესთან" - 5:26.

შეგახსენებთ, რომ აქ ფინალში გასულები ელიტური, მეორე დივიზიონის საგზურს მოიპოვებენ.

**ფედერალ 1**

**ნახევარფინალი**

| | |
|---|---|
| **ბურგ ან ბრესი-ლილი** | **25:6** |
| **მონტობანი-ბურგუენი** | **18:10** |

**ბესიკ ჯანგავაძე**


მარცხნივ დავით ზირაქაშვილი

---

● ზე რაგბი


ბანდი აკის ლელო

# ჯვაროსნების წინსვლა შეაფერხეს

**ზე რაგბის გათამაშების მე-15 ტური ახალი ზელანდიის კონფერენციის ლიდერების, ჰემილთონის „ჩიფსისა" და ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზის" დაპირისპირებით დაიწყო. შეხვედრა იმთავითვე დიდ ინტერესს იწვევდა, რადგან ამ მატჩში გამარჯვების შემთხვევაში ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვან გუნდს კონფერენციაში პირველი ადგილის დაკავების რეალური შანსი უჩნდებოდა.**

**ახალი ზელანდია**

თამაში, როგორც მოსალოდნელი იყო, გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ჰემილთონელების გამარჯვებით დასრულდა - 28:19. „ჯვაროსნები" მასპინძლებს 69-ე წუთამდე უძალიანდებოდნენ, მეტიც, მინიმალური სხვაობით უგებდნენ კიდეც - 19:23. დასკვნით ათ წუთში „ჩიფსმა" გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება შეძლო, ქრაისთჩერჩელებს ერთი გარდასახული ლელო გაუტანა და ზედ საჯარიმოც მიაყოლა. შედეგად, „ჩიფსმა" სატურნირო ცხრილში „კრუსეიდერზს" ათი ქულით გაუსწრო.

ჰემილთონელებს შორის ყველაზე შედეგიანი მგეზავი **აარონ კრადენი** იყო, რომელმაც ერთი ლელო, ორი გარდასახვა და სამი საჯარიმო გაიტანა (18 ქულა). „ჯვაროსნების" რიგებში ისევ არ უთამაშია გუნდის ლიდერს და კაპიტანს **რიჩი მაქოას.**

„კრუსეიდერზს" კვალში უდგას ოქლენდის „ბლუზი", რომელიც მე-15 ტურში ავსტრალიის კონფერენციის ლიდერს კანბერას „ბრამბიზს" უმასპინძლებს. ოქლენდელებს, ისევე როგორც სტუმრებს, გამარჯვება ჰაერივით სჭირდებათ. მოგების შემთხვევაში „ბლუზს" შესანიშნავი შანსი ეძლევა პლეი ოფში გასვლისთვის იბრძოლოს. „ბრამბიზი" კი, წარმატების შემთხვევაში ლიდერობას განიმტკიცებს.

**XV ტური**

**ჩიფსი-კრუსეიდერზი 28:19, ბლუზი-ბრამბიზი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ჩიფსი - 52 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 42, 3. ბლუზი - 41, 4. ჰარიკეინზი - 34, 5. ჰაილენდერზი - 16.**

**ავსტრალია**

ავსტრალიის კონფერენციაში „მელბურნ რებლზმა", რომელიც აბსოლუტურად უმოტივაციოდაა დარჩენილი, შინ მოუგო პლეი ოფში გასვლისთვის მებრძოლ სიდნეის „ვორათაზს" 24:22 და მისი წინსვლა დაამუხრუჭა. საგულისხმოა, რომ სტუმრები 74-ე წუთამდე იგებდნენ - 22:19. თუმცა მასპინძელთა გარემარბმა **ტომ ინგლიშმა** გამარჯვების მომტანი ლელო გაიტანა. აღსანიშნავია, რომ მან მეტოქის ჩათვლის მოედანში ორჯერ შეაღწია.

ამავე კონფერენციის აუტსაიდერი პერთის „ფორსი" შინ მიიღებს ახალი ზელანდიის კონფერენციის აუტსაიდერ დანიდინის „ჰაილენდერზს". ამ შეხვედრას სატურნირო თვალსაზრისით მნიშვნელობა არ აქვს.

**XV ტური**

**მელბურნ რებლზი-ვორათაზი 24:22, ფორსი-ჰაილენდერზი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბრამბიზი - 46 ქულა, 2. რედსი - 44, 3. ვორათაზი - 39, 4. მელბურნ რებლზი - 32, 5. ფორსი - 19.**

**სამხრეთ აფრიკა**

სამხრეთ აფრიკის კონფერენციაში პირველობისთვის ბრძოლა ორ გუნდს შორისაა გაჩაღებული. პრეტორიის „ბლუ ბულზს, რომელიც ამჟამად პირველ ადგილზეა, წლეულს მოულოდნელი კონკურენტი, ბლუმფონტეინის „ჩიტაზი" გამოუჩნდა.

პრეტორიელები მე-15 ტურში სტუმრად ეთამაშებიან დურბანის „ნატალ შარქსს", რომელიც ამჟამად 33 ქულით მესამე ადგილზეა და მინიმალურ თეორიულ შანსს ინარჩუნებს პლეი ოფში გასასვლელად. „ზვიგენებმა", მას შემდეგ, რაც გუნდი ფრანგმა მგეზავმა **ფრედერიკ მიშალაკმა** დატოვა, საგრძნობლად უკლეს თამაშს, რაც პირდაპირპროპორციულად აისახა გუნდის მიერ ნაჩვენებ შედეგებზე. მიუხედავად ამისა, რადგან „ნატალ შარქსი" და „ბლუ ბულზი" ძველი, ტრადიციული მეტოქეები არიან, მაინც უშელავათო ბრძოლას უნდა ველოდოთ.

ამასობაში, მეორეადგილოსანი ბლუმფონტეინის „ჩიტაზი" სტუმრად ითამაშებს ზე რაგბის დებიუტანტთან, აუტსაიდერ „საუთერნ კინგზთან". ჩიტაზელებს შესანიშნავი შანსი ეძლევათ ლიდერთან ჩამორჩენა შეამცირონ, თუმცა მასპინძლებისგან სიურპრიზიც მოსალოდნელია.

კიდევ ერთ მატჩში, კეიპთაუნის „სტორმერზი" ავსტრალიის კონფერენციის მეორეადგილოსან ბრისბენის „რედსს" უმასპინძლებს. „წითლები" ამ მატჩში გამარჯვების შემთხვევაში შესაძლოა გალიდერდნენ კიდეც.

**XV ტური**

**საუთერნ კინგზი-ჩიტაზი, სტორმერზი-რედსი, ნატალ შარქსი-ბლუ ბულზი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბლუ ბულზი - 46 ქულა, 2. ჩიტაზი - 40, 3. ნატალ შარქსი - 33, 4. სტორმერზი - 30, 5. საუთერნ კინგზი - 24.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. კაცების ბადე

| 1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2 |
|---|---|---|---|---|---|
| ჯოკოვიჩი (სერ, 1) | | | | | |
| გოფენი (ბელ) | | | | | |
| დოდიგი (ხორ) | | | | | |
| პეია (არგ) | | | | | |
| ალ. კუზნეცოვი (აშშ) | | | | | |
| პუიე (საფ) | | | | | |
| ფალა (კოლ) | | | | | |
| დიმიტროვი (ბულ, 26) | | | | | |
| დოლგოპოლოვი (უკრ,22) | | | | | |
| ტურსუნოვი (რუს) | | | | | |
| ტომიჩი (ავსტრა) | | | | | |
| ჰანესკუ (რუმ) | | | | | |
| ბოლელი (იტა) | | | | | |
| ლუ (ტაივ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| კოლშრაიბერი (გერ, 16) | | | | | |
| ჰაასი (გერ, 12) | | | | | |
| რუფენი (საფ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| გარსია ლოპესი (ესპ) | | | | | |
| ან. კუზნეცოვი (რუს) | | | | | |
| ჰარისონი (აშშ) | | | | | |
| ბერლოკი (არგ) | | | | | |
| ისნერი (აშშ, 19) | | | | | |
| იუჟნი (რუს, 29) | | | | | |
| ანდუხარი (ესპ) | | | | | |
| დელბონისი (არგ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| ვერდასკო (ესპ) | | | | | |
| ჟიკელი (საფ) | | | | | |
| მაუ (საფ) | | | | | |
| ტიფსარევიჩი (სერ, 8) | | | | | |
| ნადალი (ესპ, 3) | | | | | |
| ბრანდსი (გერ) | | | | | |
| კლიჟანი (სლოვაკ) | | | | | |
| რუსელი (აშშ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| როსოლი (ჩეხ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| ფონინი (იტა, 27) | | | | | |
| პერი (საფ, 24) | | | | | |
| ბაღდატისი (კვიპ) | | | | | |
| კუბოტი (პოლ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| ჟემლია (სლოვენ) | | | | | |
| ხირალდო (კოლ) | | | | | |
| ლივაინი (კან) | | | | | |
| ნიშიკორი (იაპ, 13) | | | | | |
| ვავრინკა (შვეიც, 9) | | | | | |
| დე ბაკერი (ჰოლ) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| სებალიოსი (არგ) | | | | | |
| დე სხეპერსი (საფ) | | | | | |
| ჰაასე (ჰოლ) | | | | | |
| რამოსი (ესპ) | | | | | |
| იანოვიჩი (პოლ, 21) | | | | | |
| ფ. მაიერი (გერ, 28) | | | | | |
| ისტომინი (უზბ) | | | | | |
| სერა (საფ) | | | | | |
| დავიდენკო (რუს) | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| კვალიფიკაცია | | | | | |
| სტახოვსკი (უკრ) | | | | | |
| გასკე (საფ, 7) | | | | | |

| 1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64 |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ბერდიხი (ჩეხ, 5) |
| | | | | | მონფილი (საფ) |
| | | | | | გულბისი (ლატ) |
| | | | | | დუტრა სილვა (ბრა) |
| | | | | | სისლინგი (ჰოლ) |
| | | | | | მელცერი (ავსტრია) |
| | | | | | ზოპი (ესტ) |
| | | | | | როგრედო (ესპ, 32) |
| | | | | | სეპი (იტა, 20) |
| | | | | | ლ. მაიერი (არგ) |
| | | | | | კავჩიჩი (სლოვენ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | ალუნდი (არგ) |
| | | | | | როჟე-ვასელენი (საფ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | ალმაგრო (ესპ, 11) |
| | | | | | რაონიჩი (კან, 14) |
| | | | | | მალისე (ბელ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | ლოდრა (საფ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | დონსკოი (რუს) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | ანდერსონი (ს. აფრ, 23) |
| | | | | | გრანოლერსი (ესპ, 31) |
| | | | | | ლოპესი (ესპ) |
| | | | | | სოუზა (პორ) |
| | | | | | სოედა (იაპ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | მონტანიესი (ესპ) |
| | | | | | მატოშევიჩი (ავსტრა) |
| | | | | | ფერერი (ესპ, 4) |
| | | | | | ცონგა (საფ, 6) |
| | | | | | ბედენე (სლოვენ) |
| | | | | | ნიემინენი (ფინ) |
| | | | | | მატიო (საფ) |
| | | | | | ბაუტისტა (ესპ) |
| | | | | | მიულერი (ლუქ) |
| | | | | | ბეკერი (გერ) |
| | | | | | შარდი (საფ, 25) |
| | | | | | მონაკო (არგ, 17) |
| | | | | | ხიმენო ტრავერი (ესპ) |
| | | | | | ტროიცკი (სერ) |
| | | | | | ბლეიკი (აშშ) |
| | | | | | შტეპანეკი (ჩეხ) |
| | | | | | კირგიოსი (ავსტრა) |
| | | | | | პეტცშნერი (გერ) |
| | | | | | ჩილიჩი (ხორ, 10) |
| | | | | | სიმონი (საფ, 15) |
| | | | | | ჰიუიტი (ავსტრა) |
| | | | | | მანარინო (საფ) |
| | | | | | კუევასი (ურუ) |
| | | | | | ჰაიეკი (ჩეხ) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | ლაჩკო (სლოვაკ) |
| | | | | | კუერი (აშშ, 18) |
| | | | | | ბენეტო (საფ, 30) |
| | | | | | ბერანკისი (ლიტ) |
| | | | | | კამკე (გერ) |
| | | | | | ლორენცი (იტა) |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | კვალიფიკაცია |
| | | | | | ფედერერი (შვეიც, 2) |

### 1/16 ფინალის სავარაუდო წყვილები

(თუ განთესილები პირველ ორ წრეს გაივლიან)

ჯოკოვიჩი (სერ, 1)-დიმიტროვი (ბულ, 26)
დოლგოპოლოვი (უკრ,22)-კოლშრაიბერი (გერ, 16)
ჰაასი (გერ, 12)-ისნერი (აშშ, 19)
იუჟნი (რუს, 29)-ტიფსარევიჩი (სერ, 8)
ნადალი (ესპ, 3)-ფონინი (იტა, 27)
პერი (საფ, 24)-ნიშიკორი (იაპ, 13)
ვავრინკა (შვეიც, 9)-იანოვიჩი (პოლ, 21)
ფ. მაიერი (გერ, 28)-გასკე (საფ, 7)
ბერდიხი (ჩეხ, 5)-როგრედო (ესპ, 32)
სეპი (იტა, 20)-ალმაგრო (ესპ, 11)
რაონიჩი (კან, 13)-ანდერსონი (ს. აფრ, 23)
გრანოლერსი (ესპ, 31)-ფერერი (ესპ, 4)
ცონგა (საფ, 6)-შარდი (საფ, 25)
მონაკო (არგ, 17)-ჩილიჩი (ხორ, 10)
სიმონი (საფ, 15)-კუერი (აშშ, 18)
ბენეტო (საფ, 30)-ფედერერი (შვეი, 2)

## ჰოკეი. NHL პლეი ოფი

# ჩემპიონი ჩემპიონი ვერ ხდება

„პრეზიდენტ ტროფის" წყევლა კვლავაც მოქმედებს. ჰოკეის ეროვნულ ლიგაში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, რეგულარული სეზონის გამარჯვებული სტენლის თასს ვერ იგებს. ერთეული შემთხვევების ჩამოთვლა შეიძლება, როცა ეს ტრადიცია დაირღვა.

„ჩიკაგოს", რომელმაც ბრწყინვალე სტილში მოიგო რეგულარული სეზონი, ერთ ნაბიჯი უკლია გავარდნამდე. „ბლეკჰოქსმა" სამი მატჩი წააგო იმ გუნდთან, რომელიც დიდი გაჭირვებით მოხვდა პლეი ოფში.

ამ სერიაში ჩიკაგოელთა სათამაშო სისტემის ყველა ის კომპონენტი მოიშალა, რასაც გუნდისთვის წარმატება მოჰქონდა. გუნდის მძლავრმა შეტევამ ბოლო სამ მატჩში მხოლოდ ორი შაიბა გაიტანა **ჯიმი ჰოვარდის** კარში. ველარ შველის გუნდს მეკარე **კორი კროუფორდი**, რიცხობრივ უპირატესობაში თამაში კი მეტოქის მიერ ზონიდან მოშორებული შაიბის დევნას დაემსგავსა.

ყველაზე ცუდი „ბლეკჰოქსისთვის" ის ფაქტია, რომ გუნდის ლიდერები თამაშობენ განსაკუთრებით ცუდად. ასე მაგალითად, კაპიტანმა **ჯონათან ტეივზმა** უშნო სპექტაკლი მოაწყო მატჩის შუაში, როცა ყვანჯით სამჯერ არააკურატულად ითამაშა. ერთხელ ჯოხით მეტოქე ჰოკეისტი **დრიუ მილერი** შეაჩერა, ორჯერ კი სახეში მოარტყა ყვანჯი **აბდელკადერსა და ფილპულას**. და ამ სამი გაძევებიდან ერთ-ერთი „დეტროიტმა" გამოიყენა. რიცხობრივ უპირატესობაში **იაკუბ კინდლის** მიერ გატანილი გოლი გამარჯვებისა აღმოჩნდა.

| დეტროიტი–ჩიკაგო | 2:0 |
|---|---|

0:0, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 კინდლი-1 (კოლაიაკოვო-1, ფრანცენი-2), 2:0 ქლირი-3 (ფილპულა-4).

**სერია:** 3-1

■ ■ ■

„რეინჯერსს" მეოთხე მატჩის წინ უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა - კიდევ ერთი წაგება და ნიუიორკელები დაემშვიდობებოდნენ სტენლის თასს. ამ მნიშვნელოვანი მატჩისთვის შემადგენლობის დასახელებისას ყველა გააკვირვა „რეინჯერსის" დამრიგებელმა **ჯონ ტორტორელამ** - მან თადარიგში დატოვა ვარსკვლავური ფორვარდი, 60-მილიონიანი კონტრაქტის მფლობელი **ბრედ რიჩარდსი**. მაგრამ მწვრთნელის ეს ნაბიჯი გასაგებია. ბოლო დროს, თავდამსხმელის თამაში ბევრ კითხვის ნიშანს აჩენდა: ბრედმა 10 მატჩში მხოლოდ ერთი ქულა დააგროვა და უკანასკნელ შეხვედრებში მეოთხე შეტევით სამეულში მცირე სათამაშო დროს იღებდა. სხვათა შორის, შეგახსენებთ, რომ რიჩარდსმა ტორტორელასთან ერთად „ტამპა ბეის" შემადგენლობაში 2004 წელს სტენლის თასი მოიგო და თან მაშინდელი პლეი ოფის MVP გახდა. მწვრთნელის გადაწყვეტილება აბსოლუტურად გამართლებული აღმოჩნდა.

მეორე პერიოდის შუაში „რეინჯერები" ორი შაიბით აგებდნენ, მაგრამ მოახერხეს თამაშში გარდატეხის შეტანა, ოვერტაიმში კი ტორტოლერას პროტეჟემ **კრის კლაიდერმა რიკ ნეშის** დიაგონალური პასი გამოიყენა და თავისიანებს სერიაში პირველი მატჩი მოაგებინა.

| რეინჯერსი–ბოსტონი | 4:3 (ო) |
|---|---|

0:0, 1:2, 2:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ჰორტონი-5 (კრეიჩი-12, მარჩანდი-6), 0:2 კრუგი-3 (სეგუინი-2, ჰორტონი-6), 1:2 ჰაგელინი-3 (ბრასარი-9, ჰამრლიკი-1), 2:2 სტეპანი-4, 2:3 სეგუინი-1 (დ. ჰემილტონი-3, ხარა-9), 3:3 ბ. ბოილი-3 (სტეპანი-1, ბრასარი-10), 4:3 კრაიდერი-1 (რიკ ნეში-4, მაკდონაჰი-3).

**სერია:** 1-3

■ ■ ■

„ლოს ანჯელესმა", რომელმაც ორ გასვლით შეხვედრაში გაფლანგა სერიაში ლიდერობა, ისევ ჩართო საქმეში მთავარი იარაღი - მეკარე **ჯონათან კუიკი**. „კინგზის" გოლკიპერმა მეტოქის 24-ივე დარტყმა მოიგერია და წლევანდელ პლეი ოფში მესამე „შათაუტი" შეასრულა. კუიკისთვის ეს იყო სტენლის თასზე 27-ე გამარჯვება, რაც ახალი საკლუბო რეკორდია. ჯონათანმა სახელგანქმულ **კელი ჰრუდის** გაუსწრო.

| ლოს ანჯელესი–სან ხოსე | 3:0 |
|---|---|

0:0, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 კოპიტარი-2 (ჯასტინ უილიამსი-2, კლიფორდი-1), 2:0 ვოინოვი-4 (ტ. ლუისი-2), 3:0 ჯ. კარტერი-5 (მ. რიჩარდსი-8).

**სერია:** 3-2

## ამბები

# კოლორადო ლეგენდას ჩააბარეს

ჰოკეის ეროვნული ლიგის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე **პატრიკ რუა** „კოლორადო ეველანშის" მთავარი მწვრთნელი გახდა. გარდა ამისა, კლუბის ხელმძღვანელობამ ლეგენდას ვიცე-პრეზიდენტის პოსტიც ჩააბარა.

წინა მთავარი მწვრთნელი **ჯო საკო** აპრილის ბოლოს გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც გუნდმა ბოლო ადგილი დაიკავა დასავლეთ კონფერენციაში.

ბოლო რვა სეზონის განმავლობაში რუა „კვებეკ რემპატსის" მთავარ მწვრთნელად და გენერალურ მენეჯერად მუშაობდა. ეს კლუბი კვებეკის ჰოკეის ლიგაში გამოდის.

დიდების დარბაზის წევრი რუა მეექვსე მთავარი მწვრთნელია „ეველანშის" ისტორიაში.

■ ■ ■

ამასობაში, მწვრთნელის გარეშე დარჩა "ვანკუვერ კენაქსი". პლეი ოფში მორიგი წარუმატებლობა ძვირად დაუჯდა **ალან ვინიოს**, რომელიც გუშინ თანამდებობიდან გადააყენეს. მასთან ერთად გუნდი დატოვეს მისმა თანაშემწეებმა.

ვინიომ, რომელიც "კენაქსს" 2006 წლიდან ედგა სათავეში, ექვსჯერ გაიყვანა გუნდი პლეი ოფში, ერთხელ ფინალამდე მივიდა, ორჯერ მოიგო "პრეზიდენტის თასი" (რეგულარული ჩემპიონატის ტიტული) და ხუთჯერ - ჩრდილო-დასავლეთი დივიზიონი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

# სიმბოლური ცნობილია

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ხელმძღვანელობამ 2012-13 წლების რეგულარული ჩემპიონატის შედეგების მიხედვით სეზონის სიმბოლური ნაკრების შემადგენლობა გამოაცხადა.

ამ სეზონის ყველაზე სასარგებლო მოთამაშემ, „მაიამის" ლიდერმა **ლებრონ ჯეიმსმა** გამოკითხვაში მონაწილე 119-ივე ჟურნალისტის ხმა მიიღო. მის გარდა, პირველ სიმბოლურ ნაკრებში მოხვდნენ: **კობი ბრაიანტი** („ლეიკერსი"), **ტიმ დანკანი** („სან ანტონიო"), **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა") და **კრის პოლი** („კლიპერსი").

ჯეიმსი, რომელიც კარიერაში მეოთხედ გახდა სეზონის საუკეთესო მოთამაშე, NBA-ის სიმბოლურ ნაკრებში მეშვიდედ შეიყვანეს. ბრაიანტს კი ერთი ნაბიჯი აკლია რეკორდის დამყარებამდე. ის მეთერთმეტედ მოხვდა პირველ ნაკრებში. ასეთივე მაჩვენებელი აქვს „იუტას" ლეგენდარულ ფორვარდს **კარლ მელოუნს.** თუ კობის კიდევ ერთხელ შეიყვანენ სიმბოლურში, ის აბსოლუტური რეკორდსმენი იქნება. თუმცა, ამისთვის, მან უნდა მოირჩინოს ფეხის მძიმე ტრავმა, რომელმაც კინალამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მისი კარიერა. აღდგენით პროცესს დაახლოებით ნახევარი წელიწადი დასჭირდება.

**ტიმ დანკანისთვის** ეს იყო მეათე მოხვედრა სიმბოლურში.

**I ნაკრები**

კრის პოლი (კლიპერსი)
კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)
ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
კევინ დურანტი (ოკლაჰომა)
ლებრონ ჯეიმსი (მაიამი)

**II ნაკრები**

ტონი პაკერი (სან ანტონიო)
რასელ უესტბრუკი (ოკლაჰომა)
მარკ გასოლი (მემფისი)
კარმელო ენტონი (ნიუ იორკი)
ბლეიკ გრიფინი (კლიპერსი)

**III ნაკრები**

ჯეიმს ჰარდენი (ჰიუსტონი)
დუეინ უეიდი (მაიამი)
დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)
პოლ ჯორჯი (ინდიანა)
დევიდ ლი (გოლდენ სტეიტი)



კობი თითქმის რეკორდსმენია

# ჯექსონი: დ'ენტონის დანიშვნაზე ბევრი ვიცინე!

## დუაიტ ჰოვარდს გოლდენ სტეიტში უშვებენ



დუაიტ ჰოვარდი

NBA-ის ისტორიაში ყველაზე წარმატებულმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა** გაიხსენა 2012 წლის ნოემბრის მოვლენები, როცა ის ახლოს იყო "ლეიკერსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაბრუნებასთან, მაგრამ, ბოლო მომენტში, კალიფორნიელებმა **მაიკლ დ'ენტონის** დანიშვნა არჩიეს.

*"როცა კუპჩაკმა დამირეკა და მითხრა, რომ არჩევანი დ'ენტონიზე გააკეთეს, სიცილი დავიწყე. მეცინებოდა იმის გამო, რომ კუპჩაკმა მითხრა – მაიკის დანიშვნა ოპტიმალური ვარიანტი იყო გუნდში არსებული მოთამაშეების პირობებშიო.*

*მე მათთვის საბოლოო პასუხი ორშაბათს უნდა მეთქვა, მაგრამ კვირას დამირეკა კუპჩაკმა: "არჩევანი გავაკეთეთ, დ'ენტონის დავნიშნავთ. მივიჩნევთ, რომ ის საუკეთესო მწვრთნელია ჩვენი შემადგენლობისთვის". მე ვუპასუხე: "სტივ ნეშისთვის – დიახ, მაგრამ დუაიტ ჰოვარდისთვის? მე ამაში დარწმუნებული არ ვარ"*, - განაცხადა ფილ ჯექსონმა.

■ ■ ■

ამასობაში, ფილ ჯექსონის მიერ ნახსენებმა **დუაიტ ჰოვარდმა**, შესაძლოა, "გოლდენ სტეიტთან" კონტრაქტს მოაწეროს ხელი, - ამტკიცებს "ლოს ანჯელეს დეილი ნიუსი".

ადრე იტყობინებოდნენ, რომ ჰოვარდი, რომელიც ივლისში შეუზღუდავი თავისუფალი აგენტის უფლებებს მიიღებს, "ლეიკერსის", "ჰიუსტონის", "დალასისა" და "ატლანტას" ვარიანტებს განიხილავდა.

ლიგის საუკეთესო ცენტრს სურს გადავიდეს გუნდში, რომელსაც ჩემპიონატში გამარჯვების დიდი შანსი აქვს და რომლის შემადგენლობა ყველაზე მეტად მოსახერხებელია "ლეიკერსის" ცენტრისთვის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2013**

**UNDER 19**

| | |
|---|---|
| ბელგია-შოტლანდია | 2:2 |
| თურქეთი-იტალია | 5:1 |
| რუსეთი-უკრაინა | 1:2 |

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ოსნაბრიუკი-დინამო (დ) | 1:0 |

**რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| ბაიერნი II-ვიურცბურგერი | 6:1 |
| ფიურტი II-რაინი | 1:1 |
| ინგოლშტადტი II-მემინგენი | 2:1 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| არლი-ჰავრი | 1:1 |
| კაენი-გფკო აიაჩო | 2:1 |
| კლერმონი-ნიორი | 1:1 |
| გინგამი-დიჟონი | 2:0 |
| ისტრი-ნანტი | 2:2 |
| ლავალი-შატორუ | 3:2 |
| ლე მანი-ლანსი | 2:1 |
| ნიმი-ოსერი | 4:2 |
| სედანი-ანჟერსი | 2:2 |
| ტური-მონაკო | 1:2 |

**ნასიონალი**

| | |
|---|---|
| ბულონი-მეცი | 1:0 |
| ბურჟი-კარკეფუ | 1:2 |
| ბასტია-კრეტეი | 2:1 |
| შერბური-ლუზენაკი | 2:3 |
| კოლმარი-ამიენი | 1:4 |
| ლე პუარი-ვანი | 1:2 |
| ორლეანი-კევილი | 4:1 |
| პარიზი-პონ დუ გარი | 1:2 |
| რედ სტარი-ფრეჟუსი | 2:1 |
| რუანი-ეპინალი | 2:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| კატარი-ლატვია | 3:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სტრიომსგოდსეტი-ოლესუნდი | 2:1 |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბრაგე-ასირისკა | 1:1 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ლიმერიკი-სლიგო | 0:0 |
| ბოჰემიანსი-სტ. პატსი | 0:2 |
| ბრეი-დროგედა | 3:2 |
| დერი-კორკი | 1:1 |
| დანდალკი-უნივერსიტი | 2:3 |
| შემროკი-შელბურნი | 1:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეთლონი-უოტერფორდი | 0:1 |
| კობ რამბლერსი-სოლტჰილი | 1:2 |
| მერვუ-ლონგფორდი | 1:2 |
| უექსფორდი-ფინ ჰარპსი | 2:1 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| ვისლა-რუხი | 1:1 |
| ვიძევი-ლეგია | 1:1 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| უიპეშტი-ჰალადაში | 0:1 |
| ლომბარდ პაპა-შიოფოკი | 0:1 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ვასლუი-ოცელული | 1:0 |
| დინამო-კონსტანტა | 2:3 |
| გაზ მეთანი-რაპიდი | 1:1 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| ბრესტი-სლავია | 1:0 |
| ბატე-გომელი | 1:2 |
| დნეპრი-ნაფტანი | 1:2 |
| ნემანი-ტორპედო | 1:1 |

**ესტონეთი**

| | |
|---|---|
| კურესაარე-სილამაე | 1:4 |
| პაიდე-ტამეკა | 6:2 |
| ლევადია-ფლორა | 1:0 |

**კალათბურთი**

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| იკაროსი-პანათინაიკოსი | 62:78 |
| აპოლონი-ოლიმპიაკოსი | 73:83 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| რომა-კანტუ | 82:75 (ო) |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| რეალი-ობრადოირო | 90:75 |

**ჩოგბურთი**

**ATP. დიუსელდორფი**

| | |
|---|---|
| მონაკო-პეია | 6:4, 7:6 |
| სისლინგი-ნიემინენი | 5:7, 6:4, 3:6 |

**ATP. ნიცა**

| | |
|---|---|
| მონტანიესი-როჟე ვასელენი | 6:4, 4:6, 6:0 |
| მონფილსი-ანდუხარი | 7:5, 6:4 |

**WTA. ბრიუსელი**

| | |
|---|---|
| ლეპჩენკო-კანეპი | 3:6, 6:4, 6:7 |
| ვინჩი-ჰემპტონი | 7:5, 3:6, 5:7 |

**WTA. სტრასბური**

| | |
|---|---|
| ჰრადეცკა-ლარსონი | 7:5, 6:3 |
| პენეტა-დოი | 6:1, 3:6, 1:6 |
| კორნე-ბუშარი | 7:5, 6:7, 6:3 |

● ამბები

## ბრუკლინი რივერსთან არ მიუშვეს

"ბრუკლინ ნეტსმა" ოფიციალური თხოვნით მიმართა "ბოსტონ სელტიქსს", რათა ამ უკანასკნელმა დოკ როვერსთან მოლაპარაკების ნება დართოს, - იტყობინება ESPN.

ბრუკლინურ კლუბს თხოვნაზე უარი უთხრეს, რადგან თავად სპეციალისტმა არ მოისურვა კლუბის შეცვლა. რივერსის კონტრაქტი "ბოსტონთან" კიდევ სამი წელია ძალაში.

ასე რომ, "ნეტსი" აგრძელებს ახალი მწვრთნელის ძიებას, რომელმაც უნდა შეცვალოს სეზონის შემდეგ გათავისუფლებული **პი ჯეი კარლესიმო**. შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, "ბრუკლინის" ხელმძღვანელობა მოლაპარაკებებს აწარმოებდა **ფილ ჯექსონთან.**

## სპანულისი ბარსასაც უნდა

„ბარსელონამ" მოლაპარაკებები დაიწყო „ოლიმპიაკოსის" 31 წლის ლიდერ **ვასილის სპანულისთან**. მცველის კონტრაქტის ვადა ბერძნულ გრანდთან 30 ივნისს იწურება, ამიტომაც, კატალონიელებს, შესაძლოა, თავისუფალი აგენტის სტატუსით ერგოთ გასული ევროლიგის საუკეთესო კალათბურთელი.

„ბარსა" ორი წლის წინაც ცდილობდა ბერძენის გაფორმებას, მაგრამ ვერ შეძლო „ოლიმპიაკოსთან" მოლაპარაკება. ასევე აღვნიშნავთ, რომ წლევანდელი ევროლიგის დასრულების შემდეგ, სპანულისით დაინტერესება მოსკოვის ცსკა-მაც გამოთქვა.

წელს, ევროლიგაზე სპანულისი საშუალოდ მატჩში 14.7 ქულას, 5.5 შედეგიან გადაცემასა და 2.2 მოხსნას აგროვებდა.

## მილანმა სკარიოლო გაუშვა

„მილანის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ არ გააგრძელებს კონტრაქტს მთავარ მწვრთნელ **სერჯო სკარიოლოსთან**.

სპეციალისტის ორწლიან ხელშეკრულებაში იყო პუნქტი თანამშრომლობის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების თაობაზე, მაგრამ კლუბმა ამ ოპციის გააქტიურება არ მოისურვა.

სკარიოლო „მილანში" 2011 წლიდან მუშაობდა. შეგახსენებთ, რომ დეკემბრის ბოლოს ის ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდანაც გაუშვეს.

## პაო ფოცისს იბრუნებს

"მილანს" მხოლოდ მისი მთავარი მწვრთნელი არ ტოვებს. ამ ზაფხულს, იტალიური კლუბიდან "პანათინაიკოსში" გადავა ფორვარდი **ანტონის ფოცისი**. კალათბურთელმა უკვე მიაღწია შეთანხმებას ყოფილ კლუბთან კონტრაქტის გაფორმების თაობაზე.

ფოცისი, რომელმაც "პანათინაიკოსში" 8 წელი გაატარა, 2011 წლიდან თამაშობდა "მილანში". 32 წლის ბერძენის მოქმედი ხელშეკრულება ივნისის ბოლოს იწურება.

● TV პროგრამა

**25 მაისი. შაბათი**

**I არხი**

**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. დორტმუნდი-ბაიერნი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ევროპის ლიგა. ფინალი. ბენფიკა-ჩელსი. ამსტერდამი. ჰოლანდია.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. დორტმუნდი-რეალი. საპასუხო მატჩი.
**16:00** ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. ბარსელონა-ბაიერნი. საპასუხო მატჩი.
**18:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**18:30** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-დორტმუნდი.
**21:00** ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა. ფინალის წინ.
**22:40** ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. დორტმუნდი-ბაიერნი. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
**01:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**11:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ინდიანა. II მატჩი.
**15:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**16:00** ძიუდო. მასტერსი. ტიუმენი. რუსეთი (LIVE).
**18:30** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჩემპიონის გზა. კლერმონი-ტულონი.
**20:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. სტრასბურგი. საფრანგეთი.
**22:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ინდიანა. II მატჩი.
**01:00** NBA ACTION.
**05:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მემფისი-სან ანტონიო. III მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
**12:15** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. სტრასბური. საფრანგეთი.
**17:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. სტრასბური. საფრანგეთი (LIVE).
**19:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნიცა. საფრანგეთი (LIVE).
**22:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დენვერი-მინესოტა.
**00:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**26 მაისი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. დორტმუნდი-ბაიერნი. ლონდონი. ინგლისი.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**15:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBRAZIL.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. მანჩესტერ სიტი-ნორვიჩი.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
**19:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**21:00** ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. დორტმუნდი-ბაიერნი. ლონდონი. ინგლისი.
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXVIII ტური. ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერ იუნ.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-სანდერლენდი.
**12:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მემფისი-სან ანტონიო. III მატჩი.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** საჩოგბურთო მიმოხილვა.
**16:00** ძიუდო. მასტერსი. ტიუმენი. რუსეთი (LIVE).
**18:30** NBA ACTION.
**19:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნიცა. საფრანგეთი.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მემფისი-სან ანტონიო. III მატჩი.
**04:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ინდიანა-მაიამი. III მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. სტრასბური. საფრანგეთი.
**12:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნიცა. საფრანგეთი.
**15:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ტულონი-ლესტერი.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
**19:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-ბოსტონი.
**21:15** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
**00:15** საჩოგბურთო მიმოხილვა.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 15 | 28 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ქუთაისი | 22 | 27 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბათუმი | 19 | 22 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ფოთი | 18 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ზუგდიდი | 18 | 26 | (ხანმოკლე წვიმა) |
| გორი | 13 | 25 | (ხანმოკლე წვიმა) |
| თელავი | 15 | 28 | (ხანმოკლე წვიმა) |
| სიღნაღი | 14 | 27 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბაკურიანი | 8 | 19 | (ხანმოკლე წვიმა) |
| ბორჯომი | 11 | 24 | (ხანმოკლე წვიმა) |
| მესტია | 8 | 21 | (ხანმოკლე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1077 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6348 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.4661 |
| 100 რუსული რუბლი | 5.1946 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# ბრიატორე: ფერარის საჩემპიონო მანქანა ჰყავს

ყოველთვის საინტერესოა "რენოს" ყოფილი შეფის **ფლავიო ბრიატორეს** კომენტარი ფორმულა 1-ში მიმდინარე მოვლენებზე. იტალიელმა მონაკოს გრანპრის წინ მოყვა ჩემპიონატში არსებული სიტუაციის შესახებ, აგრეთვე ყურადღება გაამახვილა "დიდი რბოლების" ეკონომიკურ ასპექტებზე.

*"აშკარად ჩანს, რომ წელს "ფერარიმ" შექმნა მანქანა, რომელსაც შეუძლია ტიტულის მოგება. ეს უკვე ის ძარა აღარ არის, რაც გასულ წელს იყო. მაშინ მხოლოდ ფერნანდო ალონსომ შეძლო მაღალი შედეგების ჩვენება, მაგრამ, ახლა, ფელიპე მასაც აღწევს წარმატებას – ბარსელონაში ის პოდიუმზე ავიდა.*

*"მერსედესი"? მათი მანქანა ძალიან სწრაფია კვალიფიკაციაში, მაგრამ გუნდი უნდა მიხვდეს, რომ ყველაზე მთავარი – ეს არის რბოლა. უქმეების სხვა დღეებში შესანიშნავ შედეგებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, თუ კვირას პრობლემა გექმნება საბურავის მაღალი ცვეთის გამო".*

ფერნანდო ალონსოსგან განსხვავებით, ბრიატორეს მეორე ყოფილი კლიენტი **მარკ უებერი** ჯერჯერობით ვერ აღწევს მაღალ შედეგებს. მალაიზიაში გახმაურებული ინციდენტის შემდეგ, ბევრს ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ ავსტრალიელი სეზონის ბოლოს დატოვებს ჩემპიონატს. მაგრამ იტალიელს მიაჩნია, რომ ჯერ ნაადრევია უებერის ჩამოწერა: *"მარკს შეუძლია ბევრი მისცეს ფორმულა 1-ს, ის ცუდად არ გამოდის და ძალუძს სერიოზული მეტოქე იყოს მონაკოში, რადგან მას უყვარს ეს გრანპრი და ძალიან სწრაფია ამ ტრასაზე".*

სპორტთან დაკავშირებული საკითხების გარდა, "რენოს" ყოფილმა ხელმძღვანელმა ჩემპიონატის ეკონომიკურ ასპექტებზეც ილაპარაკა: *"დღეს, ფორმულა 1-ის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეული ბიუჯეტის მქონე გუნდი მთლიანად ხარჯავს მის ხელთ არსებულ თანხას. საიდუმლო კი იმაში მდგომარეობს, რომ საჭიროა იმაზე ნაკლები თანხის დახარჯვა, ვიდრე გაქვთ. თავის დროზე, მე რეგულარულად ვწეროდი გუნდის დანახარჯების ანალიზს, რათა დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ ბიუჯეტს ბოლომდე არ დავხარჯავდი".*



ფლავიო ბრიატორე



# პირელი დიდ ცირკს ტოვებს?

საბურავების მწარმოებელი კომპანიის "პირელის" სპორტული განყოფილების შეფმა **პოლ ჰემბრიმ** აღნიშნა, რომ კომპანიას უაზროდ ეჩვენება მომავალი სეზონისთვის ახალ საბურავებზე მუშაობის დაწყება. მისი სიტყვებით, ახალი კონტრაქტის გაფორმების საკითხში სიცხადე ჯერაც არ შეუტანიათ.

*"სექტემბერში ვაპირებდით მომავალი სეზონისთვის საბურავების ახალი კომპლექტის წარმოდგენას, - ამბობს ჰემბრი. – თუმცა მაისი გადის, მაგრამ სიცხადე 2014 წლის კონტრაქტთან დაკავშირებით არ არის. ასეთ სიტუაციაში აზრი არ აქვს მომავალი სეზონისთვის მუშაობის დაწყებას. შესაძლოა, "პირელის" ფორმულა 1-ის დატოვება მოუწიოს".*

■ ■ ■

ბრიტანულმა საჯინიბო "უილიამსმა" მომავალი სეზონისთვის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყვიტა – მან აირჩია კომპანია, რომლის ძრავებსაც 2014 წელს მოიხმარს.

როგორც Motorsport წერს, "უილიამსი" უარს ამბობს "რენოსთან" თანამშრომლობის გაგრძელებაზე, რადგან არ მოსწონს ფრანგული კომპანიის მიერ დაწესებული მაღალი ფასები. მომავალი სეზონიდან, "უილიამსის" ბოლიდები "მერსედესის" ძრავებით აღიჭურვებიან.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**






ველოსპორტი

# თოვლმა ეტაპი ჩაშალა

ჩაშლის პირას აღმოჩნდა „ჯირო დ'იტალიას" დასკვნითი ნაწილი. გუშინ, ველომარათონის ორგანიზატორებმა გააუქმეს მე-19 ეტაპი იმ რისკების გამო, რაც უამინდობით იყო გამოწვეული.

წინა დღეს გამოაცხადეს, რომ მე-19 ეტაპის მარშრუტი შეცვლებოდა, რადგან წინასწარი მარშრუტით გათვალისწინებული გზები მოყინული იყო. მაგრამ გუშინ ცხადი გახდა, რომ ალტერნატიული ვარიანტიც ძალიან სახიფათო იყო ველომრბოლებისთვის.

პირველადი მარშრუტის თანახმად, ჯიროს მონაწილეები უნდა ასულიყვნენ პასო გავიასა (2618 მ) და პასო დელ სტეივოს (2758 მ) მთებზე. ეტაპის საერთო სიგრძე 139 კილომეტრს შეადგენდა.

როგორც იტალიური პრესა წერს, ასევე საფრთხის წინაშეა მე-20 ეტაპის ჩატარება.

18 ეტაპის შემდეგ, იტალიურ ველომარათონს დამაჯერებლად ლიდერობს ყაზახური „ასტანას" იტალიელი წევრი **ვინჩენცო ნიბალი**, რომელიც დროზე განცალკევებითი რბოლის შემდეგ, ოთხ წუთზე მეტს უგებს უახლოეს მდევარს, ავსტრალიელ **კეიდელ ევანსს**.

# დანილო კრეტინია და უნდა იმკურნალოს

სახელგანთქმულმა იტალიელმა ველომრბოლმა **დანილო დი ლუკამ**, რომელიც არაერთხელ იყო დასჯილი აკრძალული პრეპარატების გამოყენებისთვის, ისევ ჩააგდო დოპინგ-სინჯი.



დანილო დი ლუკა

დადებითი შედეგი აჩვენა აპრილის ბოლოს აღებულმა სინჯმა - იტალიელის ორგანიზმში ერითროპოეტინი აღმოაჩინეს. დი ლუკა ამჟამად ჯირო დ'იტალიაზე გამოდის, სადაც ველოსაჯინიბო Vini Fantini-Selle Italia-ს ღირსებას იცავს. ამ გუნდის სპორტულმა დირექტორმა **ლუკა სკინტომ** უკვე გააკეთა კომენტარი მომხდართან დაკავშირებით.

*„ეს სიმართლეა. ის არანორმალურია, კრეტინი... მან უნდა იმკურნალოს. სხვას ვერაფერს ვიტყვი. -* ამბობს სკინტო. - *ჩვენ მას მეორე შანსი მივეცით, სპონსორები ენდნენ, მან კი ასე გვიპასუხა".*

ადრე დი ლუკა ასევე ერითროპოეტინის მიღებაში გამოიჭირეს. ეს მოხდა 2009 წელს ჯირო დ'იტალიას დროს. მაშინ მრბოლელი ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა, რომელიც მოგვიანებით 18 თვემდე შეამცირეს.


დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608